ლიტერატურული გაზეთი

№22 (326) 25 ნოემბერი - 8 დეკემბერი 2022 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით ფასი 80 თეთრი

დიმიტრი წიკლაური

მექალთანე ანუბი

1.

ანუბს საერთო საცხოვრებელში ოთახი ჰქონდა. მტკიცედ ნაგები შენობის მყიფე აგურებს, ოდესღაც ღუმელებში რომ გამოწვეს, ცეცხლივით წითელი ფერი ედო. სქელი კედლები სითბოს დიდხანს ინარჩუნებდა და ნაკლები თანხის გადახდა უწევდა. მომჭირნეობას იმითაც იჩენდა, ნახშირის ბრიკეტებს ფასდაკლების დღეებში ყიდულობდა, მარაგს კი მომცრო ნატეხებად ამტვრევდა, დიდხანს რომ ჰყოფნოდა. სამუშაოც ისეთი ჰქონდა, დიდ ძალისხმევას არ საჭიროებდა, თუმცა მაინც გულსგარეთ ცხოვრობდა — თვალებს აცეცებდა, გონება გაურბოდა, ხოლო ხელებს, გეგონება, მისი არც ყოფილიყო, გრძელ დერეფანში ისე მიიქნევდა, თითქოს ნიჩბები ეპყრა და სრუტე უნდა გადაეცურა. სახელოები ცარცით ეთხვრებოდა შებათქაშებულ კედელზე შეხებისას, ხოლო მეზობლები აყირავებული სკამებით ხვდებოდნენ, მან რომ ჩაიარა.

საერთო საცხოვრებელში სამზარეულო და საპირფარეშო დერეფნის ბოლოში მდებარეობდა. სასადილოს შიდა სივრცეს მწეველები ხშირად ანიავებდნენ, ღრმა ნაფაზებით წარმოქმნილი ბუღი რომ გაეფანტათ. იმდენი ბოლი გროვდებოდა, თვითონვე წუხდებოდნენ. ფანჯრის გაღებისას გარეუბნის ძუნწი დეკორაციები სცენასავით აღიქმებოდა, კვამლი ნისლივით რომ ეხვია გაფანტვამდე. აივანი სანიაღვრე ჭებსა და არხს გადაჰყურებდა, ხედი კი უცვლელი იყო — მოღუშული ტყე და ჭილყვავები ოხრად, ხოლო შორეული მთები გუნდ-გუნდად ჩამომსხდარი ფრინველებივით მობუზულიყო. ანუბს მოსწონდა ეს მხარე, იდუმალებით მოცული ლანდშაფტი, სადაც ვერასდროს გადააწყდებოდა უფერულ ნახჭებს უდაბნოთა მიჯნაზე, ქვიშის სიფრიფანა დიუნები რომ წარმოქმნიდა, მაგრამ ვერც ოაზისებს იხილავდა.

ანუბი განზრახ იცვამდა ღარიბულად, რადგან ამის საჭიროება არ ჰქონდა. მარტო ცხოვრობდა და მთელ ფულს თვითონ განკარგავდა. ჟილეტი ჟლეტაში მოყოლილივით დასჭყლეტოდა, რომელსაც დაუთოება არ აწყენდა, მაგრამ ამისთვის ვერ იცლიდა. მიწაზე ისე არამყარად იდგა, თითქოს ყოფილი ფრინველი ყოფილიყოს. გარეგნობით დიდად არ გამოირჩეოდა და შებინდება ამიტომაც მოსწონდა, დღის სინათლე მის უხეშ ნაკვთებს ნაკლებად რომ წარმოაჩენდა. თუმცა გული არც სწყდებოდა, რადგან ქალებში ბედი სწყალობდა. მაწანწალობისკენ იყო მიდრეკილი და მეფობა რომ შეეთავაზებინათ, მხოლოდ იმიტომ დათანხმდებოდა, ცოლად დედოფალი რომ ჰყოლოდა. ცხოვრების მთელ პენსა და ეშხს მანდილოსნებს უკავშირებდა და გარეთ გასვლისას მყისვე წარმტაცი არსებები წყვეტდნენ მზერას:

II-III

ლია სტურუა

* * *

მოდი, გავიდეთ მინდორში,
აბრეშუმი შევცვალოთ!
ლექსი თუ შეგიძლია,
ცოტა ილუზიონისტიც უნდა იყო:
ქალაქთან ახლოს ბუნებას უჭირს,
უნდა მიეშველო, მაგ. მშიერი ძროხა
სახლში შეიყვანო,
ბალიშივით რბილმუცლიანი,
მაგიდისფეხებიანი, მოწველო,
ზოგჯერ რომ წერ, წერ
და ერთი ნათელი სტრიქონიც არ გამოგდის,
რძე ის სინათლეა, რომელიც გაკლდა...
ძროხას იმდენხანს დატოვებ სახლში,
რომ ფეხებთან ბალახი ამოუვიდეს,
ხარი გამოიგონოს, ხბო, მართლა, ეყოლოს,
ველარ დაეტიოთ. ისინი რომ გაუშვა
და შენ დარჩე?
შუა ოთახში ნემსი ქანაობს შავძაფიანი...
და შენ რომ წახვიდე? ზამთარი მორჩა,
გატეხილი თეთრი ფერი დატოვა,
ბალახს უჭირს ამოსვლა, მარტოს გეშინია,
თვალებში შავძაფიანი ნემსები ამოგდის,
სავარცხელი გესროლა ვინმემ?
ჰოდა, იმას უთხარი,
თუ სხვა აღარავინ გყავს:
— გავიდეთ მინდორში,
აბრეშუმი შესაცვლელია...

IV

ლელა ცუცქირიძე

„ჩენტო ვეტრინე“

იყო ასეთი იტალიური სერიალი
„ჩენტო ვეტრინე“,
2000-ინი წლების დასაწყისში გადიოდა
საქართველოს ტელევიზიით.
მაშინ ჯერ კიდევ 90-იანებით ბოლავდა ქალაქი
და ამ დროს ეკრანებზე ოქსიმორონი,
„ჩენტო ვეტრინე“ —
მდიდრული მაღაზია ჩახჩახა ვიტრინებით
და მდიდარი მფლობელების ისტორიებით.
— „ჩენტო ვეტრინე“ დაიწყო? —
კარშივე კითხულობდა
ქარხნიდან მოსული მამაჩემი,
სწრაფად იბანდა
მუშაობისგან გაშავებულ სახეს და ხელებს
და ჯდებოდა ტელევიზორთან,
მოსწონდა ეს სერიალი,
ალბათ უზრუნველობას იყო დანატრებული,
რომელიც არასდროს ჰქონია
და მთელი გულით უნდოდა ჩვენთვის.
ფავორიტიც ჰყავდა — მთავარი გმირი,
მაღაზიის მფლობელი ეტორე ფერი.

ამასწინათ თვალი მოვკარი
„ჩენტო ვეტრინეს“ აფიშას,
ჩამოთვლილია რეჟისორი,
ოპერატორი, მსახიობები, სცენარისტები...
ვინ დამიჯერებს, რომ
მეც ვიყავი ამ სერიალის თანაავტორი
მას შემდეგ, რაც მერომელიღაც სერიაში
მოკვდა მამაჩემის საყვარელი მთავარი გმირი.

ჩემი სცენარები იწერებოდა ყოველდღე,
მეტროს ვაგონში,
მეტრო „ავლაბრის“ მიმართულებით,
ამ სცენარებში არ კვდებოდა ეტორე ფერი.
სერიები გადიოდა უროლოგიის ინსტიტუტში,
მესამე სართულის ერთადგილიან,
უტელევიზორო პალატაში
და ჰყავდა მხოლოდ ერთი მაყურებელი —
მამაჩემი,
რომელმაც
მორიგ ონკოლოგიურ ოპერაციამდე
მხოლოდ ის მთხოვა,
რომ ყოველ მისვლაზე მომეყოლა მისთვის
„ჩენტო ვეტრინეს“ მორიგი სერიები.

სერიალის სცენარს ახლაც ვწერ ხოლმე
მეტროს ვაგონში,
ამ სცენარშიც
არასდროს კვდება მთავარი გმირი —
მამაჩემი.

V

დასაწყისი პირველ გვერდზე

დიმიტრი წიკლაური

მექალთანე ანუბი

— ყველაზე ლამაზი არსება ხარ, ვისთვისაც თვალი მომიკრავს! — მიმართა ერთ მათგანს, რომელმაც ცხვირწინ ჩაუარა, თუმცა სინამდვილეში ასე სულაც არ ფიქრობდა.

— ვინმეს ეძებთ? — დაინტერესდა ქალი, გაგონილი გულის სიღრმეში რომ ესიამოვნა.

— ჰო, ვეძებ, მარტოობის ნაპირზე სევდის მიზეზით გარიყულს, რადგან შესაძლოა სწორედაც მე მეკუთვნოდეს! — ანუბი ახსნა-განმარტებისთვის თუ დაფიქრდებოდა, მხოლოდ იმიტომ, ტყუილი უფრო დამაჯერებლად რომ ჩამოეყალიბებინა.

ქალი თანაგრძნობით განეწყო, მაგრამ ირგვლივ ისეთი ყაყანი იდგა, ბევრი ვერაფერი გაიგონა. შორიახლო ძველი წისქვილი ბებერი ფრინველის ფრთებივით ჭრიალებდა და მიდამოს იმგვარი მჭახე ბგერებით ავსებდა, მოშლილი მექანიზმი რომ გამოსცემს ხოლმე. ანუბს საქმის გაჯანჯლება არ სჩვეოდა და შემდგომ წამს ისინი უკვე ერთად მიდიოდნენ საერთო საცხოვრებლისკენ, რასაც ქალი, ესოდენ მგრძნობიარე არსება, თავის თავს დიდხანს არ აპატიებდა.

ანუბი ყველა ლამაზმანს ეარშიყებოდა, თუმცა კავშირსაც მალე წყვეტდა, რადგან სასტიკი გაძევება ერთხელ უკვე ჰქონდა მწარედ ნაწვნევი. სტუმრობა ზღურბლიდან დაიწყო, სადაც პატივით შეხვდნენ და ფანჯარასთან დასრულდა, ზიზღით რომ გადმოაგდეს. ზღართანმა ჩიტებიც დააფრთხო, ირგვლივ გაურკვევლობის გამომხატველი ჟივჟივით რომ მიმოიფანტნენ. დარაბაც ბუნდოვნად შენიშნა, მკაცრად რომ გამოიხურეს, ბეჭები კი მთელი კვირის განმავლობაში სტკიოდა. თუმცა მალე სულ სხვა ქალთან იოხებდა გულს და თავის მჩხავანა პატარაობას სევდით იგონებდა:

— ზამთარში დავიბადე, იავნანას ჟღერად ბგერებს ქარი მწუხარედ რომ ახშობდა. აკვანს ეკალ-ბარდებში მიდგამდნენ. მზერას ისე მიჩხვლეტდა, თითქოს სანამ სამყაროს შევიცნობდი, ჯერ მისი სიბასრე უნდა შემეგრძნო. იქნებ ეს კარგიც იყო, მეტი გულისხმიერება რომ მომცემოდა. ყოველთვის მეოცნებე ვიყავი. რომანტიზმი მხოლოდ ახლახან დავკარგე, რევმატიზმებმა რომ შემაწუხა!

მაგრამ ამ სიტყვებს ქალი არც უსმენდა, რადგან ალერსით გართული, საკუთარი ბავშვობის დავიწყებას ცდილობდა, არანაკლებ მძიმედ რომ ჩაევლო. სარკმლიდან თოკი მოჩანდა, ანუბს გაფერთხილი ზეწრების გასამზეურებლად რომ გაება. მას მოსწონდა, რიჟრაჟის ათინათი ქალის ქათქათა სხეულს როცა დანათოდა, ხის ქერქზე უმჩატესი რომ იყო, აბრეშუმის ნაცვლად სინთეტიკური ქსოვილი ემოსა და იაფფასიანი ბიჟუტერიით შემკობილი ყელი მოეღერებინა. სადაფისფერ კანზე წვრილ ძეწკვს ძლივს ამჩნევდა, განა რა ჩრდილი უნდა ჰქონოდა, ცქერით კი ძღებოდა. თან ფორთოხალს ფრთხილად თლიდა და ლუდს სინჯავდა, რომელსაც მწკლარტე გემო დაჰკრავდა.

თუმცა ანუბის ცხოვრებაში ყოველთვის ასე როდი იყო. გული ერთი შემთხვევის გამო აიყარა, როცა ბაღჩის მერხზე ულამაზეს გოგონას წააწყდა და დიდხანს დადიოდა გულგანგმირული. ეს გასაკვირი არც იყო. იმ გოგონას დედამიწის ზურგზე ყველაზე კამკამა თვალები ჰქონდა და როცა პატარა ბიჭს ასოების გამოყვანას ასწავლიდა, ანუბი მსოფლიოს ულამაზეს პედაგოგს შეჰყურებდა. მას სევდა იპყრობდა და ბუნების ნაღვლიან ბგერებს უგდებდა ყურს, ბეღურების ჭიკჭიკი ზამთრის წინააღმდეგ წაქეზებასავით რომ გაისმოდა, თითქოს განხეთქილების მსურველთ სამშობლოს დასაცავად მოუწოდებენო.

— თქვენი შვილია?

გაუბედავ შეკითხვაზე გოგონა დიდრონი თვალებით შეჰყურებდა:

— არა, დისშვილი, ქალაქში გამოვასეირნე!

ანუბი უდიდეს წარმატებად ჩათვლიდა, თუკი მის გულს მოიგებდა. ათას რამეს შეჰპირდებოდა, ცეცხლს დავანთებ, ნაცარს გავხვეტავ და ფარდაგებსაც გავბერტყავო, მაგრამ შეკითხვაზე, სად ცხოვრობო, გოგონამ სხვა მხარეს გაიხედა.

— მაშ, ყანობისკენ? — თქვა ანუბმა, თუმცა გოგონა ვერ მიხვდა, რა იგულისხმა, რადგან ეს სახელწოდება არც გაეგონა, ანუბი კი განაგრძობდა, — რახან იქით ცხოვრობ, მატარებლების ხმა ჯერ შენთან გაისმება, სანამ ჩემამდე მოაღწევდეს. ჰოდა, როცა გაიგონებ, იქნებ შემეხმიანო?

— მოგიწევს მოცდა გაზაფხულამდე, სანამ ფანჯრებს არ გამოვაღებ. სიცივის გამო ვრაზავ ხოლმე და ეგ ხმები სულაც არ მესმის!

— შენ მოცდას რა სჯობს! თუკი არ შემეხმიანები, მეცოდინება, რომ გაზაფხული ჯერ არ მოსულა!

— წასასვლელი ვარ! — გამოემშვიდობა დაწყვეტილ გულთა დედოფალი, რომელ არმიასაც ანუბიც შეუერთდა. მერე ბევრჯერ მიადგა ბაღჩას, მაგრამ გოგონა არსად უნახავს. ვერც მის სამყოფელს მიაკვლია და ინანა, მისამართი დაწვრილებით რომ არ გამოჰკითხა.

იმ დღიდან ანუბს ყველაფერი აღიზიანებდა — ონკანის წვეთების მონოტონური წკარუნი, დარაბების გაუთავებელი ჯახუნი და ტრამვაის გამუდმებული ხრიგინი — მაგრამ ნამდვილი მიზეზი იმაში მდგომარეობდა, იმ გოგონას რომ ვერ აგნებდა, რომლის სახელი არც კი იცოდა.

მაგრამ რახან ის ერთი ვერ პოვა, მრავალთა გულის დაპყრობა გადაწყვიტა.

2.

ერთხელაც ბაღჩის შესასვლელთან ანუბს დარაჯი გადაეღობა და აბრაზე მიუთითა, ზედ დიდი ასოებით რომ ეწერა: პოეტთა სკვერი.

— გუშინ მიაჭედეს, დღეიდან კი წესები გამკაცრდა! — რიხით თქვა დარაჯმა, — მხოლოდ პოეტები დაიშვებიან და კიდევ ის გოგონები, მათ ზეშთაგონებას რომ განაპირობებენ!

— მე ვარ ანუბი ყანობიდან, არაფერი გსმენიათ ჩემზე? — ხმაში მუდარა გაერია, ხელი კი მთრთოლვარედ გაიშვირა შორს, წარმოსახული სამშობლოსკენ.

დარაჯმა მისი მეტყველება პოეტურად მიიჩნია და ბაღჩაში შესვლის ნება დართო, სადაც მერხზე პოეტები ისხდნენ, ერთ მათგანს სახე თაბაშირისას რომ მიუგავდა, ხოლო მეორე სათათბიროს წევრი გეგონებოდა, თვალებს იმგვარი შემართებით აცეცებდა. მალე მაღალფარდოვან მსჯელობას მოჰყვნენ ცხოვრების საზრისის შესახებ. სიტყვებს ისე წარმოთქვამდნენ, გეგონება ცივი გამოქვაბულიდან გამოჰქონდათ ნესტისგან გამოსაშრობად, როგორც სტალაქტიტის ნიმუშები და პრეისტორიული მნიშვნელობისა რომც ყოფილიყო, კონტექსტში უაღრესად თანამედროვედ ჟღერდა. საუბარში ვიღაც დამწყებ პოეტებს გადასწვდნენ, საწყალ მდგომარეობაში იგდებენო თავს, თითქოს ყველაფერი ხელახლა იყოსო აღმოსაჩენი. მაშ, ჩვენ არაფერი გვიკეთებია. სურთ ახალი ხედვა დაამკვიდრონ და მხოლოდ ამგვარ მიდგომას იწყნარებენ. წერის დროს აზრებს გაბედულად აფრქვევენ და ხიბლში ცვივიან, თითქოს ყოველივე წვრილმანამდე შეეცნოთ, მიჯნებიც განესაზღვრათ და ღვაწლიღა დარჩენოდეთ. საყოველთაო აღიარება რომ სჭირდებათ, იმიტომაც თანხმდებიან ახალ-ახალ დაშვებებს, სხვებისთვისაც მისაღები რომ გახდეს. ახალი ტიპის შემოქმედებას ქმნიან, რაც ღრმა ტყეში შეტყუებას ჰგავს, ციცაბოებთან გაღწევას. თუმცა თანხმდებიან, ოღონდაც სცენაზე აღმოჩნდნენ. ჩვენ გამომცემლებთან ახლო უნდა ვიტრიალოთ, ერთ მშვენიერ დღეს ტვინი რომ არ გადაუბრუნდეთ, როგორმე ჩვენი შეხედულებების მკაფიოობაში უნდა დავარწმუნოთ, თორემ ისინი თუ გაიმარჯვებენ, ჩვენ აღარც კი გამოვჩნდებით!

მერე ერთხანს დუმდნენ და გამჭოლ სხივებს აკვირდებოდნენ, დროდადრო რომ ჩნდებოდა ხოლმე ფოთლებში, თითქოს ღრმმა თავისი მეფური ფაფარი შეიფერთხაო. ეს ჩრდილების სამყარო იყო, სილუეტების სამყოფელი. თეთრ ღრუბლებში მოქცეული მზე ისე აცხუნებდა, გეგონება, აივანზე გადმომდგარიყოს, სადაც ბლომად თეთრეული ეფინა. ზოგიერთი ღრუბელი ფერად ბუშტსა ჰგავდა, ბავშვს რომ ხელიდან გაშვებოდა.

ანუბს მოსწონდა პოეტების მოსმენა და შორიახლო ჩამოჯდა, სადაც ნაყინის ფურგონს გამყიდველი მიჰყუდებოდა და უსაქმურობისგან ამთქნარებდა. ნაყინის ყიდვა ვერც ერთს გადაეწყვიტა, რადგან მეორეს დაპატიჟებაც მოუწევდა. ეს მდგომარეობა იმდენ ხანს გაინელა, სანამ თაბაშირისსახიანს ხველა არ აუტყდა.

— ნაყინი ხომ არ გნებავს? — მიმართა მეორეს.

— არა! — უპასუხა მან.

— მაშინ ჩემთვის ვიყიდი, ყელში რაღაც სიმშრალე დამჩემდა!

ნაყინის ჭამას როცა მორჩა, მეორემაც იყიდა, რახან მარტო თავისთვის მოუწევდა. მერე ლიტერატურაზე განაგრძეს საუბარი. დიდი თანამოაზრეები ჩანდნენ, ერთმანეთის ქებით დაღლილნი. თან ეს მათი სტიქია იყო — მსხდარიყვნენ და ემსჯელათ, რადგან წერაზე მეტად ლაპარაკი ეხერხებოდათ.

— სტილისტურ ცვლილებებს ვერ ვგუობ, მიმაჩნია, რომ კომპოზიციაც კაპრიზია, ისევე როგორც ბოლთის ცემა სიარული. სამყაროს ფონად ექოს აღვიქვამ, ზეგავლენაში რომ მიქცევს, თავგზას მიბნევს და ვერ ვხვდები, პირველი ხმა საიდან მომესმა. განა ვინმეს აღელვებს, ცამ სილურჯე იებს რომ მოჰპარა, ზღვამ კი სარეველას სიმწვანით ისარგებლა! — ისე თქვა თაბაშირისსახიანმა, თითქოს მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემა მოეგვარებინოს.

— დიდი ლიტერატურა აღარ იქმნება. ადამიანებს ამის სურვილი აღარ აქვთ. ზღვაში შესვლას ურჩევნიათ, ნაპირთან, აუზში ინებივრონ, ქვიშაში ჩაწოლას კი კრიალა ფილებზე განერთხონ. მიყვარს ლექსში მეტაფორები რომ ჭარბობს, როგორც ძვირფასი აღკაზმულობა. თუმცა ახლა სადღაა მშვენიერების განცდა, მხოლოდ რეალობას ეპოტინებიან, როგორც ძვირფას ეპოლეტებს და ჟამთასვლის დამახასიათებელი ნიშნებით ძეძგავენ ისედაც უსახურ სტრიქონებს, უტიფარი ეპითეტებით ახირებულ ბუზღუნს რომ ემსგავსება. ნაღდი პოეტი წერას არასოდეს შეწყვეტს, ამ მიზეზით მისი უკანასკნელი ნაწარმოები დაუმთავრებელი დარჩება, რაც ძალიან გულდასაწყვეტია. მოსაზღვრულში არსებობს და უსაზღვროში ბინადრობს, თუმცა გარკვეულ პრივილეგიებს სიცოცხლეშივე საჭიროებს, რადგან განსხვავებას უფრო ეძებს, ვიდრე მსგავსებას. გზა ხომ იმისაა, დაქანცული მიუყვებოდე, წიაღი კი იმის, წვდომა შეიძლო! — თქვა მეორემ.

— ქანდაკებების გამოფენას ხომ არ დავესწროთ? — ჰკითხა პირველმა და ხელი გალერეისკენ გაიშვირა.

— რატომაც არა! — თანხმობა განუცხადა მეორემ, რადგან მწერლობის მერე ძერწვა ყველაზე დიდ ხელოვნებად მიაჩნდა.

ანუბიც აედევნა, რადგანაც დრო ჩეჩქივით ჰქონდა. რომელ საკითხშიც ვერ ერკვეოდა, დუმილს არჩევდა, რადგან მკრეხელობას ისე ერიდებოდა, როგორც კრაზანების ბუდეს. აკადემიურად სექტის წევრებიც კი მსჯელობდნენ, მნიშვნელოვანი დაკვირვებები ნუსხებში რომ შეჰქონდათ შესაბამის გრაფებში და ოქმების გადაფურცვლისას ისეთი შრიალი ისმოდა, თითქოს ტექსტებს აკაბადონებენო. პოეტები ერთ-ერთ ქანდაკებასთან შეჩერდნენ, სამხედრო პირი რომ იყო გამოსახული. ძუნწი მძერწავი ტალახსაც ზოგავსო, გაიფიქრა ანუბმა, მაგრამ თითქოს ფიქრს მიუხვდნენო, შემოესმა:

— ბზარები იმას მოასწავებს, რომ გადახვეწის დრო დამდგარა!

მერე პოეტები მოქანდაკეს მიუბრუნდნენ, თითქოს ყველაფერი დაწვრილებით უნდა შეეტყოთ.

— რა მასალას იყენებთ ძერწვისთვის?

— არაფერს ისეთს! — მხრების აჩეჩვით უპასუხა მოქანდაკემ, მაგრამ რახან არ მოეშვნენ, დაუკონკრეტა, — რასაც ვშოულობ!

— იდუმალ ელფერს ამრეკლი ფირფიტები ქმნის?

— დიახ, სწორედაც! — თქვა მძერწავმა, იქნებ ეს აბეზრები როგორმე მოვიშოროო.

— ანარეკლების სამყარო ბევრს ვერაფერს გაგვიმხელს, თვითონ თუ არ ჩავუღრმავდით! — შეგონება იწყეს პოეტებმა, — ვისთვის რვეულია მთავარი, ვისთვის რევოლვერი. ერში რომ უხალისოდ ცხოვრობენ, ომში მოხალისეებად მიდიან. კულტურა, რომელიც თქვენ შექმენით, ბრძოლის ველმა მოსაზღვრა. როგორი მიტოვებული მზერა გაქვთ დაჭერილი. თითქოს მტრებს ხედავდეს, ახლო მანძილზე რომ არიან, ვთქვათ როგორც ის სალაროა... ქვებით რომ მოიწევენ ჩასაქოლად, მაგრამ იქნებ მხოლოდ მცირედის აღება სურთ და იმ შემთხვევაში შეწყვეტენ ჩვენ დახოცვას, როცა დარწმუნდებიან, რომ ერთმანეთს ჩვენ თვითონ ვხოცავთ!

— შესაძლოა! — დაეთანხმა მოქანდაკე, ვერაფერი რომ ვერ გაიგო, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის კიდევ ერთხელ შეაჩერდა დაკვირვებით თავის ნამუშევარს.

— ამ ქანდაკებით ომის მსხვერპლი გამოსახეთ?

— რა თქმა უნდა! — მხრები აიჩეჩა მოქანდაკემ, ვერაფრით რომ ვერ ხვდებოდა, რას ედავებოდნენ.

ანუბი თვლიდა, რომ საინტერესო ადგილას აღმოჩნდა. ცხოვრების ყოველი დღე უცნობი იყო და თავის გათენებას ელოდებოდა, დღევანდელმა დღემ კი შთამბეჭდავი ბჭობის დამსწრედ აქცია. მოსწონდა ფრაზები, რომელიც აქ ესმოდა. აზრებს ისე მშვენივრად აყალიბებენ, ნეტავ ჩამეწერაო, გაიფიქრა. არც პოეტებს აღიზიანებდათ მისი იქ ყოფნა, თორემ წასვლას აიძულებდნენ. იქნებ მის სევდას გრძნობდნენ, გატეხილ სულს მზერით ხვდებოდნენ, რადგან ასეთები უამრავნი ენახათ, გული მოზაიკას რომ მიუგავდათ, მზერა კი ფსკერიდან ახვეტილ ბრჭყვიალა კენჭებს.

დამთვალიერებლები შენობაში შემოსვლისას ნიღბებს ირგებდნენ, წასვლისას რომ მოეხსნათ და სანამ ლექციას უსმენდნენ ხელოვნების შესახებ, საგამოფენო დარბაზში რომ გაემართათ, შემართებით სხდებოდნენ ტაბურეტებზე, საზურგეები რომ არ ჰქონდა და ერთგვარი პასუხისმგებლობით უბღვერდნენ სივრცეს.

— აი, ზეშთაგონების შედეგი! — გმირული გამომეტყველებით ჰყვებოდა მოწვეული ლექტორი, — ისეთი პაპანაქებაა ასახული, წყარო, რომელიც არ დამშრალა, ქებას იმსახურებს. ბორცვები იმისთვისაა, მინდვრების უკიდეგანობით რომ დატკბე. ჩანჩქერი ბიძგის მიმცემია, ძალისხმევის გამოვლინება. მისი ქმედება ყოვლის მომცველი ამბავია წამლეკავი ჩრდილებით. ურიცხვი ჭავლი ეფრქვევა დაბლობს. ეს კანონზომიერებაა და არა აკვიატება. ნისლები წუთისოფლის გადათეთრებას ემსახურება, წაშლილი სიმართლე თეთრი ძაძების ჩამოტარებას ჰგავს, წყვდიადთან ბრძოლა კი სპეტაკ სისასტიკეს, განთიადის მოსვლას რომ ემსახურება. წარმოსახვაც გაფანტული ნისლივითაა, ჩანაფიქრს თავდაპირველ მნიშვნელობას რომ უკარგავს...

3.

ანუბს პოეტების დევნა მაშინ მოჰბეზრდა, მერხზე განმარტოებული გოგონა რომ შენიშნა.

— აქ მუშაობთ? — მიმართა მოწიწებით.

— თქვენთვის რა მნიშვნელობა აქვს?

— იმდენად აღმატებული ჩანხართ, დამფუძნებლებში მოგიაზრეთ!

— არაფერი მსგავსი, უბრალოდ, ამ დროს შესვენება მიწევს! — მოეშვა გოგონა.

— სამსახურის მერე ვერ შემხვდებით? — ჰკითხა შებმის დიდოსტატმა, — ისეთი ლამაზი ხართ, კაცი სხვაგან რომ მიდიოდეს, შეჩერდება და თვალს გაგაყოლებთ. ყოველი თქვენი დღე შემიყვარდა — წარსულისა და მომავლის. თქვენ წარსულზე მომიყევით, მომავალი კი ერთად განვვლოთ. ამ ბაღჩაში გულს შემოვყევი და მან თქვენთან მომიყვანა!

— პოეტი ხართ?

— როცა შენ დარს აწყდებიან, სხვა რაღა რჩებათ! სახე მზეს მიგიგავს, კისკისი — ვარსკვლავებს, მზერით კი ზეცას დაატარებ, კამკამა ლაჟვარდებს, ფირუზის ვრცელი სამეფოს მსგავსს, დედოფლის მოლოდინში გარინდებულს, მთვარის შუქით მოვარაყებულს, ბაღჩითა და ნატიფი სრა-სასახლით!

— საიდან მოგდით ეს ფიქრები?

— ფიქრები ჩქარი მდინარის თევზივითაა, ჭავლის ფერს რომ იღებს და ძნელად თვალი მიადევნო!

— ან პოეტი ხართ ან ძალიან მატყუარა ვინმე ბრძანდებით! — დაასკვნა გოგონამ.

— განა ეგ ერთმანეთს გამორიცხავს? ერთ დროს იქნებ ვიყავი კიდეც მატყუარა. მართალ კაცს მძიმე ოპერაცია დამჭირდა და შულერის სისხლი გადამისხეს. ჩემი უღონო მდგომარეობით ისარგებლეს, თორემ, რა თქმა უნდა, არ დავთანხმდებოდი... იმ სისხლის ჩქროლას სულ ახლახან ვძლიე!

იმ ღამეს გოგონა დილამდე უსმენდა ანუბს, რომელიც მისი სიშიშვლით ტკბებოდა და ათას ზღაპრულ ამბავს უამბობდა, ფანჯრიდან კი გაფენილი ზეწრები ჩანდა, ლამპიონების შუქზე თეთრად რომ ირწეოდა.

ანუბი მეორე დღეს მუნჯ გოგონებს გადაეყარა ბაღჩის შუაგულში, სათქმელს ერთმანეთს ჟესტებით რომ მიანიშნებდნენ. მათ ჯერ მოჩვენებითი შფოთი აღეძრათ, მრისხანებას ტოლს რომ არ უდებდა, მაგრამ მალე ანუბს გამოფიტული უმზერდნენ. ვნებები ყუთში დამწყვდეული ცეცხლივით დაჰქონდათ და ამ ყუთისთვის სახელი რომ შეერჩიათ, ცეცხლგამძლე უნდა ეწოდებინათ. ეს ცეცხლი მალე იგრძნო ანუბმა, დილამდე გაისმოდა იმ ცეცხლის ტკრციალის ხმა და ზამბარის მჭახე ჭრიალი, თოკზე გაკიდებული ზეწრები კი ღამის ძირს ჩაცვენილიყო საერთო საცხოვრებლის ფანჯრიდან.

მომდევნო დღეს ხეივანში ოქროსფერთმიანი ქალი გაიცნო, მუნჯი გოგონები მყისვე რომ დაავიწყა, ოქროს ხანის პირმშოს რომ ჰგავდა, კალიფორნიის ქვიშათა მკვიდრს და ნარნარით მიიწევდა საგამოფენო დარბაზისკენ.

— ქუჩის მხატვრებთან ნუ მოცდებით, ფანქრით მჯღაბნელებთან, თქვენი პორტრეტი ოქროს ფუნჯებს იმსახურებს!

მერე, როცა ანუბი კოცნით დაჯილდოვდა, ყურში ჩასჩურჩულა:

— სუნთქვაც ისეთი გქონიათ, მტოშავი სიო რომ ეფინება ველურ, მთრთოლვარე ყვავილებს და კეთილსურნელებას აფრქვევს! — ძლივს ჩურჩულებდა ანუბი.

— მართლა ასე მოგწონვარ? — ქალს კისკისის დროს ოქროსფერი კულულები უთრთოდა.

— თქვენი გამოისობით სულში ომი გამომიცხადეს, სინდისის ხმას ზარბაზნების ზალპით ახშობენ!

— ვისთან ომობ? — კეკლუცობდა ქალი.

— კალმოსნებთან! ამ ბაღჩაში ბევრ მწერალს გადაეყრები, მაგრამ ვინც თქვენზე რომანს დაწერს, ისღა დარჩება, მთავარი გმირით იამაყოს! — საიდუმლოდ გაუნდო ანუბმა.

— იქნებ ეს მხოლოდ სიტყვებია, ტრაფარეტები! — გაიბუსხა ქალი.

— სითავხედეს თუ მაპატიებთ, ერთი სული მაქვს, დედოფალო, საქმეზე გადავიდე, თუმცა დედოფლები ხომ მას შემდეგ პატიობენ, როცა ირგვლივ სისხლის ტბები დგება!

ფონს ჩახჩახა მზე ქმნიდა, ცეცხლისფრად რომ დღაბნიდა წითელ ვარდებს და ანუბის სიტყვებიც უფრო შთამაგონებლად გაისმოდა:

— მშვენიერ ტილოს ჩარჩოც ძვირფასი სჭირდება. ბრილიანტი ხომ ფასობს, მაგრამ მორთულობა გაცილებით ლამაზად აჩენს — ბეჭედი, ყელსაბამი ან რაიმე აღჭურვილობა, მე კი სინდისი მქენჯნის, შესაფერისს რომ ვერაფერს გთავაზობთ! თვალებიდან ჩანჩქერად ქცეული გული გეღვრებათ, ყველაზე ლამაზ ადგილას რომ გადმოხეთქა. თუმცა ლამაზიც სწორედ თქვენი გამოისობითაა. სევდაც ჩანჩქერს ჰგავს და ცრემლებიც თვალებიდან მოდის. იცი, რას მაგონებს ჩანჩქერი? თმებგაშლილ ქალწულს, ოღონდ თვითმკვლელს, სასახლის ფანჯრიდან რომ ხტება ქვითინით... თქვენ კი სხვა ხართ, თითქოს თმებში ოქრო ჩაგიწნეს!

ნეტარი ღამის მომდევნო დღეს ბაღჩაში სამ ქალს გადაეყარა, ერთმანეთზე ნატიფნი რომ იყვნენ და მათი ცალ-ცალკე გაცნობა გადაწყვიტა.

პირველმა, ვინც გაიმარტოვა, ტუჩები ისე შეუშვირა, ხეიბარს რომ ყავარჯენს უწვდიან. ვნება მეტი იყო, ვიდრე სიყვარული, ხანძრის გაჩენას რომ ჰგავდა, მღვრიე ბოლის ხრჩოლვასა და უკანასკნელი ტყვიით მოწინავეთა მოცელვას.

— რა ძვირფასი სიტყვებია! — აღფრთოვანებით ჩურჩულებდა პირველი ქალი.

— შენს ბაგეთაგან რომ თქმულიყო, გაცილებით ხმოვანი იქნებოდა! — გამოუტყდა ანუბი.

მეორეს დიდხანს უმტკიცებდა:

— შენი გულის მოგებას ვინც შეძლებს, საქმენი საგმირონის შედეგი კი არ იქნება, არამედ ბედის უცნაური გათვლა. არაფერი სჯობს შენ ცქერას, შენი მოწყალე კისკისის გაგონებას, უკიდეგანოდ ლურჯი თვალები გაქვს, გულში ჩამწვდომი, მაგრამ სახეზე ლამაზი სული გაგაჩნია. მოწინავე ხარ სინატიფის მარათონზე, თითქოს შენთან ერთად მივიწევდე ლურჯისა და უცისფრესისკენ. შენი თვალები — მტკნარი ლაჟვარდები, კეთილი ამინდის მაუწყებელნი, ცას დაგავიწყებენ. ნუთუ ვისაც ბედი გაუღიმებს და მაგ სიძვირფასეს შეეხება, იმას ეკუთვნი!

მესამეს სახე შეშუპებული ჰქონდა, მაგრამ კოცნით დაღლილი ტუჩები თავის ხიბლს მაინც არ კარგავდა. ისეთი მზერა გააჩნდა, სიყვარული განქორწინებით რომ თავდება. მაგრამ ამით არაფერი იცვლებოდა, მხოლოდ ახალი არტისტები ჩნდებოდა სცენაზე.

— კაპრიზებში ამოსული ყვავილი ხარ, ბედნიერების ოაზისი! — მიმართა მას, — შენი ხასიათი ცივი ამინდია, ხოლო შენი საყვედურები — მიმქრალი მუგუზლები, ყოველ წამს რომ შეიძლება დამბუგველ ცეცხლად იქცეს. შენ ნახვას ვინც გადაწყვეტს, აღმართებისთვის გაემზადოს. ფიალას ვისაც გაუწვდი, მადლიერებით გამოგართმევს და ეს გარჯა სიამეს მოჰგვრის. ნუთუ თანაგრძნობა რომ აღგეძრას, საშინელ დღეში ჩავარდნილი უნდა მიხილო. მე ქალები ადვილად მჯაბნიან. დამარცხებული მხედარი ვარ! თავს ვუყრი რაზმს, მცირერიცხოვანს, რომ სევდიან მთხრობლად ვიქცე! ეს დაჟინებაც შენი წყალობითაა. არ ძალმიძს შენი მოხელთება. მაგრამ თუ შევძელი, ეს დესანტის გადმოსხმა იქნება შენს ტერიტორიაზე!

ამ სიტყვებმა ქალი ჩააფიქრა. მისი სხეულისთვის რა არ უწოდებიათ, მაგრამ ტერიტორიად პირველად შერაცხეს. იგი იმიტომ დაწვა ანუბთან, რომ შეეცოდა, მე თუ არა, რა ეშველებაო. მაგრამ დილით, როცა ყველაფერი მორჩა, მკაცრად მიაჩერდა, სულ ეს იყავიო? ანუბი კი თავს იმართლებდა, არ მჯეროდა რომ მეღირსე და ძალებს შინაგანი ბრძოლა მართმევდაო.

ბაღჩიდან გამოსვლისას ხმა მოესმა:

— როგორ არის საქმე ყანობში?

— სად?

— რაო, ქალებმა სამშობლოც დაგავიწყეს? — დარაჯი იყო, თავდაპირველად ანუბმა რომელიმე ქალბატონის თაყვანისმცემლად რომ მიიჩნია.

— აჰ, ეს თქვენ ხართ? — მოეშვა იგი.

— შენ არ დაიკარგები! — გაამხნევა დარაჯმა, ბევრჯერ რომ ენახა ურიცხვ ქალთა გარემოცვაში და გარკვეულ წილად თავის დამსახურებადაც მიითვლიდა.

— მე ეგენი პოეზიისთვის მჭირდებოდა! — თავს იმართლებდა ანუბი, — ყოველი ქალი შთამბეჭდავ ლექსს შთამაგონებდა!

— მესმის! მესმის! მაგრამ თუკი ასეა, უგრძესი პოემების ავტორი უნდა იყო! — ხითხითებდა დარაჯი, რომელმაც არ იცოდა, ეს ქმედება ანუბს შურისძიებამ რომ გადააწყვეტინა, საუკეთესო რახან დაუმალეს.

4.

ქალები ტრფობის მწველი ცეცხლით დაგავდნენ ანუბს და გული დილიდან ბაღჩისკენ მიუწევდა. სახლიდან ისე ადრე გადიოდა, მხოლოდ შაშვები მიაცილებდნენ. მალე უკვე იმდენ ქალს იცნობდა, ტერიტორიის შემოვლისას ახალ სახეს ვეღარც ხვდებოდა, არადა მის გამჭრიახ მზერას არავინ გამორჩებოდა. ვინ იცის, რამდენ ხანს გასტანდა მისი ამგვარი ციებ-ცხელება, ერთი შემთხვევა რომ არა.

ერთხელაც ასფალტზე მონაზვნის საფულეს წააწყდა და მარჯვედ მოიხელთა, რომელშიც ბლომად ფული აღმოჩნდა. ანუბმა ჯერ სვლა შეანელა, მონაზონი ხალხს რომ შერეოდა, მერე კი მისდია, მაგრამ ვეღარსად ნახა და იქვე მჯდარ მათხოვარს ვერცხლის მონეტა უსახსოვრა, სინდისი რომ დამშვიდებოდა.

— აქვე იგემებ შენი მოწყალების ნაყოფს! — ჩიფჩიფით დალოცა მათხოვარმა, მაგრამ ანუბმა ეს სიტყვები წყევლად მიიღო.

თუკი ყველაფერი გამჟღავნდებოდა, კარგს არაფერს დამართებდა. გულის გადასაყოლებლად მდინარესთან ჩავიდა, სადაც ქვიშაზე გაშოტილი შოლტივით გოგონა მზეს ეფიცხებოდა. ქათქათა სხეულს სიწითლე დასტყობოდა და ანუბიც მყისვე ღლაბუცს მოჰყვა — განახო, სად სხდებიან დაღლილი მტრედები? ეგ ადგილი სევდამ და მონატრებამ მიმაგნებინა. მალე გაისმა გულიანი კისკისი და საქმე ისე აღასრულა, მნიშვნელობას აღარ ანიჭებდა, ათასი თვალი რომ ხედავდა. მერე ჩათვალა, დღეისთვის კმარაო და გზას გაუდგა, მაგრამ იქაურობას ცოტა მანძილით რომ გაცდა, მშვენიერ სანახაობას ერთხელაც გამოხედა და დიდხანს ვეღარ მოაცილა მზერა. წამით ისიც გაიფიქრა, ხომ არ მივბრუნებულიყავიო.

საშინელება იმ საღამოს დაიწყო. ანუბს ისეთი მძიმე დღეები დაუდგა, ყორნების ჩხავილი ყველაზე ზუსტად რომ გაახმოვანებდა. მან საშინელი სიმყრალე შეიგრძნო. ნეტავ საიდან მოდისო, გაიფიქრა ზიზღით, იქნებ ფეხი ჩავდგიო სადმე. ფეხსაცმლის ძირებზე დაიხედა, ჯერ ერთზე, მერე მეორეზე, მისდა გასაკვირად სუფთა რომ აღმოჩნდა.

— ზღვის ნადავლით მომარაგდით? — ჰკითხა შორიახლო ჩამომჯდარ მოხუცს.

— არ მესმის?

— თევზი ხომ არ აყროლდა-მეთქი, ან იქნებ კარტოფილი დაგილპათ?

— აქ კარტოფილს ვინ დაალპობს, თევზს კი ვიტრინაშიც ვეღარ ვნახულობთ, შიმშილობის ხანა გვიდგას!

— მაშ ვერაფერს გრძნობ?

— ვერაფერს!

— იქნებ ყნოსვა სნეულებამ დაგითრგუნა? — წამით იმედით განეწყო ანუბი.

— აგერ იქ ნავთის ავზია, რომელსაც ჩემი ბეცი თვალებით ვეღარ ვხედავ, მაგრამ სუნით კი ვგრძნობ!

მოხუცმა თავისი ჯანმრთელობის აღიარებით იმედგაცრუება მოჰგვარა ანუბს. საღამოს მისი მდგომარეობა აუტანელი გახდა. ქუჩაში შლეგივით დარბოდა და ცხოვრების გაგრძელება აღარც ეწადა. ჯერ იყო და სიყვარული დაკარგა, ახლა კი სიცოცხლესაც თმობდა.

— წყალი თუ გნებავთ, შადრევანი იქით არის! — მიუთითა გზაზე გადაჩეხებულმა გამვლელმა, შეშლილი მზერით რომ მიხვდა, რაღაც აუტანელი სჭირსო.

რომ დაეთმო, გვერდზე გადახტა, მაგრამ ანუბი საპირისპირო მხარეს მიიწევდა. გამვლელმა თვალი მიადევნა. მას ვარდებისკენ აეღო გეზი, მერე შიგნით ისკუპა და ყვავილებს ისე დაეწაფა, მწყურვალი რომ წუწნის ქვიშის სველ მარცვლებს, ნესტი ჯერაც რომ შერჩენია. ძაღლებიც კი, იქაურობის უსიტყვო ბატონ-პატრონნი, წკმუტუნით განერიდნენ. ცოტაოდენი შვება რომ იგრძნო, ანუბი დაცხრა.

დასასრული მე-6 გვერდზე

ე.ი. ვარსებობ

სამშობლოზე რომ ჩამოვარდება ლაპარაკი:
იმაზე, დროშიანზე, ჰიმნიანზე, პოეტებიანზე —
ძველისძველი ხელობა (კახპების არმია ფრჩხილებში),
უკვე იცი, რომ ყველა ქვეყნიდან,
არანაკლებ ატრიბუტიანიდან, დაბრუნდები,
პასპორტში ჰომეროსი გყავს ჩაწერილი,
რომ გადმოიღვაროს, ქვეყანას წალეკავს!
— ნუ გეშინიათ, მარტო ლიტერატურულს!
მოქსოვილსაც, რომელიც, შეიძლება გევიწროვოს,
ნიადაგიც ხომ ასეა:
ყველაზე მგრძნობიარე ადგილებზე თუ არ მოგიჭირა,
ხასიათს ვერ გაგიკეთებს,
გახამებული, მომდგარი საყელოდან
გრძელყელიანი თავი ვერ ამოვა,
მიზანდასახული, მითუმეტეს,
ამ მასკულინურ გარემოში,
სადაც მდედრობითი სიტყვებით გამოიხატები
და არც ერთი შემოშველებული ხელი, ან მხარი!
მაინც, ბრუნდები,
პასპორტში ჰომეროსი გყავს ჩაწერილი,
მებაჟეებმა, დიდი-დიდი,
ბრინჯაოს აქსესუარი შეამჩნიონ,
პოეტები ბრინჯაომდელს იცნობენ,
მისგან არ ისწავლეს წერა
„ვტყუი, ე.ი.“-ს მოტივებზე?

კულისები

ერთხელ ვთქვი: — გრამატიკას მივთხოვდი,
მაგრამ მარტო მეტაფორა მიყვარს-მეთქი!
დეკლარაციულივით ნათქვამი იყო,
ლექსში ვერ ჩაჯდა, ყური გამიკაწრა,
მაგრამ ასეთი სიმართლეები, კიდევ, მქონდა,
მაგ. დნმ-ში თეატრი 99,9%...
სიტყვა „წუთისოფელი“ წამომეწია,
მარტოხელა, უსინონიმო სიტყვა,
სარჩულიდან რომ ამოატრიალო,
იმათაც გულისხმობს, ფრენით ვინც დაიღალა
და საყრდენს ეძებს, ვინც მიყვარდა...
სცენა რეალურ ფეხებზე დგას,
კულისები?
კაცი შემოვა, ხელში თავი უჭირავს,
დაიდგამს მხრებზე და წავა,
კისრიდან რომ ბალახი ამოსდის,
ეს მაყურებელზე იყოს:
ქალაქში თუ კათარზისი დაიჭირე,
ასეთია, ბალახივით, გააგრძელებ
და ყვავილებიან საგიჟეთს მიიღებ,
თორემ საიდან ისინი, ვინც მიყვარდა?
სცენა რეალურ ფეხებზე დგას,
კულისები — მეტაფიზიკაზე, თანაც
თუ ხავერდიანია და ტემპერატურიანი,
აქ შევიყუჟებით სიყვარულისთვის...

და ა.შ.

ლექსი გინდა გამოგივიდეს?
სასწრაფოდ, მაგიდა შეუშვირე!
თუ არ გაქვს, გამოიგონე,
თავის თაბახისფურცლებიანად,
მინდორში დადგი, მთაზე, ჰაერში,
პარკეტის და მწვანე მაუდის გარეშეც ივარგებს:
ერთი ფიცარი და ოთხი ფეხი,
ქვევით ნიადაგი, ზევით — ანგელოზები
არა შთაგონების გასაძლიერებლად
(ცარიელი სიტყვები), არამედ ისე, ანტურაჟისთვის,
ჰოდა, მიუჯექი მაგიდას!
ბგერებს ბორძიკი აცადე!
ფხიზლები თავისით დალაგდებიან,
ორ დაბნეულს შორის ჩადექი,
პაუზისთვის, როგორც ცეზურა, დროული დუმილი,
საიდანაც ნახევრადცივილიზებული აღმოსავლეთი
იხედება, ოქროსკბილებიანი, დოლებიანი,
გარშემო არეული აქაურობა,
საერთო ადგილები სოციალური ქსელებიდან
და ა.შ... მრავალწერტილი ლექსისაა,
მაგრამ ისინი, „და ასე შემდეგები“
გაგრძელებას მოითხოვენ, თანმიმდევრობას.
ვიოლინო ლურჯია და შორს არი...

* * *

სადღაც, აქვეა ეს გზა,
რაღაც 5-10 წუთის მოშორებით,
გზა, რომელსაც შენს სახლამდე მოვყავდი,
სადაც ტრამვაი დადიოდა,
აკრძალული ეკლესიები დუმდნენ,
ტრამვაი რეკდა, ამისთვისაც მიყვარდა,
მერე რეზოს ფეხი მოაჭრა,
მერე შენ შეგხვდი,
შენ ტკივილთან იდექი,
მე — სისხლის წვეროზე
(პირობითობა — ჩემი ხელობა იყო),
გახსოვს, ერთხელ რომ ამოვედი
და ყური კარებზე დავტოვე,
რასაც ვერ დაინახავდი,
მაგრამ სუნით მიცანი და დამირეკე...
სადღაა ის გზა? ტრამვაიმ
წითელი პირით შეჭამა და თვითონაც მოკვდა?
შენ მარმარილო დაგიწესეს, რომელზეც
არც ყელის და მკერდის მეყოფა,
არც კლასიციზმის...
ერთი ქვეყნით დავშორდით ერთმანეთს...
მერე ტკივილი იყო...

ჭეშმარიტებამდე

როცა ამინდი ალერსიანი იყო,
წამოწვებოდი, შუადღეს წაიფარებდი
და სახლი გათბებოდა,
საბნის ატლასივით გამოანათებდა,
კარგი იყო ამ შუქზე წერა...
ნახევარსიმართლეების სუსტი სხივი,
კარდიოგრამის ნორმალური კლაკნილები,
სწორ ხაზამდე არმისული, ჭეშმარიტებამდე,
რომელიც სასტიკია,
ვერცერთ პათოსს ვერ მიუყენებ,
მაგრამ ტკივილმა მეტაფორა იცის,
სანამ ლიტერატურის თეორიული,
თავში გაქვს, მერე ეს თავი
სისხლძარღვებს რომ ამოყრის,
„ბაღი გაგიშენებიაო“ — გეტყვის
დაბალი საოპერო ხმა, რაც
ერთ ოპერას და ლექსების ერთ კრებულს
მაინც ეყოფა,
მერე წერტილი, მრავალწერტილი, დუმილი?
ჭეშმარიტება? სუსხიანი, მდუღარე,
ამ ორივეთი ჭინჭრიანი,
ნახევარსიმართლეების სიტკბო ამოიწურა...

მერე რა

თავში ესთეტი თუ ჩაგივარდა,
ცდილობს, შენს სიმაღლეს მოერგოს,
სადამდე? ცამდე?
სიგანეში ცხოველი გყავს ჩატანებული —
მიწას უყვარხარ, ჯერ სიღრმით არა,
მარტო ზედაპირით, ბალახოვან-ყვავილოვანით,
წამალსაც არ გაგიჭირვებს,
ძაღლის ჯიშის ხარ,
ზედ გაშრება სისხლი და წვიმა...
ტანი იმპულსებზე მუშაობს,
ნორმალური საწვავის უქონლობის გამო
რა შეგიძლია?
თურმეობითი დახრილობა სინამდვილისკენ...
ზღვა გენატრება? მის ილუსტრაციაში ამოევლე,
ფერწასულ ლაჟვარდში! რომელსაც კი გააძლიერებ
ზეთის ფერებით, სინათლესაც გამოახედებ
ჩრდილის რეტუშიდან,
მოძრაობის გადმოცემა ჭირს,
ადგილზე ივლი, თითო ნაბიჯი თითო კილომეტრს
უდრის,
როცა ძალიან გინდა,
მხატვრებს გამოართვი ულტრამარინი!
როგორი სიტყვაა! გამოყენებამდეც ლურჯი,
სიცხეს მოეჭიდე ორი ხელის ათივე სხივით!
პოზა, ცოტათი მანერული,
მერე რა, სამხრეთს უხდება.

ამასობაში, ლექსი

ჩაქრა თვალები. ჩაუშავდათ ქუთუთოები,
რამდენ ხანს ითამაშეს ე.წ. „სულის სარკეობა!“
ერთი თვითონაც ჰკითხონ,
ყბები არ უჭრიალებს
ამ გაცვეთილი გამოთქმისგან?
რა ქნას? ბანალური უკვდავია.
მაგრამ როცა ერთი სტრიქონი,
მერე კიდევ და კიდევ,
ამასობაში, მთელი ლექსი,
ოღონდ, რაც გინდა ტკივილით,
ანესთეზია დაუშვებელია!
ან ლურსმნები რომ აჭედონ ტანზე,
სულ ვერცხლის, ამოიცალოს,
ათასი იუდა მოისყიდოს, იცხოვროს წყნარად,
მომავლის იმედით რომელიმე ჩყწყ წელს,
ე.ი. არასოდეს, მაგრამ იმედის ანესთეზიით...
აბა, როგორღა გაიკეთოს ჰაერისგან
ცისფერი ჩაი?
მეტაფორა ზედმეტი თავის ტკივილია,
თან ხომ იცის რაღაცები
„აუტკივარი თავის“ შესახებ
და გახლეჩილ მე-ზე?
როცა ერთი ნარკოტიკს ეძებს,
მეორე კივის, რაც ამბად მწარეა,
ლექსისთვის — ზედგამოჭრილი.

* * *

მივდივარ. ბნელა აქაც და იქაც,
მაგრამ იქ დამხვდებიან:
ალბათ, ის, კბილები რომ ჩაუმტვრიეს
და სხვა ჩაისვა, ამ ოქროთი გამინათებს,
მეორეს, რომელიც ავტობუსმა კედელს მიასრისა,
წითელი მიხაკები ამოუვა მუცლიდან,
ქმარი ყოყმანობს, ცაში ოჯახი, არ გამოვა,
ყველა თავისთვის ზის,
ყველა თავის ფროიდს კითხულობს...
კომპლექსები აქაც ყვავიან?
ერთი-ორს დავიმატებ და წამოვალ,
თავიდან, უფრო სწორედ, თმის ძირებიდან
მოწითალო პეპლები მცვივა,
მზეც იმდენი წითელი საღებავით მოზელილია,
ფოტოაპარატი რომ დაუმიზნო,
იქიდან ვან გოგი გამოფრინდება.
პოეზიამ ასეთი ჩიტებიც იცის!



* * *

მეთექვსმეტე სართულის აივანზე
დაჯდა პეპელა.
„ნეტავ ვისმა სულმა ჩამოისვენა?“ —
— გაიფიქრა მოხუცმა კაცმა.

* * *

აი, ამ ფოტოზე რომ ღია კაფეა,
მე მანდ ვზივარ, განაპირა მაგიდასთან.
ფოტოზე სეზონების მიხედვით იცვლება ფონი ჩემ უკან:
საუკუნოვანი ცაცხვის ხე
ითოვლება, იფოთლება, ყვავილობს, ყვითლდება.
იცვლება ამინდიც,
მხურვალე მზისგან ქვაფენილზე გაფენილ ჩემს ჩრდილს
ქარი გულმოდგინედ ხვეტს,
წვიმა უკვალოდ შლის,
თოვლი ნაზად მარხავს.
მოდიან ტურისტები და ღია კაფეს ფოტოებს უღებენ,
სელფებს იღებენ შეყვარებულებიც,
და ყველა ფოტოზე ვჩანვარ მე —
განაპირა მაგიდასთან.
მაგიდაზე მუდმივად დგას
ცარიელი გამჭვირვალე ფინჯანი,
რომლიდანაც ცაცხვის გამხმარი ყვავილების
სურნელოვან ჩაის ვსვამ ხოლმე,
და მუდმივად დგას ლუდით სავსე, გამჭვირვალე კათხა,
რომელსაც არასდროს არავინ აკითხავს.

ტყის მიწა გამხმარი მცენარისთვის
ანიმაცია

— ტყის მიწა მოუხდება შენს გამხმარ მცენარეს, —
მითხრა მეყვავილემ
და მიწა მომცა.
მიწა იყო ნოყიერი,
ბუნებრივი ნეშომპალით გაჯერებული,
და იმდენად გაჯერებული,
რომ ქოთანში ტყე ამოვიდა.

ტყე ამოვიდა და მოჰყვა ცა, ცას — განთიადი,
განთიადს — ნისლი,
ნისლმა მკრთალი, სუსტი სისველით
დაანოტივა აკაცია, სოჭი, წიფელი
და ისრებივით მომართული კიპარისები.
გაკრთა სხივების გირლიანდიც, ტყე აშრიალდა,
იდუმალ ზღურბლზე დაკიდული ზანზალაკივით
გაიწკრიალეს ფრინველებმა, კარნი განიხვნა
ტყის ანგელოზთა ხავსიანი სამალავისი.
ტყე ამოვიდა, გაჩნდა წყარო, წყარომ იდინა
ლურჯ სისხლძარღვებად გორაკებზე, მთაზე, ბექობზე,
იდინა წყარომ, იდინა და გზად მოიჩრდილა
შვიტა, გვიმრები, ბუერები, ბეგქონდარები.
ტყე ამოვიდა, ტყისპირებზე გაჩნდნენ მინდვრები,
იალაღები, მდელოები თუ სათიბები,
იქვე ყანები — ჯერ ჯეჯილის სიხასხასეთი,
მერე ოქროსფრად დაფერილი ხორბლის ქათიბით.
გაჩნდნენ ხეხილის ბაღები და გაჩნდნენ სახლები,
შარები, გზები, შარაგზები, ისევ სახლები,
სახლების იქით ისევ გზები, ისევ სახლები,
მდინარეები, ხეობები, წყალსაცავები.
სადღაც მეთევზე ანკესს ისვრის, როგორც ვარსკვლავი,
მდინარეს სწყდება ვერცხლის თევზი,
ცაში სხმარტალებს,
ირწევა ხიდი, მეტრონომის ქანქარასავით
ითვლის ნაბიჯებს გამვლელების, ითვლის ნაკვალევს.
ლიანდაგებზე მიმოდიან მატარებლები,
მიჰყავთ მგზავრები, უტოვებენ მგზავრებს სადგურებს,
— ნახვამდის! — ვიღაც ვაგონიდან იქნევს თავსაფარს
აბრეშუმისას და მერე კი ქარს გადაუგდებს,
ქარი დააფენს, თავსაფარი ღელავს ზღვასავით,
ჩნდებიან თეთრი ტალღები და თეთრი თოლია,
ტალღებზე გემი გაცურდება, გემი „დალანდი“,
რჩება ნაპირზე სევდიანი სანატორია.
ისევ სახლები, ისევ გზები, ისევ სახლები,
ყველა მნათობი და მთიები ერთად ანათებს,
ამოდის კვამლი ბუხრებიდან და ცას უკვალავს
ჭრელი სიზმრების უსასრულო თანავარსკვლავედს.
წევს თეთრხალება დინოზავრი — კავკასიონი
და სულს უბერავს გამჭვირვალე ყინვის ფრაქტალებს,
გაჩნდება თოვლი, უთვალავი თოვლის პიონი
ზვრებზე, ბაღებზე, ეზოებზე დაიფანტება.
ისევ სახლები, ისევ გზები, ისევ სახლები,
ციხე-ქალაქნი, საყდრები და ნასაყდრალები,
სოფლები, დაბა-ქალაქები, მეგაპოლისი —
ძველი უბნებით, პროსპექტებით, ქუჩით, კვარტლებით...
კვარტალში რუხი კორპუსები, ღია ფანჯარა,
განათებული აბაჟურის შუქით ოთახი,
ზუმი, სტოპ-კადრი. ოთახში ვარ (ვზი ტყისა პირსა),
დგას იატაკზე ძველებური თიხის ქოთანი,
ქოთანში ტყეა და ქვეყანა, რომელსაც ტყე აქვს,
მყარი საზღვარი. დაუშლელი მეგალითები.
კოდი. წარსული. მომავალი. მეხსიერება.
ფესვი. სიცოცხლე. ტყე...
სამშობლოს
ფოტოსინთეზი.

* * *

ჩქარმა მატარებელმა
ჩაიქროლა გაუჩერებლად
და პატარა სადგურების
სევდა წაიღო.

სიყვარული

ყველაფერი მარტივი ხაზით დაიწყო,
რომელიც მობილურზე საუბრისას
უჯრებიან ფურცელზე გავავლე
საუბრის დასრულებამდე
მარტივი ხაზი გადაიქცა კარდიოგრამად
კლინიკური სიკვდილის შემდეგ.

ელიჩკა

შენ რომ იმ დროში არ გეცხოვრა,
როცა სოფელი ქვას კი არა, ლოდს აგროვებდა
და ცოცხალ გოგოებს უეპიტაფიოდ ადებდა გულზე...
რომ არავის დაენახა მათი სხეული,
ზამთრის სუსხში ცივი მზისგან მოტყუებული
და უნებურად გამომსკდარი ვარდის კოკრები...
რომ არავის დაენახა მათი მუცლები —
სამოთხის უცხო კუნძულივით
მოულოდნელად ამოზრდილები...

რა იყო შენი სიყვარული?
ქვამარილად გადაქცეული შაქარყინული,
„რას იტყვის ხალხი“,
ჩვილის სახეზე დაცემული
თან ათინათი, თან სიმწრის ცრემლი.
აბასთუმნის ფიჭვნარის სუნში
სტვენდნენ ჩიტები.
აყვავებული ნაძვების მტვერში
სტვენდნენ ჩიტები თავდავიწყებით,
დგამდნენ ბუდეებს, ჩეკდნენ ბარტყებს
და ისევ სტვენდნენ
უფრო მეტი თავდავიწყებით,
მაგრამ იდგა დიდი სიჩუმე
და არავინ ჩურჩულებდა ამ სიჩუმეში
ელიჩკაააა... ელიი...

შენ რომ ამ დროში ცხოვრობდე,
რას იტყვის ხალხი?
რას ეტყვის ხალხი გოგოს,
რომლის თვალები
გახუნებულ, შავ-თეთრ ფოტოზეც კი ანათებენ,
და ისე ცისფრად ანათებენ,
თითქოს ეს გოგო —
სიყვარულისგან მიტოვებული,
მაგრამ მაინც ამ სიყვარულით პირთამდე სავსე,
ფეხისწვერებზე აიწია,
ასწია თხელი, გამხდარი ხელიც
და ცა ჩამოხსნა სამახსოვროდ,
მერე ეს ცა ბნელ მიწაში ჩაიტანა
და სახეზე აბრეშუმის თავსაფარივით გადაიფარა
უფრო ბნელი სინამდვილის დასავიწყებლად.

სტუდენტური ზაფხული

ზღვისპირა პატარა ქალაქის კაფეში
სტუდენტ მიმტანს ვუტოვებ „თიფის“
ჩემი სტუდენტი შვილისთვის,
რომელსაც ოკეანისპირა პატარა ქალაქის კაფეში
ვიღაც უტოვებს „თიფის“
თავისი სტუდენტი შვილისთვის.

შუშის ქალაქი
ნუკრის

თუ ვინმეს გახსოვთ აფხაზეთი, მოდით, მითხარით,
გკითხავთ:
— სოხუმი?
— დიახ, გვახსოვს.
— „ინტურისტის“ დიდი ვიტრაჟი?
ის ფერს ახელდა,
როდესაც მზე თეთრ ნაპირზე გარიჟრაჟს წერდა
და იღვიძებდა გამჭვირვალე,
ათასფერი შუშის ქალაქით.
შუშის ჩიტები ისხდნენ ტოტზე და ნისკარტებზე
შუშის მძივივით უბრწყინავდათ გალობის წვეთი,
შუშისსახლება ეზოებში ელავდა შუშის
მანდარინები, ფორთოხლები და მიმოზები.
ცა ჩამდგარიყო ზღვაში ლურჯად,
ზღვა იდგა ყველგან
და გამყოფ ტიხარს ხსნიდა შუშის ადამიანებს
და მათთან ერთად ეს ფერადი შუშის ქალაქი
ნამდვილ ქალაქში შუქ-ჩრდილებად გადადიოდა.
და იქნებ გახსოვთ, სად არიან ისინი ახლა,
სად გაქრა მათი სიფერადე და ანარეკლი,
ანდა ვის სიზმარს შეეფარნენ გადასარჩენად
ან იქნებ ვინმე გაახარეს ცხადში ახდენით...

გახსოვთ ის ბიჭი? იქ რომ იჯდა და მაგიდაზე
ეწყო ბოთლები გამჭვირვალე, მეწამულ ღვინით
სავსე და სულის ნატეხებით აწყობდა ქალაქს —
მზის კონტურებში მოქცეული გაზაფხულივით.
გახსოვთ ის ბიჭი? იქნებ არც კი წასულა არსად,
არ გაქრა, როგორც სინამდვილე სიზმრის ნაპირთან,
ან იქნებ... ისიც გამჭვირვალდა, ვიტრაჟად იქცა
და მერე შუშის მზესთან ერთად ზღვაში ჩავიდა...

დიმიტრი წიკლაური

მექალთანე ანუბი

დასასრული

მაგრამ შემდგომაც ასე გაგრძელდა. მზიან დღეებს შხამიანი ღამეები ცვლიდა, თითქოს ჰალსტუხის ნაცვლად სახრჩობელა მოარგესო. ძილში რატომღაც მედუზები ესიზმრებოდა. თვალებს მყისვე ახელდა, ზემოთ რომ აღეპყრო, ჭურში მჯდარი ჭერს რომ აჰყურებს, იმგვარად, ზეცას ასცქეროდა და გამომშრალ ტუჩებს ილოკავდა, მარილის მშაშხავი გემო რომ მისცემოდა. ეს შეგრძნება წარწყმედას ჰგავდა და ანუბი ცახცახმა აიტანა. სიმყრალეს თავისი წებოვნება გააჩნდა, ყოველ საგანს რომ აჰკვროდა განსავრცობად. ფილოსოფიური მსჯელობა, ქალის კისკისი თუ ბავშვის ტიტინი, ყველაფერი ამ სიმყრალის შემადგენელ ნაწილად ქცეულიყო. ეს ახალგათხრილ საფლავებთან ზვინად ახორხლილი ყვავილების სურნელს აგონებდა, დამჭკნარსა და სიცხისგან გამომხმარს ნაგავსაყრელების ხრჩოლვა რომ აჰყოლოდა. ამ შეგრძნებას მანამ ვერ მოიშორებდა, სანამ მიღმიერ სამყაროში არ გააღწევდა. წყვდიადი გულისამრევად იწელებოდა. წინწკლებად ქცეულ ვარსკვლავებს პლაზმის ბზინვა შუქურის მკრთალ ნათებად აჩნდა. კაბადონზე შეღამების უღიმღამობა უვრცეს სივრცეში ამაო როკვას მოეცვა, ანუბს კი ერთი სული ჰქონდა მნათობის ამოჩახჩახება ეხილა. განა იმიტომ, რომ მისი სილამაზით დამტკბარიყო, როგორმე ყნოსვა რომ დაჰკარგოდა. ღამით იმგვარი მიუსაფრობა იპყრობდა, ირგვლივ მხოლოდ გვიმრები ხარობენო. განთიადზე ცა შრეების სამალავს ემსგავსებოდა. ყრუ გრუხუნი, თოვლის გახვეტისა და ხრეშის ჩამოცლის მსგავსი ბგერები შხაპუნით იცვლებოდა. განთიადზე გარშემო ისეთი უსუფთაობა სუფევდა, როგორც მეჯლისის მეორე დღეს.

მოჩუქურთმებული თაღებითა და რკინის საზურგიანი ძელსკამებით აღჭურვილი ქალაქი თეთრი კედლებით თავდებოდა, რომლის მიღმაც სნეულების ალაგმვა ხდებოდა. ანუბი იქით გაეშურა, რადგან იძულებული გახდა კლინიკაში დაწოლილიყო. მის დანახვაზე სნეულებმა თავები ზანტად მიაბრუნეს, მსგავსად მზესუმზირებისა, მზეს რომ მზერას ვერ წყვეტენ. ექთნებიდან ერთი გამოეცნაურა კიდეც, გიცნობო და მალე მისი ამბავი დანარჩენებსაც მოსდო, მექალთანის სახელი აქვსო გავარდნილი, მაგრამ თავის მოსაწონებლად მისულ ექთნებს ანუბმა მზერა მოარიდა. რეპუტაციის შებღალვა მასში განგაშს აღარ იწვევდა. ყველაფერს შეეგუებოდა, ოღონდაც განკურნებულიყო.

— გადასხმებს გაგიკეთებთ! — ანუგეშებდნენ ექთნები, ღამის მორიგეობა რომ დაეწესებინათ, თანაც ამშვიდებდნენ, — შეღავათს თუ ვერ იგრძნობთ, არც გავნებთ!

კლინიკის ბუღალტერიამ ბლომად ფულის გადახდა დააკისრა, მაგრამ მდგომარეობა ოდნავადაც არ გაუმჯობესებია. გასასვლელები დახშული რჩებოდა, განსაცდელებით ჩარაზული. ვერავის მოჰყავდა საუკეთესო დრო. ბოლოს ანუბი საერთო პალატაში განათავსეს. ყოველი სნეული ინდივიდუალობით გამოირჩეოდა და მთლიანობაში სხვადასხვა მიმართულების გიჟებსა ჰგავდნენ. ერთი ისეთი მსუქანი იყო, სადაც მოთავსდა, იქვე დატოვეს. წამდაუწუმ გადაადგილების ოსტატები იყვნენ, მაგრამ ამ შემთხვევაში გულისხმიერება გამოიჩინეს. ანუბი ხილულზე უპირატესად უხილავს მიიჩნევდა, რომელიც ტანჯავდა. სნეულთა დანახვაზე კი სახე ეღუშებოდა. იქ კიდევ ერთი ბებერი სნეული იწვა, სიცოცხლის გაგრძელება მოწყენილობას რომ მატებდა. ამბობდა კიდეც, ჩემს კუთვნილ ადგილს ვერ მივაკვლიეო და ახლა, ცხოვრების მიწურულს, თავის დაღწევის სურვილიც აღარ ჰქონდა. რახან აქამდე გავქაჩე, ბარემ ასევე ჩათავდესო. ცვლილებებს ჭირის დღესავით უფრთხოდა. დიდი ხანია, ეჭვი მაქვს, ინექციის ნაცვლად ძარღვებში შხამს გვიშხაპუნებენო, გამოუტყდა ანუბს, რომელსაც ერჩივნა, შხამი კიდევ უფრო მეტი ყოფილიყო. დასრულდებოდა მაინც ამდენი ტანჯვა.

— ესენი არაფერსაც არ კურნავენ! ეტყობა, გარეწრებს დაღავენ, პატიოსან ხალხში რომ არ აერიოთ, სასჯელი აქვე რომ მიეზღოთ და სახეები დაუმწუხრდეთ! — აღმოთქვა ბებერმა სნეულმა დაბეჯითებით, — როგორმე ბრძენი უნდა ინახოს! რახან ირგვლივ ამდენი სულელია, თითოოროლა ბრძენიც გამოერევა!

— მე ვიცნობდი არქივის დარაჯს! — ლაპარაკში ჩაერთო მსუქანი სნეული, — ერთთავად ფოლიანტებში იქექებოდა. რაც ხელში ჩაუვარდებოდა, თვალი უნდა გადაევლო. ავადმყოფთა ისტორიებსაც ბლომად კითხულობდა. რაიმე უსათუოდ ეცოდინებოდა!

— სად ცხოვრობს? — დაინტერესდა ანუბი.

— დაფნარში გადასახლდა!

— მართლაც ბრძენი ყოფილა, რახან ქალაქს მოსცილდა! — აღნიშნა ბებერმა სნეულმა.

— ისედაც იქიდან იყო, აქ მხოლოდ სწავლისა და პრაქტიკის პერიოდი გაატარა! — თქვა მსუქანმა სნეულმა.

— კიდევ რა იცი მის შესახებ? — დაინტერესდა ანუბი.

— იქამდე მატარებელი მიდის. სადგურს ახალი დაფნარი ჰქვია. ის კი ძველ დაფნარში მკვიდრობს, მატარებლის სადგურიდან რამდენიმე კილომეტრში რომ მდებარეობს. ფეხით თუ წახვალ, გზაში რამე წამოგეწევა.

მეორე დღეს ანუბმა ექიმს განუცხადა, თავს გაცილებით უკეთესად ვგრძნობო და კლინიკიდან გაეწერა.

— მიდიხარ იმისთვის, რომ დაბრუნდე? — დაცინვით მიმართა მთავარმა ექიმმა, რამაც ექთნებში საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია და ერთხმად ახორხოცდნენ. რა უნდა ეთქვა ისეთი, მსგავსი რეაქცია რომ არ მოჰყოლოდა.

ანუბს არაფერი უპასუხია, საბუთები გამოართვა და სახლისკენ ფეხით წალასლასდა. ყველა უბანი თავის გასაჭირს უმკლავდებოდა. სამხერხაოსთან ჰაერში ბურბუშელები ფარფატებდა, საამქროში ევკალიპტს ხერხავდნენ, სასადილოში ცულით ვეშაპის ხორცს აპობდნენ და შაშხის სურნელი იდგა, საწნახელში სისხლივით წითელ ღვინოს წურავდნენ, დახლთან კი ორაგულებს ბითუმად ჰყიდდნენ. მალე ლამპიონები აინთებოდა და ანუბის წამების ზარი ჩამოჰკრავდა. დანარჩენები ისე იქცეოდნენ, თითქოს ლამპიონების შუქს მხოლოდ ბედნიერება მოჰქონდა. მოისურვებდნენ, გზას გააგრძელებდნენ, მოისურვებდნენ, შეჩერდებოდნენ. დრო კი, რომელიც ყველაფერს ნთქავდა, მოგონებებად რომ ექცია, ანუბისთვის უსაშველოდ იწელებოდა.

შინ შესვლისას ტახტზე დაემხო და მომდევნო დღის დაგეგმვას შეუდგა. გაჭიანურებული ტანჯვა გამოსავლის ძებნას აიძულებდა. ყველაზე მნიშვნელოვანი — საბუთები, საფულე და ძვირფასი სანთებელა, რომელსაც ვერაფრით ელეოდა — მაგიდაზე ისე იყო მიმოფანტული, თითქოს მათი არსებობა არც აღელვებსო. ტანსაცმელიც დასჭმუჭნოდა და ქამრის ბალთის ბრჭყვიალა ზედაპირსაც ჭუჭყი აუფერულებდა.

5.

ანუბი ადრიანად დაადგა გზას. ახალ დაფნარამდე მატარებლით იჩაქჩაქა, იქიდან ფეხით რომ განეგრძო. სადგურის შორიახლო დგუშის მონოტონური ხმა ისმოდა. ქარხნის ვრცელ ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი საამქრო მუშაობდა. ინჟინერი ცდილობდა, ვადაგასული მექანიზმის გამოსადეგობა როგორმე გაეხანგრძლივებინა. სამკერვალო არტელი იყო, სქელ თოკებს წვრილი ძაფების დაგრეხით ამზადებდნენ, ძველ ნაჭრებს კი ნედლეულის გამოთავისუფლების მიზნით არღვევდნენ.

ანუბმა ღარიბულ ფასადებს მოწყენით შეავლო მზერა, ოდესღაც უთუოდ ლამაზი შენობები რომ იქნებოდა. ცენტრი ვერასოდეს იქცეოდა გარეუბნად და თავის პეწს მაინც შეინარჩუნებდა.უკიდეგანო განვრცობა დასაწყისის გაცნობიერებით ხორციელდებოდა, სამყარო კი იმგვარად იყო მოწყობილი, ერთი ხმა მეორეს ახშობდა, ახალი ხედი ძველს გადაფარავდა, ხოლო გარეუბანზე ჭაობები მიანიშნებდა და კიდევ ღრმა მიწაყრილი, დაფჩენილ ხახას რომ წააგავდა, სადაცაა ზეცას შეჰღაღადებსო. ელიტის წარმომადგენელი იქაურობას არც გაეკარებოდა. მხოლოდ ერთხელ სწვევია მდიდარი კაცი ცოლის სათხოვნელად. ახალგაზრდა ქალი უსაშველოდ ლამაზი ყოფილა და ბებერ ქმარს ისე მოჰყვებოდა, ანკარა წყარო მღვრიე და ტალახიან მდინარეს რომ ერთვის. კაცებს ეს ქალი ეცოდებოდათ, ქალები კი მის ბედს შენატროდნენ. დასახლება ძველი ჩანდა. ზოგი სახლი დანგრევის პირას იყო მისული, იმდენი რამე მოშლოდა, ჭრიალა კიბით დაწყებული და გაღუნული საწვიმრით დამთავრებული და ანჯამებიც ისე უყანყალებდა, თითქოს დიდხანს ანჯღრიესო, როგორმე რომ მოესულიერებინათ. ტროტუარს ალაგ-ალაგ ბორდიურები კიდევ შერჩენოდა, მნახველი რომ დარწმუნებულიყო, ოდესღაც ყველაფერი რიგზე ყოფილაო.

თელის ქვეშ ბებერი კაცი თვლემდა, რომლის სიახლოვეს შავტუხა ბიჭი ტრიალებდა, თვითონ ეს კაცი ჩოფურა იყო და დროდადრო თვალებს შემზარავად ახელდა, თითქოს ნახევარი სიცოცხლე საკნებში ეყურყუტა, აღსასრულის წინ კი დაზაფრული გაჰყურებდა გზას, გეგონება ხსნას იქიდან ელისო. იქნებ გორის იქით კაცს კლავდნენ, მაგრამ რახან გორის აქეთ იმყოფებოდა, სინდისი სუფთა ჰქონდა. მარტოსული იყო და სტუმრობის ყოველი მცდელობა წყლის ნაყვად მიაჩნდა, რადგანაც მისი ვიზიტიც გმირული სულისკვეთებით გამსჭვალვას აღარ მოემსახურებოდა. ჩიხის შეგრძნებიდან დროდადრო სასმელს გამოჰყავდა. ზეწრების სამრეცხაოსთან ლუდხანა ეგულებოდა და ქუჩას მოწიწებით გაჰყურებდა, რადგან იცოდა, სახლი რომ დაეკარგა, იქ აღმოჩნდებოდა.

— ადამიანმა ჩაიარა თუ ძაღლმა? — კითხვა მძიმედ ჩამოაყალიბა ჩრდილებით გაბეზრებულმა ჩოფურამ.

— ადამიანმა, აბზუებული ცხვირით! — მიუგო ბიჭმა.

— მაშინ სჯობდა, ძაღლს ჩაევლო! — ანუბის გასაგონად აღმოთქვა ჩოფურამ და ცხვირი ისე ხმამაღლა მოიხოცა, გეგონება, იძრობსო.

ანუბს წყენა არ დასტყობია და ლაღად მიმართა:

— ბრძენს ვეძებ! როგორც ამიხსნეს, აქეთ ცხოვრობს!

— მივხვდი, ვისაც გულისხმობ! — იქედნურად გაეპასუხა, — ეგ იშვიათად ლაპარაკობს!

— რა მიზეზით?

— აღარ უნდოდა, რომ ამასთან ისე ეთქვა, იმასთან ასე, როგორც დანარჩენები ვიქცევით და დადუმება არჩია!

— არც მე მომისმენს?

— სცადე! ბარემ მოსული ხარ! იმ ბორცვს ხომ ხედავ! — ხელი სივრცისკენ გაიშვირა, — ფერდობზე მოჩვენებები ცხოვრობენ, მოლიპული გზა რომ ვერაფერს აკლებთ და მთვარის შუქზე ყირაზე გადადიან. იმხელები არიან, ვარსკვლავებს ხელით შესწვდებიან და თუ უნდათ, მოწყვეტენ კიდეც. ბორცვის გადაღმა ბრძენის ქოხია. აქეთ იშვიათად გადმოდის. მხოლოდ აფთიაქში თუ შეივლის, ტკივილგამაყუჩებლისთვის, ან მაღაზიაში, მინერალური წყლის შესაძენად. სხვა საყიდლებს არცა ცნობს. აქაურები ჩრდილივით აედევნებიან ხოლმე შეკითხვებით, ის კი მოწიწებით მიანიშნებს, თავიდან მომწყდითო. უდრტვინველად ცხოვრობს და სიკვდილის გარდუვალობას ფილოსოფიური განწყობით ეგუება. ისე კი, რასაც თავის თავზე ამბობს, სხვებს ეხება!

— როგორმე დაღამებამდე უნდა ვეახლო! — შეშფოთება დაეტყო ანუბს.

— დაღამებამდე ხუთჯერ მიხვალ! — დაამშვიდა ჩოფურამ, ანუბს თავიდან ღრძოდ რომ ეჩვენა.

— შინ დამხვდება?

— მაშ სად ჯანდაბაში წავა?! — გულითადად ანუგეშა მან.

— ყრმობიდან ბრძენი იქნებოდა? — წასვლას არ ჩქარობდა ანუბი, იქნებ რაიმე ინფორმაცია კიდევ დავტყუოო.

— სულელი იყო! — დასჭექა ჩოფურამ, — გაჭირვებამ დააბრძენა, უფრო სწორად ოხვრამ, მის ოჯახში ხშირად რომ გაისმოდა. თავი შიმშილისგან უსკდებოდათ და ტკივილგამაყუჩებლებს სვამდნენ. მამამისი თავის ანჩხლ ხასიათს ეპოქას აბრალებდა. თავი მუდამდღე ვერმიშელით გაჰქონდა და სიცოცხლე დიდად არ უხაროდა. წიგნები შვილს ბევრჯერ გადაუყარა, რადგან ამაოების საფუძვლად განათლება მიაჩნდა. როცა გარდაიცვალა, სოფლის სასაფლაოზე დავმარხეთ. ბრძენს მამამისზე სიტყვას ვერ გადაუკრავდი, არასოდეს დასცინოთო ადამიანს, მითუმეტეს მისთვის ყველაზე საპასუხისმგებლო დროს, როცა ამ ქვეყნად აღარ არისო, დაიჟინებდა. მე თუ მკითხავ, ყველაზე მოსვენებულად სწორედ მაშინ გრძნობს თავს, პასუხისმგებლობა რომ აღარაფრის აქვს, მაგრამ არ შევკამათებივარ. რა აზრი ექნებოდა ბრიყვთან კამათს, მეტსახელად ბრძენს რომ ეძახიან?

— როგორ გამოიყურება?

— მუდამ კოპებშეკრული დადის და საერთო გულგრილობის პირობებში ყურადღებას არ იქცევს. არც გაიცინებს, დანარჩენთა გულისწყრომა რომ არ გამოიწვიოს!

— მისი დანახვა ალბათ სინანულს იწვევს? — თქვა ანუბმა.

— მე პირადად სიცილი მიტყდება! — ლაპარაკში პირველად ჩაერთო შავტუხა ბიჭი, მათ საუბარს გაფაციცებით რომ უგდებდა ყურს.

მერე ანუბი ძველი დაფნარისკენ მიმავალ გზას გაუყვა, ვერტმფრენის საფრენ ბილიკს რომ ჰგავდა, ზეციისკენ გაკვალულს, მაგრამ არავინ წამოსწევია. ბორცვიც ისე გადაიარა, აჩრდილები არ შეხვედრია. მდინარის ქაოსს ხავსი ქმნიდა, წყალწაღებულთა უკანასკნელი ნუგეში, რომლის სიახლოვეს ფეხსაცმლის ლანჩები დაუსველდა. მთელი გზა ბრძენზე ფიქრობდა, თავისსავე თანამემამულეები აგდებით რომ იხსენიებდნენ. იქნებ ჯოჯოხეთი იმით სულდგმულობდა, ადამიანთა სურვილი ურყევი რომ იყო, მკაცრად დასჯილიყვნენ მათზე უკეთესნი. ყურადღებასაც სიმართლესთან დაპირისპირებით იქცევდნენ, ხოლო ჭეშმარიტების მცოდნეთ ცრუმოწმის იარლიყს აკერებდნენ, რომელთაც ნუგეშად ის რჩებოდათ, სახელს თვითმარქვიები რომ უტეხდნენ. ეშმაკი კი კაცთა გაბო-

როტებით ხვეწდა თავის ოსტატობას.

ქოხი ერთბაშად გამოჩნდა, რომელიც ისეთ უბადრუკ ადგილას ჩაედგათ, გეგონებოდა, იქ მცხოვრებს თავშესაფრის ძებნა მოჰბეზრებოდა და ჰაიჰარად დასახლებულიყო. ეზოში ვეება კუნძი ეგდო, მაგიდის მაგივრობას რომ სწევდა და ზედ მოჭრილი ხვიარები ეყარა, შამბის ფესვების მსგავსი. ბრძენი რაიმე ნაყენში თუ იყენებდა. მუქად შეფერილი სინჯარებიც, ლაბორატორიის აღჭურვილობას რომ წარმოადგენდა, ბლომად ელაგა. რაფაზე გამჭვირვალე ვაზა იდო და კიდევ ცარიელი საყვავილე სამყაროსთან შერიგებისა თუ ზავის ნიშნად. ანუბის შეხმიანებაზე ბრძენი გამოჩნდა, რომელიც ისეთი ჭაღარა იყო, ოდესღაც უთუოდ შავგვრემანი იქნებოდა. ნაკვთებით მადრიდელ დიდებულს წააგავდა, სიმდიდრე რომ აღარ ადარდებდა. შუბლი ამობრუნებული კოვზივით ჩაღრმავებოდა, გრავიურებზე ძველ ადამიანებს როგორსაც გამოსახავენ. მას იდუმალი ცხოვრება ეწადა, სცენის მიღმა და აპლოდისმენტების გარეშე, ამიტომაც არჩია განდეგილობა, თორემ საკმარისი იყო თავი გამოეჩინა, უმალ კათედრაზე გააქანებდნენ.

— ღრანტეებით გივლია, — ჩაიჩიფჩიფა ბრძენმა, — იმიტომაც გაქვს ფეხსაცმელები ტალახიანი!

სანამ ანუბს მოსვლის მიზეზს ჰკითხავდა, თვალები ზემოთ აღაპყრო, გეგონება, ზეცის კარნახს უგდებსო ყურს. უცებ წვიმამ ჩუმად დაუშვა. შხაპუნიც კი არ ისმოდა და არც მიდამო მოეცვა შორეულ ელვასა და ჭექა-ქუხილს. მრეშ მთებსაც უექოობა დასჩემებოდა, ბრძენი კი თავის ქოხიანად თითქოს თბილ ტალღებში შესახლებულიყო.

— მშვიდად წვიმს! — აღნიშნა მან.

— ნეტავ რამდენ ხანს ხანს გასტანს?

— სანამ ლაპარაკს მოვრჩებით!

— საშინელ დღეში ვარ! — ასე დაიწყო თავისი სათქმელი ანუბმა, იქვე რომ გაასრულა, — თქვენთან მომასწავლეს, დიდად ნაკითხი ბრძანებულხართ!

— ძირითადად ოქმებს ვკითხულობდი! — ხელი ჩაიქნია ბრძენმა, — შენ რით ხარ დაკავებული, მოწყალებას ითხოვ?

— ვმუშაობ... ზოგჯერ ვპოულობ კიდეც! — ანუბმა ეს ორი საქმიანობა ისე ერთმნიშვნელოვნად დაასახელა, თითქოს ტოლფასი ხელობები ყოფილიყოს.

— მოწყალების თხოვნაში ცუდი არაფერია. პირიქით, ვინც მოწყალებას არ ითხოვს, ყველა ქურდია. ამ სამყაროში არაფერი ჩვენ არ გვეკუთვნის. მაინც რას საქმიანობ?

— არაფერს ისეთს, საწყობის ეზოში ურიკას დავათრევ!

— ეცადე, ჭიანჭველები არ გადასრისო!

— რაღაც უცნაური დაავადება მჭირს! — საქმეზე გადავიდა ანუბი, — აუტანელ სიმყრალეს ვგრძნობ შეღამებისას, არც კი ვიცი, რა მიზეზით!

— შენივე ჩადენილი საქმეების გამოა, მზის ჩასვლა ტანჯვას გიმძაფრებს და დღის შეჯამებას ემსგავსება. კარზე მომდგარი ანგელოზის კაკუნი ოდესმე გაგიგონია?

— არა! — მხრები აიჩეჩა ანუბმა და მიიხედ-მოიხედა.

— ეტყობა, გართობა გიყვარს?

— ჰო!

— ქალები?

— კიდევ უფრო!

— როგორღა გაიგონებდი, თუკი გული ამა სოფლის ხმაურით გქონია სავსე... ეგ ამბები როდიდან დაგეწყო?

— მონაზვნის დაკარგული საფულე ჩემთვის დავიტოვე, მხოლოდ მცირედი ვუწილადე მათხოვარს, რომელმაც უცნაურად დამლოცა... ასე გაგრძელებას, მირჩევნია, თავი მოვიკლა!

— შეეშვი სიცოცხლეზე წუწუნს, ჯერ რომ არ ამოწურულა და ვნებებისთვის თავის დასაღწევად გეძლევა!

— როგორ დავაღწევ? რაც უფრო წინ მივიწევ, მეტად განვავრცობ!

— მაგ სიმყრალეს დღისით იმიტომ ვერ გრძნობ, ცოდვებით ხარ დაკავებული. კოშმარი მერე გეწყება, წყვდიადთან ერთად. სივრცე გთრგუნავს და გსრესს, თითქოს ჭყლეტაში მოჰყევი. მღვრიე ნაკადები თავზე გადაგდის, გეგონება ნაჭრებში გხვევდნენ, უფსკრულში რომ გადაგისროლონ!

— ჰო! ასეა! მზა რეცეპტი მჭირდება, ამ მდგომარეობიდან რომ გამომიყვანს! ამგვარი სნეულების შესახებ გსმენიათ? იქნებ იცოდეთ ვინმე, თავი რომ დააღწია?

— სიცოცხლე ძალისხმევას გულისხმობს. იგი ან მიძღვნაა, ან დროის ფანტვა. ამას შენ ირჩევ!

— მე ყოველთვის სამყაროს ფერადოვნება მხიბლავდა!

— ეგ დროის ფანტვაა! სამყარო სტიქიას ჰგავს, რომელსაც ვერ მოათვინიერებ. გისოსებიდან თავდაღწეული ლომების ღრიალი ჩაგესმის, შემზარავი ხმა, სისხლის გამყინავი. ლომები უკანვე უნდა შერეკო, გისოსებში. რომელი ადგილიც რწმენისთვის არ რჩება, ეშმაკები იკავებენ!

მერე ბრძენმა თავისი ამბები გაიხსენა. დასკვნის გამოსატანად ძველ მოგონებებს ეყრდნობოდა, მნიშვნელოვანი რომ იყო მისთვის. წარსული ერთადერთ კუთვნილებად მიაჩნდა, განსახილველ მასალად რომ ივარგებდა:

— წლებთან ერთად სხეული ცვდება, სული კი გაღწევას ლამობს. მე უსახურად ვიცხოვრე, თითქოს მწირ ზარდახშაში უსარგებლო ქვებს ვაგროვებდი, ფსკერს კი მაინც ვერ ჩავწვდი, უზარმაზარ ნიჟარებს რომ მალავს ძვირფასი მარგალიტებით. სიკეთის მხარეს თუ არ დადექი, ბოროტების მხარეს აღმოჩნდები. მე ვცდილობდი, ავი არ განმეზრახა, რადგან ავის განზრახვა მზაკვრის ადევნებაა. შურისძიება ბოროტის სახლში შეყოლაა, მასთან სტუმრობა და მისი ლუკმის გაზიარება, მაგრამ ყოველთვის როდი გამომდიოდა. მე ზღვის პირას დავიბადე, სავაჭრო პორტთან. დღესავით მახსოვს ზვირთების შეხლა, ტანკერს ცილინდრი გახვრეტოდა და დაქცეული მაზუთი შავ აპკად მოსდებოდა. აზავთებული სტიქიონი, თითქოს მისი მოშორება სწადიაო. დაგრეხილი ტალღებით ზოგან ისეთ ღრმულებს აჩენდა, ეს ორომტრიალი ფსკერზე ხელის ფათურს ემსგავსებოდა, სწრაფვას სისუფთავისაკენ. მამაჩემს სახსრები აწუხებდა და ნესტს რომ მოვრიდებოდით, ამ მხარეში გადმოვსახლდით, მწირი ფანჩატური ავაგეთ, ღვართქაფში წვეთები შიგნით რომ აღწევდა, მაგრამ სიბნელეში ვერაფერს ვხედავდით. მხოლოდ მზის ამოსვლით ვამჩნევდით ბზარებს. ათინათი სიხარულის მოგვრას განაპირობებდა, მნათობს ხომ მისივე სინათლე წარმოაჩენს. მზე უნდა შეუშვა შენში, ჭრილობები რომ დაინახო. თორემ დღეს რომ პავილიონი და ვარდებია, ხვალ ნანგრევად და ეკალ-ბარდად იქცევა! — მერე ბრძენი წვიმის გადაღებამდე დადუმდა, მერე კი თქვა, — სახლის ბედნიერებას რომ მიხვდე, ზღურბლი უნდა გადალახო, ხანგრძლივი ხეტების შემდეგ კი დაბრუნდე. სასჯელი მხოლოდ მაშინ მოდის, გამოსავლად როცა იქცევა, სიმყრალის გადაფარვას ყვავილები არ ყოფნის, სიყვარული სჭირდება!

6.

მაგრამ როგორც კი დღის სინათლემ ბინდისკენ გადაინაცვლა, ანუბი შიშმა შეიპყრო. ბრძენმა დაამშვიდა, სანერვიულო აღარაფერი გაქვსო და დარჩენაც შესთავაზა, მაგრამ მან იუარა. იქიდან წამოსულს შუა გზაზე შემოაღამდა და მიწაზე წამოწვა. საშინელი სურნელი მაინც არ მოშორებია. გამომივიდა ეგეც ბრძენი, გაიფიქრა ბრაზით, მაგრამ გამთენიისას, თვალები რომ მოიფშვნიტა, ჭაობი დაინახა. თურმე მის პირას სძინებია და სიმყრალის მიზეზიც ეს იყო. ანუბმა ისეთი ყიჟინა დასცა, ალბათ მსოფლიოში ერთადერთი კაცი იყო, ჭაობის დანახვა ასე გახარებოდა. ბევრი დეტალის გახსენებას შეეცადა ერთბაშად, ერთ გზაზე რომ სურთ ყველაფრის მოხელთება და ბარგს პირთამდე ძეძგავენ. გონებაში იმ დღეებს დასტრიალებდა, მწუხარე ბედი აღმართებში მორჩილად რომ დაატარებდა. ფეხქვეშ მიწა რომ ერყეოდა და ქარიშხლებს დაცხრომას აიძულებდა. აქ რომ ყალყზე იდგა, უდაბნოს პაპანაქებაში სულს ღაფავდა, ცას თავსხმისკენ მოუხმობდა, მაგრამ თარეშით დაღლილ ქარბორბალებს ღრუბლები უკიდეგანობაში გადაერეკათ. ანუბი ჭაობის პირას იდგა, სადაც ძროხები ძოვდნენ და ლერწმების შრიალს აყურადებდა, სველი ფრთების ტლაშუნს რომ აგონებდა. ერთი ხანობა გადაწყვიტა, ბრძენთან მივბრუნდები და განკურნების შესახებ ვამცნობო, მაგრამ ამას ხომ ისედაც მიხვდებოდა. მერე ტბორში თავის ანარეკლს ჩახედა. მტვერში ამოგანგლულ ტანსაცმელს დიდხანს დასჭირდებოდა ბერტყვა. მეზობელი კი უსაყვედურებდა, ძალიან ხმაურობ, შენ მოსვლამდე რა მოსვენებული ვიყავიო, ანუბი კი ეტყოდა, რომ კაცი ნამდვილი დახვედრისთვის ბრუნდება და რომ ჭეშმარიტ სამშობლოში არ საყვედურობენ, რას დამსგავსებიხარო, არამედ გულში იკრავენ, მადლობა რომ დაგვიბრუნდიო.

ანუბმა მთელი დღე იქ გაატარა. უკანა გზას მთვარის შუქზე გამოუყვა და დამეწყრილი მიწის სურნელება შეიგრძნო. სიმყრალის ნატამალიც გამქრალიყო, მუქად შეღებილ სივრცეს კი წყაროს მელოდიური ბგერები ავსებდა. ანუბი ღრმად სუნთქავდა, არცერთი არომატი რომ არ გამოეტოვებინა. ვერ ძღებოდა სურნელთა მრავალფეროვნებით, თითქოს ცეცხლთან მდგარიყოს, სახე რომ უხურს, სხეული კი ჯერაც ვერ გაუთბია. თალხი ფერებით შეზღუდულ ღამეში ხანდახან ისე იელვებდა, თითქოს სიზმარი აკრთობსო. რიჟრაჟის მატებასთან ერთად ხეობა ხეივანმა შეცვალა. იგი ადრიანად მიადგა ახალ დაფნარს, ერთი შეხედვით დასანგრევად განწირულ დასახლებად რომ მოეჩვენა, მაგრამ რახან სიმყრალე აღარ აწუხებდა, სურვილი გაუჩნდა, მძიმე ამბებიც ლაღად განევრცო. მომრგვალო ღრუბლებს, ბეზესა და ნაყინის ბურთულებს რომ ჰგავდა, ვეება ამწე გიგანტური წეროსავით კენკავდა. ერთგან ქარს სამშენებლო ხარაჩოზე ტენდი გადაეძრო, მიწაზე რომ დასთრევდა და ყოველ წამობერვაზე ძირს დაშვებული პარაშუტივით ახეთქებდა.

ანუბი ბაქანთან შედგა ვაგზლის შენობის ფანჯრის დარაბების ჩრდილში, თითქოს ვეება ფრინველის ფრთებქვეშ შეყუჟულიყო და მატარებლის მოლოდინში, განრიგის მიხედვით კიდევ ერთ საათს რომ გასტანდა, აისის შუქზე გამოკვეთილ მოღუშულ სახლებს გახედა, გეგონება ლამფის სიმკრთალე ამანათებს დანათისო.

დიდხანს გაჰყურებდა ალანძული მოპირდაპირე შენობას, რომლის მთელ ავანჩავანს თეთრეულითა და სარეცხით გადაჭედილი აივანი წარმოადგენდა. ვიღაცა მოხუცი პაპიროსს ქაჩავდა, როგორც იალქნიანი გემის ბებერი ლოცმანი და ზედ ისე მოკალათებულიყო, თითქოს ამ აივანზევე გამოეზამთროს. სახეზე მშვიდი მზერა აღჰბეჭდოდა. რასაც ოდესღაც აღტაცებით ხვდებოდა, მნიშვნელობა დაჰკარგოდა, ხოლო რაც აღანთებდა, ახლა გულგრილს ტოვებდა. ადამიანს თავი რომ გაეტანა, ცხოვრება გადაკეთებას ითხოვდა. ახალგაზრდობის წანწალი სიბერის ჩანჩალს ჩაენაცვლებინა, ხოლო ზედმეტი ფულის ხარჯვას დაზოგვა ერჩივნა. სიმშვიდე კი დაუფლებოდა, მაგრამ დროდადრო მაინც შფოთავდა, გეგონება, წამდაუწუმ სიცხეს იზომავსო და დილის ჭირხლიც ისე ედო ბალახებს, როგორც გატეხილი თერმომეტრიდან გადმოღვრილი ვერცხლისწყალი.

ანუბს მოსწონდა დილის სიგრილე, ესოდენ რომ აკლდა ხოლმე ნაშუადღევს. გუბეებიც ამშრალიყო, თითქოს პეშვებით ამოხაპესო. ფოთლების ცვენა გვირგვინის ჩამორთმევას დამსგავსებოდა, თუმცა წვიმაც შემწყდარიყო და აღარც ქარის სველი მათრახის ტყლაშუნი გაისმოდა, როცა ბლანტი გარემო ახალ საზრუნავებს აჩენს. ადიდებული წყალი თავის ძირძველ წესს შეშვებოდა — ქვების დაძირვას. დრო კი, ცისქვეშეთის მჩქეფი მდინარე, მეჩეჩების გადამფარავი, რახან მუდმივად მიედინებოდა, მაშ მომავალიც თავდაღმართში ყოფილა და რომ არ გადიოდეს, მაშინ სამყარო გაქვავდებოდა, მაგრამ რახან ზოზინით გადის, ეტყობა, არც ისეთი თავდაღმართია. იქნებ დამრეცი იქ მატულობს, სადაც დრო ჩქარდება და სწორ გზაზეც მაშინ ვდგებით, შეგრძნებები როცა გვიმძაფრდება. რეალობა ხომ იმისაა, სიზმრებიდან გამოგვიყვანოს, ჩვენ კი დაჟინებით ვცდილობთ, რეალობა სიზმრად ვაქციოთ. ასეთ ფიქრებში იყო ანუბი, ყრუ ჩქამი რომ შემოესმა. მოხუცს აივნიდან სანთებელა ჩამოვარდნოდა.

— ამოგიტანთ! — ასძახა მას და სანთებელას დასწვდა.

— ნუ შეწუხდები, ჩემს შვილიშვილს ჩამოვაგზავნი! — მაგრამ სანამ ვიღაც ვალერიას უხმობდა, ანუბი უკვე სადარბაზოს კართან იდგა, კიბეზე კი მოულოდნელად იმ გოგონას შეეჩეხა, მსოფლიოში ყველაზე ლამაზად რომ მიაჩნდა და თურმე ვალერია რქმევია.

— შენ ხარ! — შეიცხადა გოგონამ, ანუბი მაშინვე რომ იცნო, — როგორ მომაგენი?

— ძებნა არც შემიწყვეტია! — იხტიბარი არ გაიტეხა ანუბმა, გული კი ლამის საგულედან ამოვარდნოდა, — სანთებელა ამომქონდა, ბარემ ამოვალ და შენ ხელსა ვთხოვ!

— არა, რას ამბობ! — იუარა ვალერიამ და სანთებელა გამოართვა.

— მე ყველაფერი ვცადე, უშენობას ვეღარ ავიტან! — ანუბის ხმაში მბრძანებლური ტონი გაჟღერდა, რასაც ვალერიას კისკისი მოჰყვა, იმის მაუწყებელი რომ იყო, ბედნიერება მასაც შეხებოდა. ანუბი კი ჯიუტად განაგრძობდა ხვეწნას, რადგან დღესასწაული არაფრით ეთმობოდა.

— დღეის სწორს ამოდი ყვავილების დიდი თაიგულით, ჩვენც მოვემზადებით! — მერე ვალერია ოდნავ გამკაცრდა, — თუ გინდა, რომ პაპაჩემის სანთებლით გამოხვიდე იოლას?

— ჯანდაბას, ასე იყოს! — დათანხმდა ანუბი, — შენ ყვავილებს მოგიტან, პაპაშენს კი ძვირფას სანთებელას ვუსახსოვრებ, მაგრამ იცოდე, დღეის სნორზე მეტად ვერ დავაყოვნებ!..

სჯობს, აქ მივატოვოთ ჩვენი მოთხრობის გმირები, სანამ ცხოვრება სამალავებიდან თავის ურიცხვ მშვილდოსანს გამოუხმობს და ისრების დაშენას უბრძანებს და სანამ მათ ერთმანეთის დანახვა მზის ამოსვლასავით ახარებთ...





აი, ეს არის

როცა მარნებში ყურყურ მარები,
ზედაშე ბუთქვით ქუდებს აიყრის,
მუშაკი როცა გოდრებს გადივსებს
დაუყვედრები სარფით და ნიხრით,
როცა ჯეჯილი სალენად პურდება,
ოქროს ტალებად ყანას დაეცა,
შინაც, გარეთაც, იშლება სეფა,
მზე ტანზე კაბას შემოიფხრიწავს,
გამოამზევა ლორთქო ჯიქანი,
ჩაფი იღვრება, ჯამი ივსება,
ჭახაჭუხობენ კუშტად ჭიქანი,
ნაჯაფი გამჩენს ვედრებით ლოცავს,
ვაზი ჭიგოზე ისრებად ცოცავს,
ჩუქურთმად ღვლარჭნილ ასოთა რიგით,
ცეცხლის ენებად ააისდება.
ფეხარეული მოდგება როშვით
ფაშფაშა ენკენი ღაჟღაჟა ბროშით,
ჟინით და ხოშით, ბეღლების ნიხრი,
ჩარაკრაკდება საწნახელს ხიხვი,
ლხინის დასტურად ალადასტური,
რა გინდა მეტი, როცა მოიწევ და
ღიმილს გჩუქნის ცით თავად ღმერთი,
ამაისდება ჩითის საკაბით,
და ჩაიცლება ჭალებში მჭიდი,
გატანილ გოლით, გნოლით, კაკაბით,
ჭროღა ციცარით.
თურმე ეს არის სწორედ სამშობლო,
ღმერთმა არც მოგვცეს სხვა საფიცარი,
ნისლების ფარით და ღრუბლის ქულით,
აქოჩრილ მთითა, ლურჯთვალა ტბითა,
ნამზევი თივით, გაბაწრულ ტივით,
საცოხნი ჩალით, სამწყერე ჭალით,
უღრან მუხნარით, ჭარმაგ ბუხარით,
ქარგაში ნაქარგით, ნოხით და თოხით,
ვაზების მწკრივით, მუშტით და კრივით,
თაფლით თუ ტაბლით, შოთით თუ შფოთით,
ფუძით და ბოძით, მსეტყვავი სიტყვით,
პირველობის არ დამთმობი, მოშაირე და გამრთობი.
— ფლამინგოს ფოფრებს მეჩემება ბუძგა ბელურა,
და ნაჯაფ ხნულში მიმოყრილი ვაზის წალამი,
ენისეის რიხს თავს ამეტებს რეჩხი ლეხურას,
კავის მოდება ხისტად, გლეხურად და ქართველურად
მიმოკითხვა სალამ-ქალამით.
ტერფს რო დაგიწვავს
წინაპრის მიწა, იწამებ იმ წამს, ნაისრ გულითა,
ნაცვეთ სამოსით, შენაყვარები უცხო აბოსი,
აი, ეს არის მწველი გულისთქმა,
დაგბურძგლავს, გაგცრის,
თვალით ნამულით, ამას თუ ქვია სიცოცხლით თრობა,
აი, ეს არის ჩემი მამული.

გაზაფხულის პირს

ზამთრის ქურქი ჩაიცურა შლეგ მარტმა,
ზურმუხტებში ჩაიძირა აპრილი,
ცისარტყელას ყელზე სალტავს ამარტად,
და სიცოცხლეს მოაპნია მარილი.

გოგო გულზე ვარსკვლავს ბროშად დაიბნევს,
პაემანზე თრთოლვით გაეშურება,
მზე მოქარგავს ძველ თბილისურ აივნებს
და ჯახუნით კარიც გაიხურება.

კაბის რუშით ბოშა ქუჩებს გახვეტავს,
ხელის გულით მომავალსაც გიუხვებს,
ჯეირანი ზეცას კრთომით ახედავს,
მონადირე მოედება ჭიუხებს.

გალაკტიონი

თითქოსდა ჯილა ამ ბარის, მთისა,
ამ გალაკტიკას ვერ შეეთვისა,
როგორც სილაში შემჭკნარი ვარდი,
ბარდებში გრანდი, არც დარდიმანდი,
არა, არც გმირი, მთვარის რაინდი, უფრო სალოსი,
არც ვის ემსგავსა ცხოვრების ნირით,
აბსურდის თეატრს აუწყო ფეხი.
იმ ცნობამ გული დაფლითა მეხით
და ვით საცობი ავარდა სული, ჯავრით ნაწობი,
შემოეფარდა შორეულ ლაჟვარდს.
დღე ფართხალებდა დამწყვდეულ ჩიტად,
შერჩენილ ფოთლებს ფანტავდა ჩითად სნეული მარტი
და მარტივ სათქმელს ხეზე აფენდა,
ჟამად გათენდა ძალის მოკრებით,
სხივთა კოკრებით ამოაისდა ის ალიონი,
დღე რიგითობდა, სულში კი თოვდა,
...სირცხვილის ლაქად აჩნდა ფილაქანს გალაკტიონი.

* * *

დამწველი ღვედებით მზის გულზე სალტული,
ბგერნერულ ხმათა მრავალ სართულით,
ხურვებულ სილაზე ჟღალებად ეტერფა,
ოქროს ნაწნავები იშალა ევტერპამ,
მიწა სხეულია, მჭვირვალი ცა, სული,
მომავალს ხიდებად უწვება წარსული.
გოჯმა და მტკაველმა სისხლით და ოფლითა,
კავებმა დაბლითა ბელტები დაფლითა.
დედანი მარცვლავენ უჯდომელ კონდაკებს,
მოძღვარი ჯვარული ხელსახვით ქადაგებს.
სად ოდა, თუ ქვა ყორე, კრამიტით ხურვილი,
ნამზევი კოჟრები, კრძალული სურვილით.
მზე უფლის კვარია, საჩინოდ სოფლისა,
სამადლო კვერია სარჩენად ობლისა.
გამჩენო, ადიდე ძირძველი ჯილაგი,
კალანდის ალილო და ჩიჩილაკი,
თიბათვე აკიდოს ქარვოვან მტევნებით,
ამ თითებს შეძლება ერთურთს მიდევნებით,
ტვირთმძიმე აზიდოს,
საყდარი მრევლობდეს, არ დაშრეს წინწყარო,
ფესვო და ალაგო, შენ, დაუვიწყარო.

საით, საით მიდენილა

საით, საით მიდენილა დროის წაღმა-უკუღმა,
ჰოი, როგორ მჭახედ მხვდება
დადევნილი უკუ ხმა,
ღვარცოფების ჩარეცხილი ყოფის იალაღები,
თუბალების ჩავერცხლილი მჭიდი იარაღები,
უცხო ჩექმით თავმედეგობს კაცი ნაჯახიანი,
ვაი, მსახვრალს ვერ გადურჩა ოქრო ყაჩაღიანის,
ნეტავ კვლავაც მადლიანად
ტოროლები ევლოს ცას,
ეგებ მოხდეს, ერთ კაი-ყმას სასხვისოდაც ელოცა,
ეგებ მაშინ, ლოტოსივით გადაიხსნას ზესკნელი,
ღმერთმა ნუ ქნას,
პირს აბჩენდეს შავი ხახა ქვესკნელის,
როცა ხვითო აღარ ივლის ოდენ ტვინით ქათამის,
საქმე ქმნილი ღაღადებდეს,
უფლის ნაძერწ ადამის,
თვალი ჭამდეს,
თვალი სვამდეს ზურმუხტს იალაღების,
სალამურის ხმაი მიჯობს, არ თუ იამახების,
ჰოი, როგორ მეამება ფაშატები ფშანებში,
უცხოს მიჯობს კაფიობა ხევსურებში, ფშავლებში,
ვაი, როგორ მჭახედ მხვდება, დადევნილი უკუ ხმა,
საი, საით მიდენილა დროის წაღმა-უკუღმა.

უხ, უხ, რად, რად

ჰოი, რაგვარ ჩუხჩუხ-რაკრაკ
ამბავს ყვება გიტარა.
უხ, უხ, რად, რად გამახსენე,
გაღვიძება გინდა რად,
იმის, რაიც წყალმა ზიდა,
ამხდარ, აუხდენელის,
ოცნებების დაპეპლილი რემა გაუხედნელი,
უჯობს თვლემდეს ბუნაგს დათვის,
ვის რად უღირს ბაასი,
ჩავლილია ეს დღეც ამ თვის,
დაფლეთილი ფალასით.
ვერც ვერაფერს გაიგებ
და ვერც ვერაფერს გახდები,
ოქროს მუჭით არიგებენ
სულდიდები, ნაღდები.
სიმი სირმით აგვირისტებს
პირმოუკრავ იარებს,
ზარი რეკს და ზარი უხმობს
სულებს თანაზიარებს.
ქარი სულში ბინას იდებს
გაცვეთილ ვიგინდარად,
სიმი კვნესის, კვესავს, ლულავს,
ჩუხჩუხ-რაკრაკ გიტარა,
უხ, უხ, რად, რად მინავლულის
გაღვიძება გინდა რად.

* * *

დღეა ყირმიზი
და ხელისგულზე
სამყარო მიზის.
მზე კი არის და
მგოსანიც კაფიობს,
რაც რომ ასხია
ტეხილს ზეკარის,
ნისლის ქაფია,
ცქნაფა ყვავილშიც
აქ, ამ ნამცეცა მიწის
განედზე სამყარო
ყვავის.

სამშობლო გვიყვარს სხვა გამეტებით

როგორც საწნახელს მწიფე მტევნები,
გულს დაეთხლიშა ბორჯღალის ალი,
ჰორიზონტებზე მზის მლივი სხივი
ლაპლაპებს, როგორც ერეკლეს ხმალი.
კამეჩის მწკრივი ზანტად იცოხნის,
ჯიქურ მიაპობს გაუვალ ტევრებს,
სოფლის შარაზე დამრტყმელი ბიჭები
თავს ამეტებენ მუშტით და კრივით,
ჭკუის მკითხავი დარბაისლები
შემორჩენილან თითო-ოროლა,
ხმის ჩახლეჩამდე ძველ ამბავს ყვება
ხის გამხმარ ტოტზე ანცი ტოროლა.
იქ, იმ ქედს იქით, სად ვერ თბებიან,
ჯებირი ნისლით შემოიგარსა
და არსად ისე, მწიფე მტევნებად გულს არ ეხლება
მამულის ჟრჟოლა
და არსად ისე, სისხლი არ ყივის
და ჟონავს კვლავაც ნაიარევი.
...აქ ყველაფერი ოდნავ ნამეტობს,
სწორედაც ამიტომ, დიახ, ამიტომ
სამშობლო გვიყვარს სხვა გამეტებით.
როგორც საწნახელს მწიფე მტევანი,
გულს დაეთხლიშა ბორჯღალის ალი,
ჩაბჟირებული მზის მლივი სხივი
ლაპლაპებს, როგორც ერეკლეს ხმალი.

ბადრი სულაძე

* * *

შემოდგომაზე ცაც იჯაბნება,
მთები რომ ბგერებს ნთქავენ ვოკალურს, —
როცა ზუზუნებს ქარი ფანჯრებთან
და არახუნებს ქვაბებს მოკალულს...
ფოთლები ყვითელ ჰამაკში წვანან,
ტყეების ყველა წამის სახებად, —
როცა დროც თამაშ-თამაშით წავა,
მაგრამ თავიდან ჩაისახება...
ნოყიერ საკვებს კვლავ მოხარშავენ,
მოკალულ ქვაბებს როცა ძებნიან, —
და მეც კვლავ უნდა
ამოვფართხალდე,
ამ უეცარი
მოძალებისგან...
როცა დღეები არვის არ სცნობენ
და გაუმართავთ ქართან მარულა...
გზებიც როდემდე უნდა ანცობდნენ,
ან დილის ნისლი სად გაპარულა?..
.....
ვარ უმთვარეო ღამის მტვირთველი,
მეც ამ მთებივით მაინც უცვლელი, —
თუმცა მევსება ქარის ზვირთებით
გამოშიგნული
მთვარის
მუცელი...

* * *

გზა ვნახე ქცეული ფიქალად,
ზეცა კი — სილურჯის შემალვით...
და მაინც შენსავით მზისთვალა,
გზის პირას ჰყვაოდა
ტყემალი...

* * *

ძაღლს რომ ესმოდეს,
რასაც ძაღლურ ცხოვრებად თვლიან,
მტვერში მძინარე კაცის გვერდით
თუ დაწვებოდა?!.

* * *

აფთიაქარმა რომ გადარგა
შენობის უკან, —
თვალს ვერ ვუსწორებ
დარცხვენილი,
იმ გამხმარ
კედარს...

* * *

რა უსიცოცხლო ღამეა გარეთ,
სახეს რომ მალავს, არ მენახვება;
გაზაფხულობით თუმცა კი ვბარე,
რქა ვერ გამართა ნავენახევმაც...
ყველა ირემი გამექცა მთისკენ,
გულის კედლებში რაც კი ვამწყვდიე,
ახლა ღამესაც სარეცლად ვირჩევ,
რომ წამით მასთან მაინც დავწყვილდე;
რომ წავუკიდოთ ერთმანეთს ცეცხლი,
ნაცარმიყრილი კერის ღველფიდან,
თორემ ვინ იცის, რამდენჯერ შევრცხვი,
მწყერიც რომ ნატვრის ხეზე შეფრინდა...
ფაცერში თევზი ვეღარ ჩერდება,
გონების თვალსაც გაკვრია ლიბრი,
მაგრამ ტკივილის შესაჩვენებლად
სირთულესთანაც მარტივად ვიბრძვი...
თუმცაღა მართმევს სიცოცხლის ძალას,
მთა რომ თავს მადგას სულთამხუთავად,
მაინც ვერ ვიტყვი — რომ ცა ჰგავს წალამს
და რომ სამყარო — გუდაფშუტაა...
გავერიდები საკუთარ სათქმელს,
აზრი თუ აზრად აღარ იბმება, —
და ვერ მოვარგებ გრძნობების სარქველს
სულის შესაძლო გაღარიბებას...
გზაც კატასავით კუდით რომ ვცოცხო,
და ვერ დავესწრო კვირტების კრებას,
მე მაინც ვიტყვი — რომ ვარ და ვცოცხლობ,
სანამდე ლექსის რითმები
მკვებავს...

* * *

ავტოსადგურში
ქალი ხალხის სიკეთეს სწონის, —
ცელოფნის პარკში ჩადებული
სამი ლიმონით...

* * *

გრძნეული ღამე
მოსაპარავ ულაყს რომ ჰგავდეს, —
ახალი მთვარე ცხენის ნალად
გამოდგებოდა...

* * *

შენი ღიმილი რომ მეპოვა
ნატვრისთვალივით, —
სათვალიო ქვად
დავკიდებდი
კარზე
უთუოდ...

* * *

როდესაც დედებს რძე უწყალდებათ
და ჩვილებს ლოყები ეღლებათ წოვით;
როდესაც გარეთ თოვლი არის,
მაგრამ ეზოებს სიქათქათე
არა აქვთ თოვლის, —
ესაა ომი!..
როცა თოვლისფერ თვალებიდან
ამოსული ენძელები უმოწყალოდ
ჭკნებიან თრთოლვით...
და როცა დამჭკნარი ენძელები
მძევლებივით მკვიდრდებიან
ჯერაცგაუთხრელ
საფლავებს შორის, —
ესაა ომი!...
როდესაც გარეთ თოვლი არის,
მაგრამ ეზოებს სიქათქათე
არა აქვთ თოვლის;
როდესაც დედებს რძე უწყალდებათ
და ჩვილებს ლოყები ეღლებათ წოვით...
.....
და როცა ღმერთიც დაღლილია, —
ესაა ომი!..

* * *

ვეძებ გასაღებს, რომ გავაღო
ძველი ზანდუკი, —
წარსულით
სავსე...

* * *

მაინც ხმიანობ, ნაკადულო,
თუმცა იცი, რომ
შენი ხმა ბოლოს
ზღვის სევდაში
ჩაიძირება...

* * *

ქართან ნაბრძოლი
ფოთლების დარდი,
ქარზე მეტად
არავის
ესმის...

* * *

აწვალებს ქარი მოთმინების პატრუქს ჯიუტად;
ვანთებ და აქრობს...ეს ანთებაც როდემდე ვცადო, —
ღამეს რომ სახე უსხეულო მანქურთს მიუგავს
და სარეველა ბალახივით —
სურს, ამომწვადოს...
ან კი, რა იცის ღამისა და ქარის ტანდემმა,
ასე აქამდე როგორ ვანთე თონე ფიჩხებით, —
და ეს მოთმენაც უსასრულო, დარდისთვალება,
რისთვის მამზადებს, ერთგულებას
რომ ვეფიცები...
.....
როცა ლოდინის გახშირებულ სუნთქვად გამოშლილ
რტოებსაც ნამქერს მოვაშორებ, ურვით დანათოვს,
ზამთრის სიცივის სისასტიკით
სულმთლად გათოშილს, —
ვეღარც ეს ღამე მიმატოვებს
უმისამართოდ...

* * *

თოვლის სისველით — მიწას გალეშილს,
შუშის თვალებით მივჩერებივარ, —
და ხეებიც კი სიქათქათეში
თითქოს პატარა
ბისერებია...
თუ სამყაროსთვის ყველა ხის ტოტი,
მხოლოდ და მხოლოდ ხის მძივებია, —
მხრებდახერხილი ფერთა ხისტობით
ჩემში მორებად
იძირებიან...
ცა მორღვეული ვერცხლის ძაფებით,
მიწას რომ ქარგავს ბისერებიანს, —
არ ჩანხარ, მაგრამ ვერც გიჯავრდები,
ახლა ეს თოვლი
ისე ბევრია...

* * *

რა უნდა მითხრან თებერვლის და მარტის ქარებმა, —
როცა მზისაგან დაბრაწული ფუნთუშებივით
ფუმფულა სახეებს ქიშმიშებივით
ამოჩიჩქნეს კრიალა თვალები
და ნაცრისფერი
ხისტი კენჭები ჩაუჯინეს
გაქვავებულ ცივ ბუდეებში,
როგორც ტალახში
ამოვლებულ
ნაჭრის თოჯინებს, —
გამხმარ ხეებზე
რომ გააკრეს
უსახელო საფლავების
შავი ჯვრებივით...
რა უნდა მითხრან
თებერვლის და
მარტის
ქარებმა...

* * *

საკუთარ თავში აშენებულ
საკანში ჩარჩა, — კაცი,
რომელიც მთელი
ცხოვრება
ანგრევდა
ციხეს...

სამი ნამდვილი ამბავი

ჯემალ მონიავას
ნათელ ხსოვნას

კვათარების გადაფრენა

ბაბუაჩემმა ულამაზესი, ლაპლაპა „ტოზი“ რომ გაყიდა და მსუნაგი, შვილივით ნაჩვევი კურცჰაარი ბიმიც მიაყოლა, იმის შემდეგ მხოლოდ ერთხელ წავედით კვათარებზე.

გადმოფრენა უწევდა. შებინდების დრო იყო. ძეძვმოდებულ ჩაის პლანტაციებში ჩავუსაფრდით, გილზებით სავსე ფალასკა მე მქონდა გადაკიდებული და რომ ჩავუჯექით, არც მაშინ მომიხსნია. ვიცოდი, ღამურასავით სწრაფად ჩაიქროლებდა კვათარი და თვალის კიდება და სროლა ერთი უნდა ყოფილიყო.

წინა კვირას ველზე რომ გავიდნენ, გასაყიდად გამეტებულმა ბიმიმ ნაბული ნაბულზე წააწყო და ხუთი კვათარი გამოიტანა ბაბუაჩემმა. „საბაკუ ნე პრადაიუ“, თქვა, მაგრამ ჩვენს შემხედვარეს პირში გაეჩხირა განწირული კაცის სიტყვები. მთლად ღარიბები არ ვიყავით, თუმცა თვიდან თვემდე თავის გატანა მაინც უჭირდა ჩვენს ოჯახს.

— თვალი არ მიჭრის ისე, ადრინდელივით, — უცებ მითხრა ბაბუაჩემმა, — ჩხუბშიც და ნადირობაშიც თვალია მთავარი. დვესტი სოროკ ნა სტო დვაცატ წნევა ვერ გამიჩერეს გუშინ. ვიცი, რომ ახლოსაა. წუხელისაც შეიძლება მოსულიყო, ამაღამაც შეიძლება მოვიდეს. უფრო ღამით ველოდები. გამთენიასაც.

ხელი მყარად მოეხვია ახალნაყიდი „იჟისთვის“, სასხლეტს გარეთ დარჩენილი თითები საუბრისას ოდნავ თუ შეკრთებოდნენ.

— ჩემი ბიჭები ფულის საშოვნელად არიან წასულები უცხო ქვეყანაში. უცხო ქვეყანა ქვია, ჩვენ კი გვეგონა პრიბალტიკა და უკრაინა ჩვენი ქვეყანა, მაგრამ უცხო ქვეყანაა. ღამე რომ რამე დამემართოს, ვარო დამხედავს და მიხვდება, ბებიაშენი, დილით კიდე კაცი არაა, ვინც მოსულ ხალხს დახვდება, ხელს ჩამოართმევს და ორ სიტყვას ეტყვის.

თვალებში შიში და გაკვირვება შემატყო, სახის უპე ოდნავ, ნაძალადევმა ღიმილმა გაუპო — უფრო ჩემს დასამშვიდებლად — და ჩურჩულით მითხრა:

— შვიდი და რვა წლის ბიჭებს ყინულივით ცივი წენწყარის* გადაცურვისას ეტყობათ ბიჭობა. რამე რომ დამემართოს, შენ უნდა დაივიწყო, რომ რვა წლის ხარ!

*წენწყარი — (მეგრ.) მდ. ჭანისწყალი.

ბებიაჩემის ლოცვა

მუსტა ქირიას წისქვილში სიმინდი მიმაქვს შობის წინადღეს. რიგია. ურიკა გარეთ დავტოვე და ტომარამოკიდებული შევედი წისქვილში. ჩამოსაჯდომი ვიპოვნე. ჯერ ადრეა. შუახნის კაცები და ქალები ლაპარაკობენ ხმამაღლა, მეწისქვილეც გაეპასუხება ხოლმე. ზოგი მეცნობა, სიტყვებს და სახეებს ვიმახსოვრებ. მეც გამომხედავენ, წამით ჩამაკვირდებიან და ლაპარაკს აგრძელებენ წისქვილის დგანდგარში. ტომარა ტომარას ცვლის, ხვიმირაში იცლება სიმინდი და ქათქათა ფქვილად ავსებს ცოტა ხნით დაცარიელებულ ტომრებს. თვალს ვხუჭავ. დგანდგარი — ღრიანცელი — სიმინდის უხეშად ჩაცლის მომნუსხველი ხმა. ძილში მივიპარები. ისეთი თბილი და სასურველია, ჩემს საყვარელ ზღაპრებში რომ წამიკითხავს. „მიშ რექ, ძიე, სი?“ საიდანღაც ჩამესმის, მაგრამ აღარ მინდა მობრუნება, პასუხისთვის თავის შეწუხება აღარ მინდა, მით უფრო, რომ თვითონვე არკვევენ, ვინ ვარ — „ვითაართ-ვთოჟირ წანერ ქიუაფუ“ — არა, ცამეტი წლის ვარ-მეთქი, მინდა, დავაზუსტო, მაგრამ ძილი და წისქვილის დგანდგარი არ მეთმობა, როგორც თბილი და სუსხშეუღწეველი ლოგინი.

...წერა-კითხვა რომ ვისწავლე, იმდროინდელი ამბავია. ლუკას სახარების ფერადი გამოცემიდან გაგიცანი. ყოველ შობას და აღდგომას შუქს რომ ჩართავდნენ და ორი დღე არ ქრებოდა, შენზე გადაღებულ ფილმებს ვიყავი დადარაჯებული. გამოსახულებებს ვადარებდი წიგნებში თუ ჟურნალ-გაზეთებში ნანახს, მოგვიანებით კი უკვე ტაძრის კედლებზე აღმოჩენილს. ერთადერთი ხარ, ვისაც ყველა მარცხის, გაჭირვების, უიმედობისა და დაცემისას მოვუხმობ და მხოლოდ იმ სიტყვებს ვიმეორებ, დიდი ხნის წინ რომ მირჩია და მასწავლა ბებიაჩემმა — „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი“. ვიმეორებ, ვიმეორებ, ვიმეორებ. დაუსრულებელ დღეთა განსაცდელში თავჩარგულმა ისე შეგიყვარე, რომ სინანულით ვიხსენებ ყველა იმ წუთს, როცა ბედნიერებითა და სიხარულით რეტდასხმულს დამვიწყებიხარ, ჩემად გამისაღებია ის, რაც მომენიჭა. შენ უწყი, შენ ჩვენი გულების მეუფე ხარ და იცი იმათი მოსახვევები, იმათი ფეთქვის აზრი და საიდუმლო, ამიტომ გევედრები, მიიღო ლოცვა, ჩემი ლოცვა, წრფელი და დაჩეხილი, როგორც ჩემი ფიქრის ფთილები. მიიღო და მადლით აავსო. ბეთლემის ბაგაში შობილო იესო ქრისტე, გაძლება და გადარჩენა მასწავლე.

ზიკოს წყალი

ბაბუაჩემის მეგობარი ბონძი ქირია „იეჰოვას მოწმეთა“ საზოგადოების აქტიური წევრი იყო სამეგრელოში, კონგრესები მის გარეშე არ იმართებოდა, და ასე გვეგონა, ჩვენთანაც — ბოლო წლების ბაბუჩემის ყოველ დღე სანახავად — თავისი მოძღვრების გამო იყო მოსული; რამდენჯერმე დაიწყო კიდეც, ჯერ შორიდან მოუარა, ჩემი ინტერესი რომ შენიშნა, საკითხავები მომიტანა, მაგრამ მეოთხე და მეხუთე მოსვლაზე იყო, უხეშად რომ გააწყვეტინა ბაბუაჩემმა — არ გვინდა მაგაზე ლაპარაკი და თუ პატივს მცემ, შენი ღმერთი აქ მეტჯერ აღარ ახსენოო.

ბონძი შეკრთა, წამოდგა, გამიღიმა, თვალი ჩამიკრა და უსიტყვოდ დაეშვა კიბეზე. დარწმუნებული ვიყავი, რომ მეტად აღარ შემოაღებდა ჩვენს ჭიშკარს, ჭიშკრიდან კიბემდე ვიწრო ბილიკს არ გამოივლიდა, ნაცრისფერი ცხვირსახოცით სახეს არ შეიმშრალებდა ნამგზავრი, აივანზე მჯდომ ბაბუაჩემს არ მიესალმებოდა და პირველ სიტყვად არ იტყოდა:

— ოოხ, ახლა მისწრება იქნება ჩემთვის ზიკოს წყალი!

მეც მაშინვე დავწვდებოდი ხელადას, ჭასთან მივირბენდი, ხმაურით ჩავუშვებდი ვედროს სიღრმეში, სუფთა წყლით გავავსებდი ხელადას და ასვლისთანავე ორ მოზრდილ ჭიქაში ჩამოვასხამდი ფრთხილად, აუჩქარებლად.

ზაფხულის სიცხეში ისე ხურდება და ქვავდება ჩვენი ჭიშკრის ბოძები და სახელურები, ძლიერი ხელი უნდა, რომ შემოაღო.

— ბონძია მოსული, წამალს დავლევ და გამოვალ, — გამომძახა ბაბუაჩემმა, — შეხვდი და მიაქციე ყურადღება.

ჭიშკარი ერთად გამოვაღეთ ცამეტი წლის ბიჭმა და სამოცდაათს მიტანებულმა ბერიკაცმა. მხარზე ხელი მომითათუნა და სანამ კიბეს აუყვებოდა, ჭისკენ მანიშნა — სქან ჭირმა, ზიკო, მომისწარი შენი წყალი, სული მომათქმევინეო.

— ბონძ ბიძი, მეგონა, არ მოხვიდოდით, — ვუთხარი ჩურჩულით და სავსე ჭიქა მაგიდაზე დავდგი.

— ღმერთი რომ არ იყო, უღმერთობას რომ ქადაგებდა ყველა, ე იმ დროიდან ვიცნობთ მე და ბაბუაშენი ერთმანეთს, — ჭიქა ნახევრამდე ჩაცალა, ღრმად ამოისუნთქა და კეთილი თვალებით გამომხედა, — რა და რა არ გვინახავს, გამოგვივლია და გადაგვხდენია, იმდენ რამეს შევსწრებივართ: საქმე, სუფრები, ქალები, ჩხუბშიც ვყოფილვართ და დროსტარებაშიც. წიგნების ცენტრალური მაღაზია მებარა მე რაიონში, ყველა წიგნი ჯერ ჩემთან მოდიოდა და მერე ვანაწილებდი. ბაბუაშენი სკოლაში იყო, დირექტორი, უერთმანეთოდ ჩვენ არ ვიყავით, ვიცოდით ერთმანეთის ფასი, ერთმანეთის გაგება გვქონდა. გამოცდი მაგას შენც, ერთ-ორ სიტყვაში რომ გესმის ძმაკაცის, ბევრი მიეთ-მოეთი არ გჭირდება. ადამიანების ცნობასაც სწავლობ და რახან ერთად სწავლობთ, ბოლომდე გიჭირს გარჩევა, ამ ნასწავლში შენი თავისგან უფრო მეტია თუ შენი ძმაკაცისგან და იმასაც უჭირს... ვინ უფრო მეტი მიეცით ერთმანეთს — ეს კი არა, ზიკო — შენ რომ შენ ხარ, შეიძლება იმის წილი უფრო მეტი იყოს ამ ამბავში ხომ გესმის? ძნელია, მარა მოვა დრო და გაიგებ. ჰოდა, იმას გეუბნებოდი, — ცხვირსახოცით ამოიმშრალა ოფლისგან თუ ცრემლისგან დაცვარული თვალის ფართო უპეები, — ჩემი ღმერთისთვის არ მოვდივარ მე აქ, ჩემი ადამიანისთვის მოვდივარ.

ჭიქა აიღო, ბოლომდე ჩაცალა და აივნიდან თვალებმოჭუტვით გახედა გზაზე გამოფენილ ბავშვებს.



თამაშას ლაგუჯი

ხო, ის არის, ღუმელთან ჩამომჯდარი. იღიმის კიდეც, ჩვენკენაც გამოიხედება. ნეტა რატომ მოვიდა? რაღაც ხრინწი გაერევა ხმაში. ალბათ ამათ დაიბარეს, გვპირდებოდნენ და შეუსრულებიათ. ასეთი მაინც რა დავაშავეთ? თუ ჭკვიანად არ იქნებით, დროზე თუ არ დაიძინებთ, თამაშა მოვა და თავის ლაგუჯსაც მოიტანსო. ღმეეერთო, რა იყო, წუთში გვეხუჭებოდა თვალები! კაი ახლა, თამაშამ რა უნდა გვიყოს, თავისთვის დაფრატუნობს ქუჩაში, ჩემი თვალით ვნახე, ბაბუას რომ ყანისკენ გავყვევიო — ჩემი ძმა ამბობდა, მაგრამ მერე მასაც უჭირდა შიშის დამალვა. და ლაგუჯი? აი, მაგ ტომარაა თუ ხურჯინია თუ ლაგუჯი, მაგაში ისვამს თურმე ბავშვებს, ურჩ ბავშვებს, მიჰყავს ძველი ჯუმისკენ, იქ ჩამოსვამს ნაპირზე და მიაგდებს უპატრონოდო. გინდ დაიჯერე და გინდ არა! ჯერ სული შეგეხუთება, სიბნელეა იმ ლაგუჯში, თვალებს აცეცებ, დაყვირებას ცდილობ, მაგრამ თამაშა დაგიცაცხანებს — ჩაიგდე ხმა და კრინტი არ დაძრა, სი ჩიჩიე ბაღანა, თორემ ქვიან დაღმართზე დაგაგორებო. დამზაფრავი ხმა აქვს, ტანში გაგცრის, გულზე გეჭიდება. რა დავაშავეთ, იმასაც რომ ვერ ვიხსენებ? ეზოში რომ გვიანობამდე ბურთს ვაგორებდით და ციალას ბოსტანშიც ერთი-ორჯერ გადაგვივარდა, ეგ ამათ არ უნახავთ და ალბათ არც ციალა იტყოდა რამეს. წისქვილში რომ გვთხოვეს სიმინდის წაღება, ურიკაზე შემოვაგდეთ ტომარა და შუკასაც სვენებ-სვენებით ჩავუყევით. არც ზედმეტი გვირბენია და არც რამე. აწი გვიანია, აგერაა თამაშა და ეს რომ გვცოდნოდა, მაგის მოსვლამდე მივიყურშებოდით სადმე, მაგრამ გულთმისანია, სკვაზნოი ხედავსო, ვიღაც ამბობდა, ვერ დაემალები მაგის თვალსო. ღორონთუმე, რა გახდა მართლა და მართლა, მკვდარ-ცოცხალს იგინებიან ეს სოფლის ბიჭები, ისე, ვითომც არაფერი და აქ კიდე, ზედმეტად თუ გაოფლიანდი, ხუთი-ექვსი წლის ბავშვს თამაშას ლაგუჯში გიკრავენ თავს. ბებია-ბაბუაც ასეთი უნდა, მაგრამ სულ დედაჩემის მოფიქრებულია ეს ამბავი, და ისიც ვიცი, როდიდან და რის გამო. არც ჩვენ ვართ რძეში დაბანილები და მამა აბრამის ბატკნები, მაგრამ ამ თამაშასთვის მისაჩუქებლები თუ გავხდებოდით, არ მეგონა. ილაპარაკე და იყავი! აგერ, ისე იყურება, თითქოს ჯიბეში ვუზივართ ორივე. ჩემს ძმას გავხედავ, თვალებდაყვლეფილია, წკაპ და ატირდება. ნეტა ამდენ ხანს რაზე ლაპარაკობენ? რით ვერ მოილიეს სოფლის მიდი-მოდი და ზაფხული, ტრაქტორი, ბარგუა, მაჟირუა, სასუქი, წისქვილი, კანტორა, ყანა, უჩასკა, ფერმა, ონგარუ, მკლავის გახსნა, გათხოვება, ცოლის მოყვანა, პერტობა და მარაშნა, იმის კამეჩი, ამის ქაბლა, იმის ქათამი და კოკუჩი, კვერცხი, ხორცი, სულგუნი და კაზლა ყველი, სიმინდის ფქვილი და წაქა. ეს გამოხეული ნასკები როდის ჩავიცვი! სადღაც ხრამში გადასაგდებად მივყავარ თამაშას და ნასკი მაინც ჩამეცვა წესიერი! რა სირცხვილია, იქ რომ გიპოვიან ღორებისა და ფრინველებისგან დაჯიჯგნილს არა, მე კი ამ ყველაფერს ზემოდან გადმოვხედავ, ცაში ვიქნები თბილად, ჩემთვის, მაგრამ ამ თამაშას რა სინდისი მოასვენებს, ესენი როგორ აპატიებენ საკუთარ თავს და ახიც იქნება, რომ ბევრი ტირილი მოუწიოთ ამის გამო. ყველა გაამტყუნებს. იქნება მისამძიმრება, თმების გაშლა, მღვდლების და ექიმების მოყვანა წამდაუწუმ, სასწრაფოს გამოძახება — ვაი, წამოდგა, კაბა გაისწორა, იმათ ელაპარაკება, ჩვენკენაც გამოაპარებს თვალს, ხელში ტომსიკა ჩაუბღუჯავს, ამაში როგორ უნდა ჩავეტიოთ — ალბათ ცალ-ცალკე: ჯერ მე წამიყვანს, მერე ჩემს ძმას, მე ხომ უფროსი ვარ. მე რომ დამტოვებს, მობრუნდება და ჩემს ძმასაც წაიყვანს. რა პაწაწუნა ჩანს ტომსიკა, ალბათ ღრმა ძირი ექნება, შავი კია! ჩვენკენ მოდის, არა, უფრო ჩემკენ, ხო, ალბათ ჯერ მე ამომარჩია, მიახლოვდება, მისი სუნთქვა მესმის, ჯანდაბა, არ უნდა შევიმჩნიო, თავზე ხელს მისვამს, მეფერება, ჩემს მარჯვენა ხელს იღებს და მუჭაში კანფეტებს მიყრის.

გივი ჩიღვინაძე

დიდი წარსულის პატარა ამბები

კაცი და საქმე

ჩვენი სოფლელები სამუშაოდ სად არ დადიოდნენ — ზემო თუ ქვემო იმერეთში, რაჭაში, გურიასა და აჭარაშიც კი. უმეტესობა ფიცრის ხერხვაზე მუშაობდა, ხოლო მცირე, გამორჩეული ნაწილი დურგლები იყვნენ და მეტი დაფასება ჰქონდათ.

მეორადის თოხნას რომ მორჩენილან, წასულან ათანო და გარსევანი ქვემო იმერეთში სამუშაოდ. მალე უშოვიათ საქმე — ერთ დიდებულ ოჯახში მოხვედრილან. მასპინძელს ძვირფასი სტუმრებივით მიუღია მუშები, ჯერ საუცხოო სუფრა გაუშლია, კარგად უქეიფიათ და მეორე დღეს საქმე უჩვენებია — სოფლის ახლოს, ტყეში, ანკარა ღელის პირას, რამდენიმე მორი ჰქონია გათლილი.

— ვიწრო ფიცრებად მინდა დახერხვა, ახალი ღობე უნდა შემოვავლო ეზო-კარს, ნელა იმუშავეთ, კარგად გამიკეთეთ საქმე, წინასწარ გარიგება არ გვინდა, თქვენ იმდენს არ მთხოვთ, ვერ გადავიხადოო, — უთქვამს არქიფოს, გულუხვ მასპინძელს.

მოსწონებიათ ჩვენებს მასპინძელიც და საქმეც, გაუმართავთ ხარაჩო, აუწყვიათ კბილი საზედაო ხერხისთვის და შესდგომიან ხერხვას.

წასულა არქიფო შინისკენ და დაუბარებია:

— მალე სადილს მოვატანინებ, ახლა ზაფხულია, დღე დიდია და ოთხჯერ გავშლით სუფრასო...

— ოთხჯერ რა ამბავია, ჩემო ბატონო, როდისღა უნდა ვიმუშაოთო? — გაღიმებია ათანოს.

— მოასწრებთ მუშაობასო, — გაღიმებია მასაც და დასდგომია ტყის დაჩრდილულ ბილიკს.

დილით ადრე ამდგრებს შინ ასაუზმებდნენ, მერე ტყეში მიჰქონდათ სადილი და სამხარი, ვახშამს ისევ შინ დაბრუნებულები მიირთმევდნენ — თან ისეთ სუფრას მართავდნენ, ჩიტის რძე არ აკლდა თურმე, რა გინდა სულო და გულო, იქ არ ყოფილიყო, ზედაც კარგი ღვინო და რაც მთავარია, ტკბილი მასპინძელი.

— ეჰ, შემინდე, ღმერთოო, — ამბობდა თურმე ათანო, — ცოლ-შვილი ლობიოზე მყავს დატოვებული და მე აქ შემწვარ-მოხრაკულს მივირთმევო.

— კაი, ათანო ბიძია, ჭამე, რა მოხდაო, — ამშვიდებდა თურმე გარსევანი.

— რავა რა მოხდა, ჩემო გარსია, ი პირღია ბოვშები რო გყავს მიტოვებული სახლში, იმათთვის უფრო მადლი არ არის ეს ცხელ-ცხელი ხაჭაპურებიო?

— ჰო, მარა, რას ვიზამთ, ხომ ვერ გავუგზავნით აქედანო? — თავს იმართლებდა გარსევანი.

დაუმთავრებიათ საქმე ერთ კვირაში, მოსწონებია არქიფოს ნამუშევარი და უთქვამს:

— კარგი ხალხი ყოფილხართ, კარგი საქმე გამიკეთეთ და მთხოვეთ რამდენიც გინდათ, გადავიხდიო.

— ორმაგი ვუთხრათ, ათანო ბიძია, რა გვენაღვლება, მაგ კაცს ფული არ ენანებაო, — უჩურჩულებია გარსევანს.

— არა, ბიძია, საქმე რაც ღირს, იმდენს ვეტყვი, ზედმეტის აღება რა საკადრისიაო, — და უთქვამს ნამუშევრის შესაბამისი თანხა.

— მეტს არ თხოულობთ, კაცოო? — გაჰკვირვებია არქიფოს.

— არა, ჩემო არქიფო, ეს საქმე ამდენი ღირს, მეტს ვერ ავიღებო, — დაუზუსტებია ათანოს.

— კარგი, ჩემო ბატონოო, — უთქვამს არქიფოს და მიუცია მოთხოვნილი თანხა. მერე მეზობლებსაც დაუძახა თურმე, კიდევ კარგად აქეიფა გამრჯე მუშები და დამშვიდობებიან მადლიერებით ერთმანეთს.

კარგი მოლხენა ჰყვარებია არქიფოს, „იანვარში ვის უნახავს გაზაფხულიო“, — ეს სიმღერა ამოიტანეს ჩვენებმა ქვემო იმერეთიდან.

აი, ასეთი ხალხი ცხოვრობდა ადრე ჩვენს სოფლებში...

წინაპართა აჩრდილების სევდა

წინა ზაფხულს ერთი მთიანი სოფლის მაღლა, ტყეში მდებარე ნამონასტრალი ვნახე. ადრე მის შესახებ ორიოდე ცნობას წავაწყდი ისტორიულ წიგნებში, მერე არქივებში რამდენიმე საბუთი აღმოვაჩინე, გადმოცემებიც მოვისმინე და უფრო გამიმძაფრდა ნახვის სურვილი. გადავიარე ტყიანი ქედები და პატარა სოფელს მივადექი, სადაც სამიოდე ოჯახიღა ცხოვრობდა. მითხრეს, ზაფხულობით საკმაოდ ჩამოდიან — ქალაქსა და უცხოეთში მყოფები აკითხავენ მშობლიურ კერასო. დავადექი ტაძრისკენ მიმავალ ბილიკს. სოფლიდან კი მესმოდა სხვადასხვა ხმა, ბავშვების მხიარული შეძახილებიც გავიგონე და იმედი მომეცა, რომ არ გაუკაცრიელდებოდა იქაურობა. მალე მივაღწიე წმინდა წინაპართა სავანეს. შემოვუარე გვერდჩამონგრეულ ბაზილიკას, შიგ შევედი, სანთლები ავანთე და ძველი მხატვრობის ნაშთები დავათვალიერე. შემდეგ ისევ გარეთ გამოვედი და ყურადღებით ვაკვირდებოდი მცირე ორნამენტებსა და წმინდანთა გამოსახულებებს ტაძრის კედლებზე. ამ თვალიერებაში დაბლა ჩამოვარდნილ გათლილ ლოდზე რაღაც ხაზები შევნიშნე. ახლოს მივედი, შემხმარი კირი მოვაცილე და ჩემს წინ მოკლე ასომთავრული წარწერა გამოჩნდა... საამო გულისცემით ამოვიკითხე. ერთი ისტორიულ პირის ღვაწლზე გვიყვებოდა საუკუნეების წინ ამოკვეთილი სიტყვები. სახელი ნაცნობი იყო, გონების თვალი გავადევნე ისტორიის ხვეულებს და ნახსენები მლვდელმთავარის ცხოვრების დროც წარმოვიდგინე, წარწერა თითქმის ამოხსნილი იყო, ახლა სპეციალისტებთან ასოების მოხაზულებით შეიძლება მეტად დაგვეზუსტებინა... აღფრთოვანებული დავაბიჯებდი, უფრო ახლოდან ვუღებდი ფოტოებს წარწერიან ფილას. მინდოდა, ვინმესთვის გამეზიარებინა ჩემი სიხარული, ტელეფონში მეგობრების ნომრებს ვეძებდი... ამ დროს ტაძრის წინ, მინდორზე, ბავშვები შემოცქრიალდნენ — ფრთახატულა პეპელას მოსდევდნენ, ორ გოგონას ბიჭი მოუძღოდა წინ, ათი-თორმეტი წლისანი იქნებოდნენ. ტელეფონს თავი დავანებე — აი, ვისთვის უნდა მეჩვენებინა პირველად ჩემი აღმოჩენა. მართალია, ბავშვები იყვნენ, მაგრამ მოვუთხრობდი ჩვენი წარსულის, წინაპრების, ენის, დამწერლობის შესახებ და იქნებ ამ წარწერის მნიშვნელობაც გაეგოთ. ჩემთან მოვიხმე ისინი. გაკვირვებით შემომხედეს, მერე ბიჭმა უცხო ენაზე რაღაც უთხრა გოგონებს. ახლოს მივედი, გამოლაპარაკება ვცადე. ქართული თითქმის არ ესმოდათ. უფროსმა გოგონამ უცხო ენით გამაგებინა, რომ ამერიკიდან იყვნენ მშობლების ქვეყანაში ჩამოსული... მალე წავიდნენ, მე კი დიდხან ვიდექი დაღონებული. მზე ჩაიწურა, წამოსვლისას ტაძარს ვედრებით შევხედე — ისიც, ირგვლივ მდებარე მთებიც და ჩემგან წარმოდგენილი წინაპართა აჩრდილებიც სევდიან ბინდში უჩინარდებოდნენ...

გოჭები წიფლის ფუღუროდან

შემოდგომით წიწიბოზე, წაბლსა და რკოზე გაშვებული მაკე ღორი არ მოსვლია შინ გიორგის. ერთი კვირაა, რაც მოთოვა და ნელ-ნელა ამატებს ცოტა-ცოტას ისე, რომ ტყეში მუხლამდე თოვლია უკვე. ეძებენ, როგორც შეუძლიათ, უფროსებიც და ბავშვებიც, თოვლის დადებამდეც ეძებდნენ, თუმცა უშედეგოდ. მეზობლებიც გამეცადინებულები არიან, თუ ვინმე მოხვდება ტყეში, ყურადღებითაა, იქნებ სადმე ვნახოთ და პატრონს მივუყვანოთო.

ერთ დღეს სკოლიდან მოსული ოჯახის ყველაზე უმცროსი წევრი, თოთხმეტიოდე წლის ბიჩინა, შეუყვა ტყიან ფერდობს, მუხნარ-რცხილნარი აიარა, აივაკა და წიფლის ტყეში შევიდა. ხვავრიელად თოვდა, უღრანში ნისლი იყო ჩაწოლილი, თოვლის სიმაღლე იქ მეტი ჩანდა სოფელთან შედარებით. ერთხანს შორიდან თითქოს ღორის ქოთქოთი და გოჭის ჭყივილი მოესმა და იქით გაეჩქარა სმენაგაფაციცებული. კარგა ხნის სირბილის მერე გადატეხილ წიფელთან ნისლში კაცი გაარჩია, რომელსაც ხელში გოჭი ეჭირა, ხოლო მის ჭყივილზე დედა ღორი ქოთქოთებდა. კაცი ცდილობდა, გოჭიანად წამოსულიყო და დედა ღორი დანარჩენი გოჭებით გამოეყოლებინა, მაგრამ ეს არც ისე ადვილი იყო, გოჭები წიფლის ფართო ფუღუროში მრავლად დაგებულ ფოთოლში გახვეულიყვნენ და იქიდან თოვლში გამოსვლას ერიდებოდნენ. ამ დროს მივიდა ბიჩინა და ახლო მეზობელი — ლეონტი შერჩა ხელში.

— ოჰ, ყოჩაღ, შენ, კაი დროს მომეშველეო, — შესძახა მის დანახვაზე ლეონტიმ, არიქა, იქნებ გამოვიყვანოთ ეგ გოჭები ფუღუროდან, ღორი წინ გავიგდოთ და წავიყვანოთო...

დააკვირდა ბიჩინა იქაურობას, რვა გოჭი გაეჩინა ტყეში გასუქებულ ღორს, ათიოდე დღის იქნებოდნენ. უმეტესობა ჭრელი იყო, მოშავო ხაზები დასდევდათ თავზე, წელსა და ფერდებზე. სიხარული გამოეხატა სახეზე ბავშვს და დაფიქრებით უთხრა მეზობელს:

— ტომარა მაქვს წამოღებული, იქნებ ჩავსვათ შიგ გოჭები და ღორი თავად გამოგვყვებაო...

— კარგი აზრია, მოდი, მაშინ მე ღორს მოგაცილებ, შეძვერი ფუღუროში და იქნებ ჩაყარო ტომარაში გოჭებიო.

ასეც მოიქცნენ — ლეონტიმ ჯოხი მოიმარჯვა და ფუღუროს მოაცილა ღორი, თან ხელში დაჭერილ ერთ გოჭს აჭყივლებდა და აჩვენებდა დედას, წამომყევიო.

ბიჩინამ უბიდან ამოღებულ ტომარაში ჯერ ხმელი ფოთლები ჩააფინა ბლომად, მერე უცებ შეყო ფუღუროში თავი და დაუწყო პუტკუნა გოჭებს შიგ ჩაყრა. როცა შვიდივე შიგ მოათავსა, კიდევ დააყარა ზემოდან იმათივე ნაწოლი თბილი ნეშო. ამის დამნახავი ლეონტი მისკენ გაიქცა, ხელში რომ ეჭირა, ის, მერვე გოჭიც მის ტომარაში ჩაუძახა და თვითონაც მოუკიდა ხელი.

— ახლა თავი მოვუკრათ და წავიდეთო.

უცებ მოუკრეს თავი ტომარას, საკმაოდ მძიმე ჩანდა, მაგრამ მარჯვედ წამოიკიდა ზურზე ბიჩინამ.

— გასწი, მეც მოგეხმარები ტარებაში, ჯერ კი ღორს მოვყვებიო, — უთხრა ლეონტიმ.

თუმცა ღორს მოყოლა არ უნდოდა, ჯერ დარბოდა და ქოთქოთობდა მათ ირგვლივ, მერე ბიჩინა რომ წამოვიდა გოჭებიანი ტომრით, ძაღლივით აედევნა უკან ჭყვიტინ-ჭყვიტინით. ტომრიდან შვილები უხმობდნენ და მოდიოდნენ დათოვილი ტყით ფიფქებში გახვეული ბიჭი, კაცი და გარეულობისკენ მიდრეკილი შინაური ცხოველი.

ბინდდებოდა, სოფელს რომ მოაღწიეს. გაუხარდა ოჯახს, მიხვდნენ, ლეონტის ნაპოვნი იყო მათი გოჭებიანი ღორი და ქებითა და მადლიერებით შეხვდნენ.

— მე მარტო რას ვიზამდი, ეს ბავშვი რომ არ მომშველებოდა, ამან მეტად იმარჯვა ჩემზეო, — იძახდა ქებით ნასიამოვნები ლეონტი.

ღორი და გოჭები მალე შეყარეს გამზადებულ საღორეში. ტყიდან წამოყოლილ წიფლის ფოთლებს იქ ბევრი მუხის და ცოტა რცხილის ხმელი ფოთლებიც დახვდათ.

— შენ აქ წამობრძანდი, ჩემო ლეონტი, სუფრა იშლება უკვე, ჯერ ასე გცემ პატივს და მერე ეს გოჭები რომ გაიზრდებიან, რომელიც გინდა, ამოირჩიე და წაიყვანეო, — უთხრა გიორგიმ მეზობელს, მზრუნველად მოჰკიდა ხელი და კმაყოფილმა წაიყვანა სახლისაკენ.

ბიჩინა დიდხანს უყურებდა გოჭებს, მერე ისიც შინ შევიდა, მეზობელს მიუჯდა გვერდით და ზამთრის თოვლიან ღამეს მათი სახლიდან მხიარული სიმღერები უერთდებოდა.

გამწარებული თაფლი

ბუხარი და ორი კაციო, ნათქვამია. მართლაც, მეტი ვერ თავსდება კარგად ბუხართან. ახლაც ორნი სხედან — ერთი ერთ მხარეს მიყრდნობია კედელს, მეორე — მეორე მხარეს. საუბრობენ მშვიდად, იგონებენ წარსულის ამბებს. ერთი სოფლის იქითა კუთხისას ჰყვება, მეორე — აქეთასას. ერთი სტუმარია, მეორე — მასპინძელი. თუმცა რაღა სტუმარ-მასპინძელი, ამათი ხნის სოფელში აღარავინაა და ახლობლებად თვლიან ერთმანეთს, ხშირად არიან ერთად. ახლაც, თოვლიან დღეს, პატარა სუფრა გაუშლიათ ბუხრის წინ და ლაპარაკობენ, თან ცოტა ღვინოს წრუპავენ. მე შორიახლო ვარ და ყურს ვუგდებ მათ საუბარს...

— სესიკამ რომ თაფლიანი მორი მოიტანა შინ, გახსოვს?

— ჰე, გამიგონია ეგ ამბავი, მარა კარგად ვეღარ ვიხსენებ, რავა იყო, თქვი, თუ კაცი ხარ?

— გარეული ფუტკარი უნახავს ხის ღრუში, ზამთარი იყო, ახალი წამოთოვილი და სავსე ყოფილა ფიჭით წიფლის ფუღურო. დახარბებია თაფლს და დაუწყია ხის მოჭრა, დაუცია ძირს, გადაუჭრია ფუღუროიანი ნაწილი, სადაც ფუტკარი ყოფილა, შეუბამს ხარები და წამოუთრევია. დიდი ყოფილა ხე, მაგრამ თოვლზე არ გასჭირვებიათ ხარებს. მიუტანია ეზოში და რა ქნან ახლა, თაფლი როგორ ამოიღონ? ჯერ უთქვამთ, დავაპოთო, მარა ფუტკარი ხომ ამოვა ამ დროს და დაგვეხვევაო...

— რავა, არ გამოსულან ფუტკრები გარეთ ხის მოჭრისა და წამოღების დროს?

— ეტყობა, არ გამოსულან, არ დაუტოვებიათ თავისი ნაშრომი, როგორი დასატოვებელია, ან სადღა წავიდოდნენ, ზამთარში მით უმეტეს, ბინა ხომ უნდოდათ იმათაც და სარჩო?..

— კაი, კაცო, მერე?

— მერე სესიკასანებს აუდუღებიათ წყალი და ჩაუსხამთ მოთრეული ხის ფუღუროში, დავხოცავთ ასე ფუტკარს და თაფლს დავინარჩუნებთო...

— შეარცხვინათ ღმერთმა, აგრე ფუტკრის გამეტება რავა შეიძლება!..

— კი, ნამეტანი გაუმეტებიათ... ახლა, რომ ჩაასხეს ეს ცხელი წყალი ერთი მხრიდან იმ ღრუიან ხეში, სანამ ფუტკრამდე მიაღწევდა, მანამ მისმა ორთქლმა გამოყარა მეორე გადანაჭრელი თავიდან გარეთ ეს ფუტკარი, გამოცვივდნენ და მთელ სახლობას, იმ მორს რომ იყო შემოხვეული თაფლის გასინჯვის მოლოდინში, დაერივნენ და აატეხინეს წივილ-კივილი!..

— კაი, კაცო, მართლა?!.

— აპა, დიდსა და პატარას დაეხვივნენ და დაუწყეს კბენა დაუნანებლად. დაუკბენიათ კარგად ყველა და კაი ხნის მერე გამქრალან ეზოდან. დარჩენილა ფიჭიანი მორი უფუტკროდ... როდის-როდის გამოძურწულან სახლში მიმალული სესიკა და მისი ვაჟბატონები, ხოლო ქალებს და ბავშვებს ვეღარ გამოუბედავთ გარეთ...

— სესიკას ცოლს ფუტკრების კბენით ხო არ გაუდიდდა ის უკანალი, ჰა?

— ფუტკრების კბენით კი არა, თავიდანვე ისე გადმოყვა თავის სოფლიდან, ჰე, ჰე, ჰე... ჰოდა, ყველა ნაკბენებზე ისვამდა ხელს გამწარებული თურმე... გამოსულან, შენ ხარ ჩემი ბატონი, გარეთ და მისულან მაინც მორთან. რაღა ხალისი ჰქონდათ, მაგრამ დაუწყიათ დაპობა და გამოუღიათ ცხელი წყლით აზელილი ფიჭა. კაი ბლომად კი ყოფილა, დაუწყიათ გობზე და შეუტანიათ შინ, მაგრამ რად გინდა?! ისე ყოფილან გამწარებული ფუტკრების ნაკბენებით, გემო ვეღარ ჩაუტნევიათ თაფლისთვის...

— კაცო, სხვა რამე უნდა მოეფიქრებინათ და არც ის ფუტკარი გაემეტებინათ, რომ გაეჩინათ იმათთვის ბინა და ნაწილი თაფლიც დაეტოვებინათ, ხომ მოიშინაურებდენ, არა?

— კი, მოიშინაურებდენ, ალბათ, მარა ვერ მოქცეულან კარგად, ფუტკარიც გაუმწარებიათ და თვითონაც გამწარებულან. აი, ასეა, სხვის წახდენას რომ მოინდომებ, გგონია, შენ კაი დაგემართება?!. თავისი სიხარბით თაფლიც გაუმწარდათ... ტყე რომ ტყეა, ნადირი რომ ნადირია, ფრინველი რომ ფრინველია... მწერსაც კი — ყველაფერს კეთილად, სიყვარულით და მადლით უნდა მოექცე კაცი... მით უმეტეს, ფუტკარს, ეჰ, მასავით მუყაითად, წესიერად და რიგიანად რომელი კაცი შრომობს და ცხოვრობს ამ ქვეყანაზე?!.

დაჩი ახვლედიანი

სოხუმჩანი 5

წვიმიანი ამინდი ტალღებს აგულიანებდა სოხუმში, ისე წვიმდა, თითქოს აქ დატრიალებული ყველა უსამართლობის, ყველა ცოდვის ჩამორეცხვას ცდილობდა ბუნება.

წვიმიანი დღეების შემდეგ უკვე დაუსრულებელი, გაუსაძლისად ცხელი დღეები იწყება ხოლმე ქალაქში. ხმა გავარდა ასტამურის გაგიჟებაზე: ნაყინის გამყიდველი ასტამური მაიაკში, ასლანის სახლთან ახლოს, უცემიათ, ამის შემდეგ დადის და ჩანთებს მათხოვრობსო... მოგონებების შესანახად მჭირდებაო...

კაკო აღარ სვამდა, რაც გიორგის მოკვლა სცადეს. გამთენიისას დგებოდა და პირველი, რასაც აკეთებდა, გიორგის დახედავდა — აბა, მამა ანდრიას ლოცვა კი არ დაიცავს ამასო, დააყოლებდა იარაღის წმენდით. ასლანი ისევ ციხეში იყო. სოხუმჩანები მის საბოლოო განაჩენს ელოდნენ...

გიორგი ხვდებოდა, რომ ასტამურის ცემაც ასლანის ავტორიტეტის შესასუსტებლად იყო დაგეგმილი. მთელმა სოხუმმა იცოდა, როგორ უყვარდა ასლანს ის. გიორგი ნართაში ტარიანს აკეთებდა, როცა მოულოდნელად შემოვიდა მეუფე. მამა ანდრიამ გიორგი არც კი შეიმჩნია და ცივი წყალი სთხოვა მიმტანს. ნართაში თითქმის არავინ იჯდა. დილაობით უმეტესად ცარიელი იყო იქაურობა. გიორგი იყო ყოველ დილით ნართის პირველი სტუმარი. მეუფემ ყავა შეუკვეთა და თხოვნის მერე მიმტანს პირჯვარი გადასახა. ამაზე გიორგიმ გაიცინა: „ლოცვა ჩემთვისაც შემოინახეთ, მამაო, იქნებ გადმომხედოს ღმერთმა, თორემ ლამისაა, შევიშალო ამ ქალაქში. უკვე აღარ ვიცი, ვის უნდა ვენდო. გაიგებდი ალბათ, ასტამურს რა უქნეს“. მეუფე წარბშეუხრელად უსმენდა გიორგის, მის უნიჭო ხუმრობაზეც არ ჰქონია რეაქცია. სათვალე მოიხსნა, სკამზე ისე მიეყრდნო, აქედანვე ჩანდა, რომ დაუსრულებლად აპირებდა საუბარს. ჩანდა, ყველა კითხვაზე პასუხი ჰქონდა, რაც გიორგის აწუხებდა.

„გინდა, ტარიანი შეაკეთე და გინდა, გაუჩერებლად გააგრძელე მაგის მოწევა, მაგრამ საუბარი არ გამაწყვეტინო, თორემ იმ მამა ანდრიას დაინახავ დღეს, რომელიც არც კი დაგესიზმრებათ შენ და ასლანს“, — დაიწყო მამაომ. გიორგი გაოცებული იყურებოდა. ხმა არ ამოუღია.

მამაო ისევ მიეყრდნო სავარძელს და განაგრძო: „ომი როცა დაიწყო, მე, მამაშენი და ასლანის მამა ცხრამეტი წლისანი ვიყავით. ამაზე აქამდე არასდროს მისაუბრია თქვენთან. მინდოდა, მამა ანდრია გყვარებოდათ და არა ის, ვინც საერო ცხოვრებაში ვიყავი. მინდოდა, მამათქვენის მეგობარი კი არა, საერო პირი კი არა, უბრალოდ თქვენი მეგობარი მამა ანდრია ვყოფილიყავი. ხანდახან, როცა უკან ვიხედები, მეცოდება ჩემი თავი, მეცოდება ჩემი თაობა. ვართ კი რო ამ შეცოდების ღირსები? ეგეც არ ვიცი“. გიორგი გაყინული მზერით უყურებდა. იმდენად გაოცდა, რომ ამ გაოცების გამოხატვისთვისაც ვერ მოება თავი.

მამა ანდრია კი განაგრძობდა: „ზოგი გმირად იბადება. მამაშენი გმირი იყო და ეს ბევრს არ ესმოდა. როცა ომი დაიწყო, ქაოსი იყო მის სულში: ვერ უყურებდა და ვერ ეგუებოდა უსამართლობას. იქით წავიდა, საითაც გული მიუწევდა. და ის ქაოსი, რაც მასში იყო, ისტორიად აქცია... მამაშენს სიგიჟემდე უყვარდა თავისი სამეგობრო. მათ შორის მეც... ის ჩვენც გვიყვარდა, მაგრამ ჩვენს თავს ზემოთაც იყო რაღაც... ეს გულის ძახილი იყო. ყველას ჩვენი წილი სიმართლე გვქონდა თითქოს... მამაშენმა ჩვენზე უკეთ იცოდა აფხაზური, ბაბულიას ის ყველაზე მეტად უყვარდა, მე და ასლანის მამა ომში რომ წავედით, გაუგია და მამაშენი დაუბარებია თავისთან. ბაბულია იხსენებდა მერე, ამ ამბის გაგების მერე, დიდი ხანი მიყურებდა, თითქოს არ მისმენდა, რას ვლაპარაკობდიო. ის მაშინ ჯერ კიდევ არ იბრძოდა, ისეთი გაყინული იჯდა, შემეშინდა და ჩავეხუტეო... მამაშენს არც ამაზე ჰქონია თურმე რეაქცია, ჭიშკართან მობრუნებულა და ბაბულიასთვის უკითხავს — შენ ხო გჯერა, რომ ჩვენ ძმობა ამასაც გაუძლებსო... იმ დღეს ჩაეწერა მოხალისედ. ბიჭები იძახდნენ, ყოველი შეტაკების მერე გიჟივით დარბოდა გარდაცვლილებს შორისო, ყოველი შეტაკებისას თითქოს სიკვდილს დაეძებდაო. როცა შენ დაიბადე, მე და ვახო (ასლან თარბას მამა) წავედით გუდაუთის საავადმყოფოში. მაშინ უკვე აფხაზები ვაკონტროლებდით სოხუმს. მამაშენი განთქმული მებრძოლი იყო და გვეშინოდა დედაშენისა და შენთვის არაფერი დაეშავებინათ. რომ მივედით, მახსოვს ორი მანქანა მებრძოლებით სავსე დაგვხვდა. ვახო ემოციური იყო ყოველთვის და სანამ მანქანიდან გადმოვიდოდით, იარაღი გადატენა — თუ რამე დაუშავეს ლევანის (გიორგის მამა) ოჯახს, ყველას დავხოცავო. არადა, იქ სრულიად უცხო ბიჭები დაგვხვდნენ. ისინიც თქვენ, უფრო სწორად შენ გიცავდნენ. დედაშენი, ჩვენ რომ მივედით, უკვე გარდაცვლილი იყო. ჩვენი გაოცებული სახეების შემხედველებმა ასე გვიპასუხეს: „ლევანი ტყვარჩელში ჩვენს შვილებს იცავს მაროდიორებისგან, მის შვილს რამე რომ მოუვიდეს იქ, სადაც ჩვენ ვაკონტროლებთ სიტუაციას, მაგ სირცხვილს ვერავინ ჩამოგვრეცხავსო.“ მამაშენი იმ დროს მხოლოდ 19 წლის იყო, ჩვენ გვესროდა და მაინც დიდ პატივს ვცემდით. გიჟივით გვებრძოდა აფხაზებს და მაინც ყველა პატივს სცემდა მის სახელს. ამას იმსახურებდა და იმიტომ. მერე, როცა გავიგეთ, გუმისთასთან შეტაკებისას ლევანი მოკლეს, ვახო დაჭრილი იწვა სოხუმის საავადმყოფოში. მე ხმას ვერ ვიღებდი, ის კი ისე უიმედოდ ღრიალებდა, ამტვრევდა ირგვლივ ყველაფერს. შვებას ეძებდა ჩემთან, ჩემს თვალებში კი მხოლოდ შიშს ხედავდა. მკვლელს ხედავდა ჩემს თვალებში და საკუთარ თავშიც... ძმის მკვლელს ხედავდა მხოლოდ. ბაბულიამ საკუთარი ხელით გამოიტანა ლევანის ცხედარი გუმისთიდან და აფხაზური წესით დაიტირა. სამი დღის მერე ჩასაფრებაში მოვყევით 10 კაციანი ჯგუფი, ვახო მძიმედ დაჭრილი გამოვიყვანეთ. სოხუმში მისვლამდე ხელში ჩამაკვდა. გზაში იცინოდა — აუცილებლად შევრიგდებით მე და ლევანიო. იმ საუბრიდან სხვა არაფერი მახსოვს, გზაზე ნაღმი აგვიფეთქდა... ორი თვის მერე, როცა ომი უკვე თითქმის დამთავრებული იყო, თვალები გავახილე და ბაბულია დავინახე. საავადმყოფოდან გამომიყვანა. არც ვიცოდი, რა უნდა მეკეთებინა. მთელი კვირა ვერ ვლაპარაკობდი. პირველად რომ გამოვედი სახლიდან, დანგრეულ და სისხლით სავსე ქალაქს ჩავუყევი. ვბრაზობდი, რატომ დამტოვა ღმერთმა ამ ჯოჯოხეთში-მეთქი. მეც ვახოსა და ლევანთან რატომ არ წამიყვანა-მეთქი... დღეები ამაზე ვფიქრობდი, ცარიელ სოხუმში აჩრდილივით მოსიარულე... მერე შენ და ასლანი გნახეთ და მივხვდი, რატომ უნდა მეცოცხლა“.

გიორგი სუნთქვაშეკრული იჯდა, იჯდა და ვერც კი ბრაზობდა იმაზე, რატომ ინახავდა ამ ამბავს მეუფე ამდენი ხანი მისგან; ვერც იმას ხვდებოდა, რატომ უყვებოდა ამდენი წლის მერე.

მეუფე ისევ განაგრძობდა: „ახლა კი, გიორგი, დროა, იკმაროს ამ ქალაქმა. ამდენი წელი ისევ ჩემი ეგოიზმის გამო არ გიყვებოდით ამ ყველაფერს, რადგანაც თქვენში ვახოსა და ლევანს ვეძებდი. ჩემს მეგობრებს ვეძებდი ეს წლები. მათ გარეშე არცერთი ღირებული წამი არ მიცხოვრია სოხუმში... შენ ალბათ ახლა ფიქრობ, რატომ არაფერი გითხარი, ან ახლა რატომ გიყვები... იმ დღეს, როდესაც შენი მოკვლა სცადეს, თითქოს წარსულის იარებმა ახალი ძალებით შემომიტიეს. კიდევ ერთხელ მეგობრების დაკარგვას ვეღარ გადავიტან. კიდევ ერთხელ ვეღარ გავუძლებ მარტო დარჩენას დაცარიელებულ ქალაქში, აქაურობის უსახურ ხმებს, უიმედო და სულისშემძვრელ გარემოს... ამ კვირაში ვეცდები, ასლანს შეგახვედრო. ციხის უფროსთან შეთანხმებული მაქვს უკვე. შენი მისია იარაღით სირბილი და მისი მტრების დევნა კი არა, ასლანის გადარჩენაა — ხელი უნდა ააღებინო შურისძიებაზე, ხელი უნდა ააღებინო იმ ცხოვრების წესზე, რომელიც ყოველ წამს საფრთხეში გაგდებთ ორივეს. თქვენ ჩემი უკანასკნელი იმედი ხართ, იმედი ხართ იმის, რომ საბოლოოდ არ ამოვძირკვეთ ამ ქალაქში სიყვარული, იმის იმედი, რომ საბოლოოდ არ გავანადგურეთ ქართულ-აფხაზური საუკუნოვანი ურთიერთობები... იმედი იმისა, რომ საბოლოოდ არ იქცევა სოხუმი აჩრდილების ქალაქად, იმედი იმისა, რომ სოხუმში მაინც სიცოცხლე გაიმარჯვებს... ბუნდოვანია ყოველივე, რასაც უსიყვარულოდ ვაკეთებთ, ბუნდოვანია ჩვენი, ქართველების და აფხაზების, მომავალი, თუ არ ვაპატიებთ ერთმანეთს. შენ რა გგონია, ნამდვილ სოხუმჩანებს არ ენატრებათ სოხუმი? ბოლოს, იცი, როდის ვნახე ძველი სოხუმი? მამაშენის დასაფლავებაზე... ჩანბაზე... ბოლოს მაშინ შევიკრიბეთ უიარაღოდ ქართველები და აფხაზები ერთად. ბაბულია ტიროდა მაშინ. ბაბულია მებრძოლი ქალი იყო. მას უკვე ორი შვილი საკუთარი ხელით ჰყავდა დასაფლავებული და მესამე, არც იცოდა, სად იყო. ის ნამდვილი აფხაზი ქალის სიმბოლო იყო, მის თვალებზე ცრემლი არ მინახავს, ისე მიაბარა მიწას სამივე შვილი. როცა მამაშენი გარდაიცვალა, იტირა... ტიროდა იმიტომ, რომ მასაც ეშინოდა, იქნებ რომელიმე მისი შვილის მიერ ნასროლმა ტყვიამ იმსხვერპლა მისივე გაზრდილი ლევანი. ტიროდა, როცა მე და ვახომ სოხუმში გადმოვასვენეთ გუმისთიდან მამაშენი. დიდხანს გვიყურებდა. საშინლად წვიმდა იმ დღეს. სროლების ხმა ისმოდა აქა-იქ. რამდენიმე ჩვენი მეზობელი მოვიდა. მხოლოდ ისინი, ვისაც იარაღი ჰქონდა. სოხუმში ქაოსი იყო. გზებიც დამტვრეული. ტანკებმა და ბეტეერებმა გაანადგურეს. გზაზე მიცვალებულების სხეულები გვხდებოდა. გვერდს ისე ვუვლიდით, თითქოს არაფერი ხდებოდა განსაკუთრებული. სისხლში იყო სოხუმი ჩაფლული. წინადღეს ინტელიგენციით და განათლებული საზოგადოებით მოტრაბახე სოხუმში სასაკლაო, სამარცხვინო სასაკლაო მოგვეწყო ერთმანეთისთვის. ნახევარი ჩანბა გადამწვარიყო. წვიმდა და მაინც იწვოდა სახლები. წვიმდა და მაინც წითლად გვდიოდა სისხლი, ღელავდნენ და ხმაურობდნენ ტალღები. წვიმას არც ამ სისხლის ჩამორეცხვა, არც ცეცხლის ჩაქრობის ძალა შერჩენოდა. ვეღარც ტალღებმა შეძლეს ომის შემზარავი ხმების ჩახშობა. მაშინ ბაბულია ჭიშკართან იდგა და გველოდა. ელოდა თავის უკვე მეორე გარდაცვლილ შვილს. იდგა და მისი თვალები ცარიელი იყო, მისი ცრემლებიც გაყინული და არაფრისმთქმელი. დაცლილიყო ადამიანური გრძნობებისგან. არც კი შემოუხედავს ჩემთვის. არც ვახოსთვის. ჩაგვიარა, მერე გაჩერდა, როგორც კი რამდენიმე ნაბიჯით ზურგი გვაქცია და შემოუბრუნებლად მოგვაძახა, გარდაცვლილი ძმა მაინც დაიცავით და მე მალე დავბრუნდებიო. არასდროს მიკითხავს იმ ღამის ამბავი ბაბულიასთვის. სოხუმში ამბობენ, რომ იმ ღამეს ფეხით ჩასულა ბაბულია არძინბასთან გუდაუთაში. ერთი დღით შეტევების შეწყვეტა უთხოვია სოხუმის მიმართულებით. მეხივით გავარდა სოხუმში ხმა — ბაბულიამ ომი ერთი დღით შეაჩერაო... ყველა მოვიდა იმ დღეს მამაშენის დასაფლავებაზე. ყველას სჭირდებოდა ეს დღე. მაგრამ გონს მოსაგებად მაინც არ აღმოჩდა ეს დღე საკმარისი. უფრო მეტი ბაბულია სჭირდებოდა სოხუმს გადარჩენისთვის...

იმ დღეს ტალღებიც კი აღარ ხმაურობდნენ. იმ დღეს ბაბულიამ მეორე შვილი მიაბარა მიწას. მაშინ ვერც კი წარმოიდგენდა, მესამესაც თუ წაართმევდა ღმერთი. ისე, ყველა კითხვაზე, რომელზეც ჩვენ არ გვინდა პასუხის გაცემა, ღმერთს ვიშველიებთ ხოლმე. ღმერთმა წაართვა კი? ღმერთი დაიარებოდა სოხუმში და ეძებდა ჩვენს შორის ადამიანს. ჩვენ კი, მაშინ, სისხლში ჩაფლულნი, ერთმანეთის სიძულვილით დაბრმავებულნი დავიარებოდით და ღმერთში ვეძებდით დამნაშავეს“, — სევდიანად დაასრულა მამაომ გიორგისთან მონოლოგი. ნართაში შეკვეთილი ხაჭაპური არც კი დაუგემოვნებია, ისე გაეცალა იქაურობას. გიორგი ემხვარი კი საღამომდე გაუნძრევლად ადგილზე იჯდა. ფიქრობდა. ვერ ხვდებოდა, საიდან დაეწყო ამ ყველაფრის გააზრება, რაც მამა ანდრიამ მოუყვა.

* * *

გიორგიმ მეოთხე სართული აიარა. 117-ე საკნის კართან მალევე აღმოჩნდა. ასლანი საკანში იწვა. გიორგის დანახვისთანავე სახე გაუბრწყინდა. არ სჩვეოდათ მკაფიოდ გამოხატვა მონატრების, სიყვარულის, თუმცა მათ თვალებში ეს ყველაფერი ახლა ისე იგრძნობოდა, როგორც არასდროს. ორივე აქ და ახლა, 117-ე საკანში, უფრო ძლიერად გრძნობდა თავს. ისე ძლიერად, როგორც არასდროს.

გიორგიმ ტარიანის შეკეთება დაიწყო.

ასლანმა ჩვეული სტილში დიალოგის წამოწყება სცადა: „გარეთ კარგად მოწყობილხარ, ხომ იცი... რახან ჩემამდე შემოაღწიე და თან ტარიანით ხელში... ისე, კი მომენატრა მოწევა. ნუ მიყურებ ასე. მიხედე საქმეს, აქაც შემომდის შენი ამბები, შენს წერილებს ამ ბოლო დროს არა უშავს, მანამდე უფრო სენტიმენტალური განწყობებით იყო სავსე. კიდე კაი, მიხვდი, რომ მე შესაცოდი არაფერი მჭირს, სანამ შენ მყავხარ გარეთ. აქედან გამოსვლის მერე თარბები და ლაკირბები სოროდან ვერ გამოვლენ, გპირდები“.

გიორგიმ ამასობაში ტარიანი შეაკეთა და გაუკიდა კიდეც: „ასლან, თურმე შენს ჩრდილში ვყოფილვარ, თორე მეც მაგარი ნიჭიერი გამოვდექი. იცი, როგორ მოვხოდე სიტუაცია? სოხუმი, გუდაუთა, გაგრა — ყველგან ჩვენს ბიჭებს მიჰყავთ პარადი. ბიზნესიც მაგრა იქაჩება. შენც მალე გამოგიყვან აქედან. ერთი რამის კი მრცხვენია — ასტამური ვერ დავიცავი, ასლან. სასტიკად სცემეს და გაგიჟდა. ახლა მარადონას უფრო მოეკითხება ჭკუა, ვიდრე მაგას. მთავრობასთანაც ვერ ვალაგებ ჯერ ვერაფერს, არც კი მიკარებენ, თემურ ლაკირბა და საიდას მამა დგანან ამ ყველაფრის უკან. ხომ იცი, ვერცერთი ვერ გვიტანს“.

დიდი ხანი ისაუბრეს მეგობრებმა იმ ღამით. გიორგიც საკანში დარჩა. არავინ იცის, რაზე ისაუბრეს, არავინ იცის, რატომ იყო ასლანი ბედნიერი: ის ისევ პატიმრობაში რჩებოდა, გიორგისაც არაფერი კონკრეტული და სასიკეთო სიახლე ჰქონდა მისთვის სათქმელი, მაგრამ ასლანი მაინც ძალიან ბედნიერი იყო. მისი მეგობრები მუხლჩაუხრელად და წარბშეუხრელად იბრძოდნენ მისთვის. ის ბედნიერი იყო, გიორგის თვალებში ხედავდა უანგარო სიყვარულს და თანადგომას. ხედავდა იმასაც, რომ ეს თვალები არასდროს შეიცვლებოდნენ.

* * *

პოლკოვნიკი დილაადრიან არყის ბოთლმოყუდებული ოთახში ბოლთას სცემდა. მერე უცებ მიაგდო არაყი და იარაღის წმენდა დაიწყო. მაგასაც ვერ დაუდო გული, ისევ უმისამართოდ აქეთ-იქეთ სიარული განაგრძო. ბოლოს იმ კარადასთან შეჩერდა, რომელიც ომის შემდეგ არათუ გაუღია, არც კი მიჰკარებია. ამ კარადაში ელაგა მრავალ წელს ნაგროვები ჩინ-მედლები და ვარსკვლავებაკრული სამხედრო ფორმა. ერთი შეხედვით, არაფერი უნდა ყოფილიყო დიდად გასაკვირი, რომ ყოფილმა პოლკოვნიკმა, აწ უკვე ლოთმა და ცოტა არანორმალურმა, ძველი სამხედრო ფორმის ჩაცმა გადაწყვიტა. ყველა, ვინც იცნობდა, მას ისედაც პოლკოვნიკს ეძახდა. მაგრამ აქ იყო ერთი დეტალი — პოლკოვნიკის ფორმის მარჯვენა მხარეს საქართველოს დროშა იყო გამოკვეთილად ამოქარგული.

პოლკოვნიკმა თავისი ჟიგული დაქოქა და სოხუმის ცენტრალური სასამართლოსკენ აიღო გეზი. მას აქეთ მიეჩქარებოდა. აქ დღეს ყველაზე თავზეხელაღებული სოხუმჩანის გასამართლებას აპირებდნენ. დილიდანვე ეიფორიაში იყო სოხუმური ელიტა — პატიმრობის მეშვიდე თვეს განაჩენი უნდა გამოეტანათ ასლან თარბასთვის.

გიორგიმ ჰალსტუხს დაავლო ხელი. მის გაკეთებაში დრო რომ არ დაეკარგა, ჭიშკრისკენ დაიძრა, როცა საიდა აჩბას მანქანამ შემოუხვია. გიორგი ჰალსტუხით ხელში ჭიშკართან იდგა და ცდილობდა, ბოლომდე ეგრძნო მისი აჩქარებული გულის უცნაური ფეთქვა. საიდას ყურება ყოველთვის სიცოცხლის ხალისს უბრუნებდა. მისკენ მომავალი საიდას ყურება თითქოს ძლევამოსილად აქცევდა. საიდამ გიორგის გონზე მოსაყვანად მანქანის ფანჯარა ჩასწია და ხმამაღლა დაუძახა: „რა იყო, გეგონა, ასლანს მარტო დავტოვებდი ასეთ მნიშვნელოვან დღეს? დღეს ისევ ერთად ვიზეიმებთ მის განთავისუფლებას, როგორც წინა წლებში... ცხოვრება ხანდახან მაშინ გვანებივრებს, როცა მისგან უკვე აღარაფერს ველოდებით“.

სასამართლოს შესასვლელი ჟურნალისტებით, მწერლებით, მსახიობებით, კრიმინალური ავტორიტეტებით და ბევრი მტერ-მოყვრით იყო სავსე. თემურ ლაკირბას უკვე წინა რიგებში დაეკავებინა ადგილი იმ იმედით, რომ რამდენიმე წლით მაინც გაისტუმრებდა მის ყველაზე საშიშ მტერს ციხეში. საიდას მამაც თემურს უმშვენებდა გვერდს და მის იმედებს და განცდებს იზიარებდა. მაშინ სოხუმჩანებს ვერც კი წარმოედგინათ, რომ ეს ყველაზე გრძელი და მოულოდნელობით აღსავსე დღე გამოდგებოდა ომის შემდგომ სოხუმში...

ხელბორკილებით, ერთდროულად თავისუფლებაშეზღუდული და ამავე დროს ყველაზე თავისუფალი, ასლან თარბაც გამოჩნდა ბადრაგთან ერთად. დარბაზი ახმაურდა. ზოგი ჩურჩულებდა, ზოგი ხმამაღლა მის გამხნევებას ბედავდა. ის მაინც არსად და არავისკენ იყურებოდა. თითქოს ისედაც იცოდა, ვინ რა მზერით დახვდებოდა ამ დარბაზში. ბორკილებადებული სუსტი, გრძელთმიანი, წვერებიანი, შავთვალება 20 წლის ასლან თარბა მშვიდად და წყნარად მოაბიჯებდა სასამართლო დარბაზში... ასლანი არ იმჩნევდა თუმცა, გაოცებული იყო — ჯერ მის მეგობრებს ვერ ხედავდა დარბაზში. ამ დროს გიორგი და საიდა ხელჩაკიდებულნი გამოჩნდნენ. საიდა ჩვეულებრივზე მეტად დარწმუნებული ჩანდა საკუთარ თავში — ის ახლა ნებისმიერს დაუპირისპირდებოდა და აღარ დამალავდა მისი და გიორგის სიყვარულს. ახლა ისეთი ძლიერები და გამბედავები ჩანდნენ, როგორც არასდროს. იმდენად სჯეროდათ ერთად ყოფნის, არც თემურ ლაკირბა აშინებდათ და არც საიდას მამა. ალბათ სამყაროს შეცვლაც სწორედ მაშინ შეუძლია ადამიანს, როდესაც საკუთარი თავის დაუფიქრებლად სჯერა. ისინი მაშინ სამყაროს შეცვლას აპირებდნენ. ამ დარბაზიდან აპირებდნენ ამას. საიდა და გიორგის ერთად გამოჩენით გამოწვეული ვნებათაღელვა არც კი იყო ჩამქრალი, როდესაც ქართული სამხედრო ფორმით დარბაზში პოლკოვნიკი გამოჩნდა. ვერავინ შეჰბედა აფხაზეთის ომის გმირს რამის თქმა. მოსამართლემაც ანიშნა მცველებს, რომ პოლკოვნიკისთვის ხელი არ შეეშალათ. პოლკოვნიკი მოურიდებლად დაჯდა წინა რიგში. ბრალდების მხარემ ისე დაასრულა მოხსენება, დარბაზში სრული სიჩუმე ერთი წამითაც არ დარღვეულა. ასლან თარბას საქმის შეიარაღებულ გარჩევასა და ბიზნესმენების შანტაჟში ედებოდა ბრალი. მოსამართლემ ბრალდებულს გადასცა სიტყვა.

ასლანმა წვერზე ხელი მოისვა, თითქოს გაისწორაო, ნელა შეათვალიერა მთელი დარბაზი და წამოდგა: „მე არ ვთვლი, რომ კანონის უზენაესობა რეალური იყოს ჩვენს ქალაქში. მე არ ვთვლი, რომ სამართლიანად ისტუმრებთ ბნელი საკნებისკენ ადამიანებს ამ დარბაზიდან. მე ასევე არ ვთვლი, რომ აქ მჯდომთაგან რამდენიმეს მაინც გაქვთ ჩემი გასამართლების მორალური უფლება... თუმცა მნიშვნელოვანი ის კი არაა, მე როგორ ვთვლი... თქვენს თავს უნდა ჰკითხოთ, ახლა სიმართლეს ვამბობ, თუ არა. ოდესღაც, და არც ისე შორეულ ბავშვობაში, დანგრეული და განადგურებული უსამართლო სამყარო მარგუნეთ. ჩემი წილი ბედნიერება თქვენმა ნაშენებმა სამართლიანმა და თავისუფალმა სოხუმმა შეიწირა. მე და გიორგი ემხვარს ბავშვობა ისე ადრე წაგვართვით, წესიერად დამახსოვრებაც ვერ მოვასწარით, როდის ვიყავით ბავშვები. თქვენს შვილებს ჰკითხეთ, ჰქონდათ თუ არა ამ ქალაქში მათ ოდესმე ბავშვობა. ერთადერთი მიზეზი, რის გამოც მოუთმენლად ველოდი ამ სასამართლოს, არის ის, რომ ხმამაღლა გითხრათ: ეს ქალაქი არაა ასლანის, ინალის, საიდას და ვინმე კონკრეტული პირის, მათ შორის არც თქვენი, ბატონო მოსამართლევ! ეს ქალაქი სოხუმჩანებისაა, თქვენ ვერასდროს გადამიწყვეტთ, როგორი დილა გამითენდება. ვერც იმას გადამიწყვეტთ, ღამეს ბურუსი შემიბოჭავს, თუ მზე ამოვა, ჩემთვის, ექსკლუზიურად...“

ასლანი გაჩუმდა და მსჯავრდადებულის სკამზე მშვიდად დაეშვა. მოსამართლეს არც კი აუწევია თავი, ისე იკითხა ხმამაღლა და მკაცრად — მსჯავრდადებულის მხრიდან ვინმეს თუ სურდა სიტყვის თქმა. პოლკოვნიკი წამოდგა. მოსამართლემ ანიშნა, განცხადების გაკეთება შეგიძლიაო.

პოლკოვნიკმა დემონსტრაციულად შეისწორა მუნდირი და მოსამართლისკენ მიბრუნდა: „ბატონო მოსამართლევ, მინდა, რომ თვალებში გიყუროთ და დღეს ისე ვისაუბრო. ალბათ პირველი, რაც ახლა ყველაზე მეტად გაწუხებთ, ჩემი ჩაცმულობაა... ზუსტად ასე გამოწყობილი ვიყავი შესვენებაზე გამოსული, როდესაც მითხრეს, სეპარატისტები გვიტევენ, ალბათ ომი დაიწყოო... მე, ქუთაისელი კაცი, რომელმაც აფხაზეთში სულ რამდენიმე წელი ვიცხოვრე ომამდე, ჩემი ქუჩისკენ გავეშურე... ჩანბაზე. არ დამიწყია იმის გარჩევა, ვის რა ფერის ფორმა ეცვა. უბრალოდ იარაღი ავიღე და ჩემი ქუჩის შესასვლელთან ვიდექი. ახლა მე ჩემი ხალხისთვის მოღალატე, ყოფილი პოლკოვნიკი ვარ. ჩემი ოჯახისთვისაც — ანალოგიურად. ამდენი წელია, ომი დამთავრდა და თქვენ ისევ იქექებით, იქექებით: ვის როგორი ფერის მუნდირი აცვია, ვისი გვარია აფხაზური და ვისი — ქართული. თქვენ ადამიანებს სულშიც კი უძვრებით, როცა მისი გვარით, მისი გვარიშვილობით განსაზღვრავთ მის პიროვნებას. თქვენ დაგავიწყდათ, რომ სოხუმში 50-ზე მეტი სხვადასხვა ეროვნების ადამიანი ცხოვრობდა ომამდე. თქვენ ისიც დაგავიწყდათ, რომ ყველას პრივილეგიებისთვის არ გვიბრძოლია. ასლან თარბა იმედია ჩემი. იმედია იმისი, რომ განსხვავებულის მიღება შეუძლია ამ ქალაქს ისე, რომ არ დასაჯოს. ისე, რომ არ ესროლოს. რაში გამოიხატება მისი განსხვავებულობა? ის აფხაზია, რომელსაც უყვარს ქართველები. ის აფხაზია, რომელსაც ქართველი ძმა ჰყავს. თუ ის ამ სიყვარულის გამო დაისჯება, მე ამ ქალაქის გამო გასროლილ თითოეულ ტყვიას თქვენს ჩაქუჩში დავუწყებ ძებნას.“

სიტყვის დასრულება მოახერხა, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, პოლკოვნიკის დარბაზიდან გაძევება დააპირეს. თუმცა პოლკოვნიკმა თავისით დატოვა სასამართლო დარბაზი — სათქმელი უკვე თქვა.

სასამართლო დარბაზში სახელმწიფო დაცვის წარმომადგენლებისა და პოლიციელების რაოდენობამ იმატა. ეს მატება გიორგი ემხვარს ცუდი ფინალის დასაწყისად ენიშნა.

იმ დღეს ზღვა ისევ ღელავდა. დადუმებულ ქალაქში სინათლის ბოლო წერტილსაც აქრობდნენ. მამა ანდრია დარბაზის ბოლოს ჩუმად იჯდა და ალბათ ლოცულობდა. გიორგის და საიდას ძლიერად ჩაეკიდათ ერთმანეთისთვის ხელები. ასლანის ყველა მეგობარი მოუთმენლად და განაბული ელოდა ჩაქუჩის დარტყმამდე სათქმელ გარდაუვალ წინასიტყვაობას. დარბაზში საოცარმა სიჩუმემ დაისადგურა. მოსამართლის ჩაქუჩის ხმა არავის გაუგია, განაჩენის გამოცხადება იმდენად მოულოდნელი იყო ყველასთვის. წამებში ხმაურმა აიტაცა მთელი დარბაზი. ასლანი კი უბრალოდ, მშვიდად და გაუნძრევლად იჯდა თავის ადგილას. მან ზუსტად იცოდა, რომ ამ დარბაზში კი არა, მთავარი ცვლილებები გარეთ უნდა დაწყებულიყო. ის ახლა უკვე თავისუფალი იყო და ეს პატარა გამარჯვება დიდ გამარჯვებად უნდა ექცია. სხვა შემთხვევაში ეს გამარჯვებაც უმნიშვნელო იქნებოდა, რადგანაც თავისუფლება საკანს მიღმა და საკანს გარეთ არ განისაზღვრება. ასლან თარბა ჯერ კიდევ სასამართლო დარბაზიდან გამოსვლამდე იმაზე ფიქრობდა, როგორ შეეხსენებინა დიდი ხნის წინ დავიწყებული თავისუფლების დეფინიცია სოხუმჩანებისთვის.



ბათა მარსაგიშვილი

ლექსივით წასაკითხი

„კინო ყაზბეგი“ გაგა ნახუცრიშვილის ბოლო ნაწარმოებია, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ გამომცემლობა „ინტელექტმა“ გამოსცა. ეს არის ავტორის დაახლოებით სამოცდაათი მოგონება. მოქმედება სხვადასხვა ადგილას ხდება, მაგრამ დიდწილად თბილისთან დაკავშირებული ისტორიებია. „კინო ყაზბეგი“ დოკუმენტური პროზაა, თუმცა ის მაინც დოკუმენტური და მხატვრული ლიტერატურის სინთეზს წარმოადგენს. ვკითხულობ „კინო ყაზბეგს“ და ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მარტო მოგონებების კრებული არ არის და უფრო გაგას ლექსების გაგრძელებაა. „კინო ყაზბეგი“ ლექსივით იკითხება, მსუბუქად, სასიამოვნოდ, მარტივად და თან ათასი ფიქრის საბაბს მაძლევს.

მოქმედების დრო გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარი და 90-იანი წლებია. ეს ის პერიოდია, როცა საქართველოს დამოუკიდებლობით გამოწვეული სიხარული და იმედი ქაოსმა, სიბნელემ და სიცივემ შეცვალა. წიგნში არის ეპიზოდი, როცა ავტორი იხსენებს 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატს ფეხბურთში, რომელსაც შავ-თეთრ ტელევიზორში უყურა, მაგრამ იტალიის ნაკრების თამაშმა ჩემპიონატი მაინც ფერადად დაამახსოვრა. ამბებიც ასეა, მწერალი ოსტატურად ახერხებს იმ შავ-თეთრ და ფერებისგან დაცლილ დროში მკითხველი ფერადი მოგონებებით ამოგზაუროს და მხოლოდ დადებითი ემოციები აღუძრას.

წიგნს ბევრი პერსონაჟი ჰყავს, თუმცა არის ერთი მთავარი გმირი, რომელიც თითქოს არსად ჩანს და ამავე დროს ყველგანაა. ის ყველა გვერდზეა, ერთ ძაფზე კინძავს და აკავშირებს ერთმანეთისგან თითქოს დამოუკიდებელ მოგონებებს. ეს გმირი დროა, დრო, რომელიც მიდის და არაფერს ტოვებს მოგონებების გარდა.

„კინო ყაზბეგი“ განსაკუთრებული სითბოთია დაწერილი. აქ ყოველ მოგონებაში იგრძნობა გმირების მიმართ ავტორის პატივისცემა და სიყვარული. გმირებიც ბევრისგან გამორჩეულნი არიან ცოდნით, განათლებით, იუმორით, ადამიანებთან ურთიერთობის ნიჭით. ცხოვრებაში თუ არ შეხვედრილხართ, „კინო ყაზბეგში“ გაიცნობთ ერლომ ახვლედიანს, თამარ ბურჯანაძეს, ზალიკო ქიქოძეს, გოგი დემეტრაძეს და კიდევ არაერთ საინტერესო, ნიჭიერ და ქარიზმით სავსე ადამიანს.

„კინო ყაზბეგი“ ადგილების გაცოცხლების წიგნიც არის. კითხულობ და გახსენდება შენი საკუთარი ისტორიები და თავგადასავლები იმ ადგილებში, სადაც მთხრობელი შეგიპატიჟებს. კინო „ყაზბეგი“, ჩაის სახლი, „წუმპე“, აფიცერას ლუდხანა, საპარიკმახერო ბაზალეთის ქუჩაზე... აქ ყველა ადგილი სიცოცხლით ფეთქავს, ის ადგილებიც კი, რომლებიც დიდი ხანია, აღარ არსებობს.

თხრობა ისე გიტაცებს, რომ რაღაც მომენტში ველარც ხვდები, როდის წაიშალა ზღვარი ავტორის რეალურ მოგონებებსა და ფანტაზიას შორის. კითხვისას ეს ზღვარი უკვე მკითხველის გონებაშიც თანდათან იშლება და მოგონებებს უკვე ოცნებები ანაცვლებს.

→

ბათა მარსაგიშვილი

ლექსივით წასაკითხი

დასასრული

ვკითხულობ „კინო ყაზბეგს“ და ასე მგონია, რომ ახლა ხულიგანა შემოაღებს კარს და უცნობი გოგოს დაბადების დღეზე წამიყვანს, ან რატი დამირეკავს, რაღაც სისულელეს მეტყვის, რომელზეც დიდხანს ვიცინებთ, ან ქუჩაში იოსკას შევხვდები, ნახცოს ლექსებს რომ კითხულობს წვიმაში მოციმციმე შუქნიშანთან, ან პაკოს გადავეყრები ვერის ბაღთან, გადამეხვევა და თავის ფერად ზღაპრებს წამიკითხავს, იმ ზღაპრებს, რომლის დაწერაც უბრალოდ ვერ მოასწრო. „კინო ყაზბეგი“ მარტო მოგონებების კრებული არაა, ის ჩემი (და ალბათ ჩემი თაობის) ახალგაზრდობასთან გამომშვიდობების წიგნიც არის.

ერთი ასეთი თვისება მაქვს: როცა ცუდ ხასიათზე ვარ, ლექსებიდან (და არამარტო ლექსებიდან) ჩემი საყვარელი ფრაზების კითხვას ვიწყებ. ეს მამშვიდებს, გუნებას მიკეთებს და ცხოვრების ხალისს მიბრუნებს. პოეზია ხომ საუკეთესო ფსიქოთერაპიაა, ლექსები — საუკეთესო თერაპევტები. „მე არასოდეს მომქონდა ვარდი, მაგრამ ყოველთვის ვფიქრობდი შენზე“ — ეს ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი ფრაზაა გაგას ლექსიდან და როგორ გამიხარდა, „კინო ყაზბეგში“ ეს სტროფი რომ დამხვდა ზედ მოყოლილი ამბით ამ ლექსის დაწერის შესახებ. ფრაზები ყოველთვის მშველიან. ფრაზები არასდროს მღალატობენ ხოლმე. ჰოდა, ვისაც ჩემსავით ფრაზები გიყვართ, გშველით და გამშვიდებთ, გირჩევთ წაიკითხოთ „კინო ყაზბეგი“. ის მარტო მოგონებების წიგნი არაა, ის მაგარი ფრაზების კრებულიც არის.

ოდესმე სკოლებში ადამიანებს შორის ურთიერთობების სწავლებას თუ დაიწყებენ, „კინო ყაზბეგი“ ამ საგნის შესასწავლად საუკეთესო სახელმძღვანელო იქნება. ამ წიგნში მხოლოდ დადებითი პერსონაჟებია, რომლებიც სიკეთეს, სიყვარულს, ნიჭს, ურთიერთპატივისცემას ასხივებენ. საქართველოში ასეთი ადამიანების დეფიციტი არასდროს ყოფილა. ჩვენ ქვეყანაში ასეთი ადამიანების დანახვის პრობლემაა ყოველთვის. და ეს არც არის გასაკვირი, რადგან ადამიანში პიროვნების დანახვას ხომ ნიჭი უნდა, ისეთივე ნიჭი — როგორიც ლექსის წერას, ხატვას, მუსიკის შექმნას ან თუნდაც ფეხბურთის თამაშს. ადამიანში პიროვნების დანახვა ხელოვნებაა. მე ასე მჯერა და ამ წიგნმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა.

წაიკითხეთ „კინო ყაზბეგი“, სიყვარულის, მეგობრობის, სევდის და იუმორის ფერადი ამბავი...



თეონა გოგილავა

„რა უნდა მოგვცეს პოეზიამ?“

„რა უნდა მოგვცეს პოეზიამ?“ — კითხულობს თავის ერთ-ერთ ლექსში პაატა შამუგია. ის (პოეზია) არაფერს აწარმოებს, არაფერს ამრავლებს. პოეზიას მხოლოდ საკუთარი თავის გამოხატვა შეუძლია. პაატა შამუგიას პოეზიის მთავარი დანიშნულებაც ეს არის — გამოხატოს, დაასახელოს საკუთარი თავი.

„არგადარჩენა“ ოთხი წლის მანძილზე დაწერილი ლექსების კრებულია. სათაურის სემანტიკა ასეთია — „ვერგადარჩენა“ გარემო პირობებით არის განპირობებული, ის ერთგვარი გამოუვალობაა. „არგადარჩენა“ გააზრებული, შეგნებული არჩევანია. კრებულში ამავე სათაურით გვხვდება ლექსი. მათეს სახარების მერვე თავში ნათქვამია: „თუ ღმერთი არ იცავს ქალაქს, ამაოდ ფხიზლობს გუშაგი“. ავტორი ცვლის ამ კონცეფციას:

უფალმაც რომ დაიცვას ქალაქი,
ამაოდ ფხიზლობს გუშაგი —
ვერავინ გადარჩება.

ხომ არ იწვევს ამგვარი ფორმულირება საკითხისა უიმედობას? არა, რადგან ესეც ადამიანის არჩევანია, არგადარჩენა მისი გადაწყვეტილებაა. ნიცშესეული „მკვდარი ღმერთის“ თეზა ცოცხალი, მაგრამ უმწეო ღმერთისამ შეცვალა. ეს არც დეისტური ხედვაა, ღმერთის განგებ, განზრახული ჩაურევლობა სამყაროსეულ მდინარებაში, ეს სხვა აზრია, რომ ღმერთი არ არის სიკვდილის მძლეველი, რომ სიკვდილით შეკრული ბედისწერა მის ძალმოსილებაზე მაღლაც დგას. ყველა და ყველაფერი უძლურია მის წინაშე, ამიტომ „ვერავინ გადარჩება“. ასეც რომ არ იყოს, ადამიანი მაინც არგადარჩენას აირჩევდა, რადგან ვერავინ გაიმეტებდა საკუთარ თავს ამ სამყაროში მარადიული არსებობისთვის. ამას ამბობს კიდეც ავტორი:

ჩვილები აკვნებიდან წამოდგებიან
და თავებს
დემონსტრაციულად დაიხოცავენ,
რადგან
ვერავინ გადარჩება.

ეს სახარებისეული ამბის ალუზიაა. ჰეროდე მეფის მიერ ახალშობილთა დახოცვის ამბავი. პოეტი ხშირად მოიხმობს მსგავს ამბებს სხვადასხვა ტექსტიდან და მათ განსხვავებულ, თანამედროვეობასთან მორგებულ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. ჩვენი დროის პოეზია, ლიტერატურა, ცნობილი ამბების, ციტატების თავისებურ ვერსიებს გვიამბობს ხშირად. გმირებს, პერსონაჟებს, მოვლენებს მწერალი ზოგჯერ ახალ სულს შთაბერავს და სხვა გზით წაიყვანს. ჩვენ რომ გვეგონა პერსონაჟს მხოლოდ ერთ ამბავში მოთხრობილი სიცოცხლე ჰქონდა, ის უცებ სხვა ამბის გმირიც აღმოჩნდება და სხვანაირად გადაწყვეტს თავის ბედს. გავიხსენოთ გივი მარგველაშვილის მინიატიურების კრებული „მე წიგნის გმირი ვარ“. ისააკი ბრმად კი არ დაჰყვება მამის განზრახვას, არამედ გაურბის მას, რათა გადარჩეს. ასე ცვლის ამბებს პაატა შამუგია, ოღონდ სხვაგან — პოეზიაში.

რა არის მთავარი საკითხი, თემა, რომელზეც პაატა შამუგია წერს? რა აერთიანებს ამ კრებულში შესულ ლექსებს? სერიოზული, კაცობრიობის არსებობის მანძილზე პასუხგაუცემელი, დილემური საკითხები, რომლებიც აქ ზოგჯერ კითხვების სახით არის ფორმულირებული. ასე ხდება, მაგალითად, ლექსში „ზოგადი უნარების ტესტები აბიტურიენტებისთვის“. ლექსში დასმული ერთ-ერთი კითხვა ასეთია:

თუ ცხოვრებას საზრისი გამოეცალა
და დავრჩით
მნიშვნელობისგან დაწურულები,
რა უნდა ქნას ადამიანმა?

კითხვები აბიტურიენტებისთვის არის, რაც იმთავითვე სასაცილოა. პაატა შამუგიას ახასიათებს ძალიან სერიოზულ და მნიშვნელოვან თემებზე იუმორით წერა, რაც ერთდროულად იწვევს მკითხველის დაფიქრება/ჩაფიქრებას და განმუხტვას. ჩვენ, მკითხველები, ვიწყებთ ან მივუბრუნდებით საფიქრალ თემებს, მაგრამ მწერლის იუმორი გვეხმარება, რომ ფიქრის პროცესში ჩიხში არ შევიდეთ. ასეთი იუმორი-ირონია იგრძნობა ლექსში „ნაწყვეტი პოემიდან „შეცდომების გასწორება“. ჩვენს საზოგადოებაში არსებული სტიგმები, სტერეოტიპები, „უკვე დიდი ხარ და მოგეთხოვება“ სხვა დამოკიდებულებას ვერ იწვევს. არისტოტელე თავის „რიტორიკაში“ წერს, რომ თხრობის სტილი, მანერა უნდა შეესაბამებოდეს აღსაწერ საგანს. პაატა შამუგიას პოეზია ხშირად ამოვარდნილია „რიტორიკიდან“, რადგან ავტორს შეუძლია სრულიად სერიოზულ საკითხებზე იუმორით წეროს, რაც არც ისე მარტივი საქმეა. ეს არასტანდარტულობა, თუ გნებავთ „ამოვარდნილობა“, სრულებითაც არ არის ნაკლი, პირიქით, საინტერესოა.

თანამედროვე ავტორები ხშირად განგებ არ ასრულებენ ტექსტებს, მკითხველს მიანდობენ ამ საქმეს. აქტიურად რთავენ მას ტექსტის ქმნადობის პროცესში, თანაავტორებად აქცევენ რეცეფციის დროს. თანამედროვე ტექსტების კითხვის დროს რეცეფცია მთელ რიგ პროცესებში გულისხმობს მკითხველის ჩართულობას. ეს ტექსტები არ არის მზა ფორმულები, ერთ ადამიანში დაწყებული და დასრულებული, ჩამოყალიბებული საზრისები. პაატა შამუგიაც არის ავტორი, რომელიც ურთიერთობს მკითხველთან, აინტერესებს ამ უკანასკნელის აზრი, აწყებინებს მას ფიქრს, განსჯას, უსვამს კითხვებს. ამის მაგალითია ლექსი „რას იზამები“. ეს ლექსი არ არის ავტორის მონოლოგი, მასში ჩანს დიალოგის მცდელობა მკითხველთან.

მე-19 საუკუნეში ქართველმა სამოციანელებმა სათქმელის გამოხატვის საშუალებად პროზა, მოთხრობა აირჩიეს. კონვენციური ლექსი თითქოს არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ გამოეხატათ და ემსჯელათ მთელ რიგ სოციალურ და სხვა სახის პრობლემებზე. მე-20 საუკუნეში და ჩვენს დროში ქართული ლექსის საზღვრები გაფართოვდა. თავისუფალმა ლექსმა ბევრი მნიშვნელოვანი სათქმელი დაიტია. ამის მაგალითია პაატა შამუგიას თავისუფალი ლექსებიც.

იუმორნარევი წერის ტექნიკით დაწერილი ლექსები ხშირად ფაქტობრივი ინფორმაცია-მასალითაც იტვირთება. გავიხსენებ კრებულის ბოლო ლექსს „შუაღამის კატეხიზმო“. თუკი აქამდე პოეტი ზედროული რეალობის წვდომას ცდილობდა (რომანტიკოსები, სიმბოლისტები...), ჩვენი თანადროული პოეზია ხილულ რეალობაზე გახდა ორიენტირებული. მან ერთგვარი ცოდნის წყაროს ფუნქციაც შეიძინა. რაც ავტორისგან გარკვეულ ინტელექტს მოითხოვს. ეს კი საკმაოდ იშვიათია ზოგადად ლიტერატურაში და მით უფრო ნაკლებადაა შენიშნული პოეზიაში. პაატა შამუგია ინტელექტუალი ავტორია, არარელიგიური, არადოგმატური, ჩვეულებრივი ყოფითი რეალობიდან ამოვარდნილი და იმავდროულად ჩვეულებრივი ცხოვრებით მცხოვრები. ეს არის ცხოვრებაზე ბევრი ნაფიქრი კაცის შემოქმედება, მაგრამ ფიქრი ყოველთვის არ ნიშნავს, რომ რაიმე დასკვნების გაკეთებას შევძლებთ, აკი ამბობს კიდეც ავტორი „ვერაფერი გავუგე ცხოვრებასო“.

შიგადაშიგ კრებულში შევხვდებით ავტორის შეხედულებებს იმაზე, თუ როგორია ნამდვილი ლიტერატურა, როგორია კარგი ლექსი. ნამდვილ ლიტერატურას მატერიალიზების უნარი შესწევს. მაგალითად, ჰამსუნის „შიმშილის“ კითხვის დროს შეუძლებელია არ მოგშივდეს. ხოლო კარგი ლექსი არის ის ლექსი, ვთქვათ, წვიმაზე, რომელიც ისეა დაწერილი, თითქოს აქამდე წვიმაზე არაფერი დაწერილა.

და მაინც, როგორია „შემთხვევითი ფრაგმენტები ცხოვრებიდან“? აქ ბევრი რამე გაუგებარია, ბევრი რამე წართმეული და აუხდენელია. ასე ცხოვრობს პოეტი ხშირად აუხდენელი ოცნებებით, წართმეული რეალობით, გაუგებარი ცხოვრებით. ლექსებიც ამ დროს იწერება, წართმეული ბედნიერების ადგილას. როგორც თავად ამბობს, სხვანაირად შეუძლებელია შეგნებული წვის გარეშე რაიმე ღირებული დაიწეროს.



გვანცა ბოჭორიშვილი

წითელი საუკუნის მოვლენათა ცენტრში

„მერვე სიცოცხლე (ბრილკას)“ გერმანულენოვანი ქართველი ავტორის — ნინო ხარატიშვილის ცნობილი რომანი და ჩვენი დროის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წიგნი გახლავთ. ეს არის ლიტერატურა ჩვენი ქვეყნის უახლოეს ისტორიაზე, წარსულში განცდილ ამბებზე, ტრაგიკულ პერიოდებსა და ადამიანებზე, რომლებიც იმ რეალობაში ცხოვრობდნენ. მძიმე და დრამატული პასაჟებით სავსე სქელტანიანი წიგნი, რომელსაც იმედისმომცემი დასასრული აქვს, სათაურიდანვე იზიდავს მკითხველს და აძლევს ფართო ინტერპრეტირების საშუალებას — თუ რას შეიძლება ნიშნავდეს მერვე სიცოცხლე და ვინ არის ბრილკა? წიგნი ქართულად ნინო ბურდულმა თარგმნა, ქართველ მკითხველში მისდამი ინტერესი არ ცხრება, რაც სავსებით ბუნებრივია.

ისტორია, რომელსაც მრავალი დასაწყისი აქვს, ეხება შოკოლადის ცნობილი მწარმოებლის დიდ ოჯახს და მის შთამომავლებს. სინამდვილეში კი, ამ კონკრეტული ისტორიის ფონზე, ერთ ოჯახში განვითარებული ამბებით ავტორმა დახატა გასული საუკუნის, როგორც თვითონ უწოდებს — წითელი საუკუნის — ზოგადი სურათი: ორი მსოფლიო ომით, სამხედრო გადატრიალებით, სამწლიანი დამოუკიდებლობით, საბჭოთა ძლევამოსილი იმპერიის შექმნით, რეპრესიებით, რევოლუციებით, სამოქალაქო დაპირისპირებით, დაჭერა-გადასახლებებით, მკვლელობებით, ტყუილებით, ილუზიებით სავსე ერთი საუკუნე — ტრაგედიების ასწლეული.

რკინის ფარდის მიღმა გაქცეულ და სხვა სამყაროში მცხოვრებ ნიცა ჯაშს, რომელიც სრულიად ინდიფერენტული გამხდარა როგორც პირადი წარსულის, ისე თავისი სამშობლოს მიმართ, ევროპაში მოულოდნელად ჩასულმა დისშვილმა, სახელად ბრილკამ, აიძულა წარსულში დაბრუნება, მისი სრული გახსენება და აღწერა. ბრილკა, „ჯადოსნური ბავშვი“, შოკოლადის ფაბრიკანტის დიდი ოჯახის ჯერჯერობით ბოლო წარმომადგენელი, გაჩნდა არა იმის გამო, რომ არსებულს შეეგუოს, არამედ იმისთვის, რომ ის სრულიად შეცვალოს, გარდაქმნას და, უპირველეს ყოვლისა, მისი გარდაქმნები მოუხელთებელი, ხისტი, სარკასტული დეიდის შეცვლით იწყება. როგორც აღვნიშნე, უცხოეთში გადახვეწილი ნიცა ჯაში შორიდან ერთგვარი გულგრილობით და კრიტიკით უყურებს საკუთარ ქვეყანას, რომელიც ისტორიული ქარტეხილების დროს დატოვა. ირონიულად ჰყვება ქართველების თვისებებზე, უდარდელობასა და პატივმოყვარეობაზე, თუ როგორ უბოძა ღმერთმა მათ საქართველო ანუ თავისი „სააგარაკე სამოთხე“და ასე შემდეგ. ნიცა არ არის ემიგრანტი ქალის ტიპური სახე, რომელსაც მუდმივი ნოსტალგია ტანჯავს, გულმხურვალე პატრიოტია და საქართველოში დაბრუნებაზე ოცნებობს. პირიქით, ის სრულიად გულცივ ადამიანად უქცევია დროს და გეოგრაფიას. ბრილკას გამოჩენით კი მისი ცხოვრება სრულიად სხვა სახეს იღებს და ბევრ დათმობაზე უხდება წასვლა.

ამბავი, რომელიც ბრილკასთვის იწერება, საბოლოოდ დიდ წიგნად იქცა. ის ერთგვარ გამოლოცვასავით არის პერსონაჟისთვისაც და მთელი მათი ოჯახისთვის, რომელიც მაგიასავით ფლობს შოკოლადის წარმოების საიდუმლო რეცეპტს. თითქოს ამ ჯადოსნური სითხის სურნელი გაჰყვება მთელ ნაწარმოებს, თუმცა კი ამბები, რომელსაც ავტორი გვიამბობს, არც ისე ტკბილი და მსუბუქია.

შოკოლადის ფაბრიკანტის ოჯახის ექვსი თაობისა და რვა გამორჩეული წარმომადგენლის ცხოვრებისეული ამბების გადმოსაცემად, რთული წარმოსადგენია, თავად ავტორს რამდენი სიცოცხლის და ცხოვრების გავლა მოუხდა, რამდენი ადამიანის ტყავში შეძვრა და რამდენი მათგანის ცხოვრებით იცხოვრა, მაგრამ ფაქტია, რომ მწერალმა ამ გამოწვევას თავი წარმატებით გაართვა და ისე გადმოსცა თითოეული ადამიანის ცხოვრება, მათი წარსული და აწმყო, რომ მკითხველი ძალაუნებურად ხდება დიდი ისტორიის არა უბრალოდ თვალის მადევნებელი, არამედ მისი ნაწილი, თანაზიარი და თანაგანმცდელი. ავტორმა მოახერხა და შეგვიქმნა შთაბეჭდილება, რომ მოვლენების ეპიცენტრში ვართ. როგორ ახერხებს ამას? უბრალო და მარტივი ენით. შეუიარაღებელი თვალით პირდაპირ, ბასრად გვეჩეხება თვალებში ის მტკივნეული რეალობა, რომელშიც პერსონაჟები ცდილობენ ცხოვრებას, მაგრამ, ალბათ, უფრო არსებობას ახერხებენ.

„შენც და მეც ცალკეული ძაფები ვართ, ერთად პატარა ხვეულს ვქმნით, დანარჩენ ძაფებთან ერთად კი — ორნამენტს“ — ამბობს რომანის პერსონაჟი სტასია და ამ დიდი ქსოვილის ერთი მთავარი და თვალში საცემი ორნამენტი სწორედ თავად გახდა. ბავშვობიდან ბალერინობაზე მეოცნებე ქალი, რომელსაც მამისგან მემკვიდრეობით გადაეცა შოკოლადის მომზადების საიდუმლო რეცეპტი, ადრეულ ასაკში გაჰყვა ცოლად თეთრი გვარდიის ობერლეიტენანტ სიმონ ჯაშს, მაშინ, როცა პირველი მსოფლიო ომი მძვინვარებდა და მის ქმარს, როგორც ოფიცერს, უკეთესი სამხედრო კარიერის მსურველს ომში წასვლა მოუხდა. აქ მთავრდება შოკოლადის ფაბრიკანტის განებივრებული ქალიშვილის მყუდრო ცხოვრება პატარა ქალაქში, რომელიც „კავკასიის ნიცად“ უნდა ქცეულიყო. ახალგაზრდა სტასიას თავადაც მოუხდა ომის ქარცეცხლის გამოვლა ქმრისა და შემდეგ უკვე სამხედრო შვილის ძებნის გამო. უკვე საკმაოდ მხცოვანი შვილთაშვილთან საუბრისას სინანულით აღნიშნავს: „მკვდრების გამოცნობა შემიძლია, ცხოვრებამ ამით გამანებივრა“.

სტასიასთან ერთად მნიშვნელოვანი და საკმაოდ თვალსაჩინო ნაწილი ამ მთლიანი დიდი ხალიჩისა არის მისი და ქრისტინე, ტრაგიკული ბედის მქონე სილამაზით გამორჩეული ქალი.

ავტორი რომანის წერის დროს კონკრეტული ადამიანების ამბებითა და ისტორიული ფაქტების გადმოცემით ასახავს და სრულად წარმოაჩენს იმ ეპოქის სახეს, წესებს, კანონებს. საუბრობს ერთ დიდ ოჯახზე და თვალწინ დგას მთელი გასული წითელი საუკუნე. სტასიას შვილები არიან ამ მთლიანი ქსოვილის ორი მსხვილი, მაგრამ განსხვავებული ფერის ძაფი: კოსტია და კიტი ჯაშები, ღვიძლი და-ძმა, რომლებიც დიამეტრულად განსხვავდებიან ცხოვრების წესით, კონტრასტული სახეებითა და თვისებებით. კოსტია სახეა საბჭოთა კავშირის, ამ კავშირში არსებული მენტალობით, თავის სისასტიკით, დაუნდობლობით, ემოციებისგან გათავისუფლებით, ხოლო კიტი ჯაში ემოციებით სავსე ახალგაზრდა ქალია, თავისუფლების მოყვარული, მეამბოხე, მრავალფეროვანი ცხოვრებით მცხოვრები, ევროპაში იძულებით გადახვეწილი, რომელმაც შეძლო და უცხო მიწაზე დიდი აღიარება მოიპოვა თავისი სიმღერით.

მწერლისთვის დამახასიათებელია ნაწარმოებში ერთგვარი პარალელური ამბების ჩართვაც. ასე მაგალითად, მართალია, ძირითადი ხაზი და მოვლენები ვითარდება შოკოლადის ფაბრიკანტის ოჯახში, თუმცა პარალელურად არსებობს მათი მეგობარი ოჯახი — სოფიო ერისთავი და მისი შვილები. ქალი, რომელიც იქცა საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლად. ხოლო მისი შვილის — ანდრო ერისთავის, ანდროს შთამომავლების — მიქასა და მიროს — ამბავს პარალელურად, თანმიმდევრულად გვიყვება მწერალი. ჯაშებსა და ერისთავებს შორის არსებული კავშირი, მართალია, არასისხლისმიერია, მაგრამ ორგანულად დაკავშირებული, გადაჯაჭვული და უფრო მტკიცე, ვიდრე რომელიმე ბიოლოგიური კავშირი.

„ამ ქვეყანაში მოვევლინე 1973 წლის 8 ნოემბერს მსოფლიოს. მსოფლიოს, რომელიც სულ სხვა რამეებით იყო დაკავებული. უოთერგეთის სკანდალი ვიეტნამის ომის საწინააღმდეგო კამპანია, სამხედრო გადატრიალება საბერძნეთში, ნავთობის კრიზისი და ელვისი არ ასვენებდა დასავლეთს, აღმოსავლეთი კი ამ დროს ბრეჟნევისა და საბჭოთა ნომენკლატურის ზეწოლის გამო ყრუ სტაგნაციაში იძირებოდა“ — ასე გვამცნობს ავტორი ნიცა ჯაშის დაბადების წელს, დროისა და კონტექსტის სრული გათვალისწინებით, მისთვის ნიშანდობლივია ერთი ამბავი და თარიღი, მიმოიხილოს მსოფლიო ამბებთან ერთად: „ალბომი „შინ“ 1976 წელს გამოვიდა, Replacement-ის ხუთი წლის თავზე, იმავე წელიწადს, როცა ვიეტნამი მთლიანად სოციალისტური რესპუბლიკა გახდა, საიგონმა არსებობა შეწყვიტა და გაჩნდა ქალაქი ჰო ში მინი, როცა მაო ძედუ ნი მოკვდა და ჩინეთი დამანგრეველმა მიწისძვრამ გაანადგურა, თითქოს დედამიწა ნიშნისმოგებით გამოხატავდა სიხარულს დიდი დიქტატორის გარდაცვალების გამო, იმავე წელს, როცა ჰონეკერი გდრ-ის სახელმწიფო მდივნად დაინიშნა და გფრ-ში აბორტის ლეგალიზება მოხდა, როცა ულრიკე მაინჰოფი დამხრჩვალი იპოვეს თავის საკანში, როცა გარდაიცვალნენ ფრიც ლანგი ლოს ანკელესსი და გატა კრისტი უოლონგფორდში, სოუეტოში აპართეიდის წინააღმდეგ აჯანყების წელს, როცა Hotel California ჰიტად იქცა...“ ამ ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებლად და თავისთავად მომხდარი ამბების ჩამოთვლით გვიჩვენებს მთლიანობას და განუყოფლობას; როგორც რომანის თითოეული გმირი ჯაშების დიდი ოჯახის განუყოფელი წევრი და ნაწილია, ისე ეს ოჯახი არის ერთი დიდი მთლიანი სამყაროს შემადგენელი ნაწილი. რომანი დაყოფილია თავებად და თითოეულს მთავარი პერსონაჟის სახელი ჰქვია: სტასია, ქრისტინე, კოსტია, კიტი, ელენე, დარია, ნიცა, ბრილკა, რომლებშიც მათ ამბებს ვკითხულობთ. ქვეთავებს კი წინ ეპიგრაფად უძღვის საბჭოთა ლოზუნგები, გენერალისიმუსის სიტყვები, ცნობილი მწერლებისა თუ პოეტების ფრაზები. ზოგი ლოგიკურად, ზოგი სიმბოლურად და ზოგი კიდევ ირონიულად გადმოსცემს ქვეთავში ასახული ამბის მთავარ აზრს.

ამგვარად, ავტორმა 1900 წლიდან მოყოლებული ყველა მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტისა და მოვლენის თანამონაწილე გაგვხადა ჯერ მეფის რუსეთში, შემდეგ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში და ბოლოს უკვე დამოუკიდებელ საქართველოში, პარალელურად ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, ვინაიდან რომანის პერსონაჟები პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებული არიან ხსენებულ მოვლენებთან (როგორც სამხედრო პირი, როგორც ემიგრანტი, როგორც საბჭოთა ჩინოვნიკის მეუღლე ან უბრალოდ როგორც მოქალაქე და სამოქალაქო აქტივისტი). კოსტია ჯაშის შვილი ელენე, მისი შვილები — ნიცა და დარია — კი შედარებით თანამედროვე ეპოქის მკვიდრნი არიან, შესაბამისად, მათი ამბებიც ემთხვევა თანამედროვე საქართველოს ისტორიას — ცხრა აპრილი, სამოქალაქო დაპირისპირება, აფხაზეთის ომი, ვარდების რევოლუცია, დაბოლოს, 7 ნოემბერი...

მარტივი, უბრალო ენით, ყოველგვარი ჰიპერბოლიზაციის გარეშეა წარმოჩენილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და ამ რესპუბლიკის შემოქმედის, რაოდენ ირონიულადაც უნდა ჟღერდეს, „ორი დიდი ქართველის“ ამბავი. დღეს უკვე რთული მისახვედრი არ არის, როგორი უნდა ყოფილიყო ჩვეულებრივი საბჭოთა მოქალაქის ცხოვრება, რომლის ბედს თითქოს შორს, მიუწვდომლად არსებული გენერალისიმუსი, ანუ სტალინი და „პატარა დიდი კაცი“, ანუ ლავრენტი ბერია განაგებდნენ. მათი სისხლიანი ხელები ყოველდღიურად, ყოველწამიერად ეხება რომანის თითოეულ გმირს, ისინი ცხოვრობენ სტალინი-ბერიას მიერ შექმნილ სისტემაში ან გარბიან ამ სისტემიდან, რომელიც დაცლილია ყოველგვარი ადამიანური ფასეულობებისგან. ყველა ის ამბავი, მითი, ლეგენდა თუ ისტორიული სინამდვილე, რაც აქამდე წყაროებში წაგიკითხავთ, ამბად გსმენიათ ან დოკუმენტურ ფილმებში გინახავთ და ეხება საქართველოს არცთუ შორეულ წარსულს, ნინო ხარატიშვილის რომანში მხატვრული სინამდვილითაა წარმოდგენილი.

ის ამბავი, რომ ორი სისხლიანი ჯალათი, თავიანთი მოღვაწეობის განმავლობაში წარუშლელად მძიმე კვალს ტოვებდა ადამიანთა ფიზიკურ თუ მორალურ მდგომარეობაზე, კარგად ჩანს ამ წიგნში. თუნდაც ის შრამი, რომელსაც ერთ დროს უმშვენიერესი ქალი, შოკოლადის ფაბრიკანტის შვილი ქრისტინე ატარებდა სიცოცხლის ბოლომდე სახეზე (ყველაზე თვალსაჩინო ადგილას!), ერთგვარი სიმბოლური გამოხატულებაა სასტიკი საბჭოთა საუკუნისა. ეს დაღი ორგანულ ნაწილად ექცა სილამაზით გამორჩეულ ქალს, რომლის სრულიად მოშორება ვერა, მაგრამ დაფარვა-შელამაზება შეძლო.

70-წლიანი საბჭოთა მმართველობისგან გათავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარმა თუ შუა გზაზე მყოფმა საქართველომ რუსეთის სისხლიანი ძალა არაერთხელ იგრძნო. რუსეთი, მაშინაც და დღესაც, ერთსა და იმავე სახეს ატარებს, სახეს, რომელიც მეოცე საუკუნის ორმა უდიდესმა ქართული წარმოშობის ჯალათმა მისცა.

ამგვარად, ნინო ხარატიშვილის ცნობილი რომანი ეხება ომებს, ბრძოლებსა და ადამიანთა ცხოვრებას ამ ბრძოლებში. ქალებს, კაცებს, ბავშვებს, ადამიანებს, რომლებიც ამ ორომტრიალში არიან, ცდილობენ თავიანთი სამყაროს შექმნას, მაგრამ რაღაც უხილავი ძაფებით ებმიან წარსულს, მუდმივად დრამატული მოვლენები ვითარდება მათ გარშემო და აღსანიშნია ფაქტი, რომ ამ პერსონაჟებით მრავალრიცხოვან წიგნში ვერც ერთი მათგანი ვერ ახერხებს სრულყოფილ და ბედნიერ ცხოვრებას. წარმატების, მატერიალური კეთილდღეობის და ერთი შეხედვით, უზრუნველი ცხოვრების მიუხედავად, მუდმივად იტანჯებიან. რატომ ხდება ასე? იქნებ იმიტომ, რომ გარემოა მანკიერი და ადამიანს არ აძლევს სრულყოფილად გამოვლენის და გამოხატვის საშუალებას, თავისუფლად არსებობის უფლებას? ან იქნებ წარსულში განცდილმა ტკივილებმა საბოლოოდ დაასვა დაღი მათ არსებობას და ცხოვრებისგან სიამოვნების მიღება აღარ შეუძლიათ...

მკითხველი შეიძლება გულდაწყვეტილიც დარჩეს, როგორ შეიძლება, გასული ერთი საუკუნე მხოლოდ ტრაგიზმითა და ფატალური ამბებით გავიხსენოთ, ნუთუ მასში არ არსებობდა ნათელი წერტილები? ცხადია, იქნებოდა სინათლეც, თუმცა იმდენი სისხლი, უსამართლო მოპყრობა, ადამიანთა უფლებების სრული უგულებელყოფა, ჩაგვრა, წამება და სისასტიკე ახლავს იმ ასწლეულს, ის პატარა გამონათებაც დაჩრდილულია.

ბრილკა კი, რომელსაც ეძღვნება ეს წიგნი და რომლის ინიციატივითაც იწერება ეს ამბები, ერთგვარ იმედად იქცევა. ის ჯაჭვსაც კრავს და ციფრი რვასავით უსასრულობაზეც მიუთითებს. ბრილკა არის შანსი, შესაძლებლობა ახალი სიცოცხლის დაწყების, წარსულის ჩამოშორების, ყველა ჭრილობის, შრამისა თუ დაღის მორჩენისა და მოშორების. პატარა გოგონას, რომელიც ფიზიკურადაც სხვა, აქამდე არსებული თაობებისგან განსხვავებით, სრულიად განსხვავებულ რეალობაში დაბადებული და გაზრდილი ადამიანია, დამოუკიდებელი და სხვა ფასეულობების მქონე ქვეყნის შვილია, — შესაბამისად, არც ეს მგონია შემთხვევითი, — მიანიჭა ავტორმა ახალი სიცოცხლის ძალა იმისათვის, რომ გაარღვიოს ისტორია და უკან ჩამოიტოვოს წარსული, რაზეც ნაწარმოების პირველივე ეპიგრაფშია საუბარი ირიბად: „დრონი მეფობენ და არა მეფენი...“ არც ნაწარმოების დასასრულის ადგილი — თბილისი, თავისუფლების მოედანი — არ არის შემთხვევით არჩეული.

ასე რომ, მართალია, „ის ქალები, ის ობერლეიტენანტები, მათი შვილები, ის გოგოები და ბიჭები ცოცხლები აღარ არიან, ლეგენდა კი ცოცხალია“. რაც მთავარია, ცოცხალია მათი მერვე სიცოცხლე ბრილკა, რომელიც იქცა სინათლის წერტილად ამ ერთგვაროვან, ომებითა და გადატრიალებებით გადატვირთულ ერთსაუკუნოვან სამყაროში.

მათე წიკლაური

უიმედოდ დარჩენილი „მავედრებელი ქალები“

ძველი ბერძენი დრამატურგი და ანტიკური ლიტერატურის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი ესქილე ტრაგედიის მამად მიიჩნევა. როგორც არისტოტელე წერს, პირველმა სწორედ მან შეიყვანა თეატრში ორი პერსონაჟი და შექმნა მათ შორის კონფლიქტი. მანამდე ტრაგედიის პერსონაჟს მხოლოდ გუნდთან ჰქონდა ურთიერთობა. ანტიკურ ეპოქაში ესქილეს სხვა დრამატურგებისგან ბევრი რამ გამოარჩევს — რომ აღარაფერი ვთქვათ ტრილოგიის შექმნაზე, რომლის უძველეს ნიმუშად მისი „ორესტეა“ გვევლინება. ერთ-ერთ გენიალურ ტრაგედიაში „მავედრებელი ქალები“ ესქილე იძულებით გათხოვების შიშით შეპყრობილ ქალებზე მოგვითხრობს და ზევსისა და იოს სიყვარულის მითოლოგიურ ნარატივს ეყრდნობა. ამ სიყვარულმა ეპაფოსი დაბადა, რომელსაც, თავის მხრივ, კიდევ ორი შვილთაშვილი ეყოლა, ეგვიპტოსი და დანაოსი. პირველს ორმოცდაათი ვაჟი ჰყავდა, მეორეს — ამდენივე ქალი. ტრაგედია კი დაიბადა მას შემდეგ, რაც კაცებმა ქალების ბრწყინვალედ შეეხამა მისივე თხრობის, ვფიქრობ, ყველასაგან გამორჩეული მანერა — ამ ყველაფერმა კი მკითხველის გულების დაპყრობა და დაუვიწყარი მხატვრული სახეების წარმოშობა განაპირობა.

ანა კორძაიას მოთხრობების მთავარი მახასიათებელი, ვფიქრობ, უკიდურესი სიცხადეა. მწერალი არ ეძებს სიტყვებს, თითქოს, მან ზუსტად იცის, თუ რა მოჰყვება უკვე დაწერილს და ყოველგვარი გადახვევების გარეშე მკითხველი იმ მძიმე პრობლემებით სავსე, ბრძოლით დაღლილი ქალების სამყაროში შეჰყავს, რომლებმაც იმედი დაკარგეს, მაგრამ ბრძოლის ჟინი მათში არასოდეს განელებულა. ნებისმიერი მოთხრობის წაკითხვისას ნათლად ჩანს, რომ პერსონაჟები ძალიან გულწრფელები, მაგრამ სასაცილოდ ამპარტავნები და ქედმაღლები არიან. ანასთან ყველაფერი სუფთა და მარტივია, რადგან მწერლის სტილზე დაყრდნობით კარგად ვხედავთ, რომ ანა მეგობრობს, ანა შეხუმრებულია თავის პერსონაჟებთან და ამით აქცევს ტექსტს მიმზიდველად. ერთ-ერთ ინტერვიუში მან აღნიშნა, რომ ძალიან კარგად იცნობს საკუთარ პერსონაჟ ქალებს, რაც ტექსტში გამუდმებით იგრძნობა. ანა დისტანციაზე რჩება მკითხველთან და კეთილშობილური პათოსით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დასცინის მას — უფრო კარგად ესმის ამ ქალების ცრუ მედიდურობა, უფრო ახლოსაა მათ პრობლემებთან. მაგალითად, მოთხრობაში „უცხო კაცი“ მთავარ პერსონაჟზე დასაწყისშივე ვკითხულობთ: „სულ იმას ვოცნებობ, რომ ზამთარში ვინმე კაცი მიყვარდეს, და მაინცდამაინც ნოემბერში არ მორჩეს ყველაფერი. დღემდე არ მეღირსა.“ სიყვარული და თავისუფლება ანა კორძაიას გმირების ნატვრაა და, შესაბამისად, მათი მიზანიც ამ ორ განცდამდე მიღწევაა. ძალიან ხშირად ეს შეგრძნება იმდენად მძლავრია, რომ პერსონაჟებს ყალბი ოპტიმიზმიც კი ეპარებათ. მოთხრობაში „გზა მშვიდობისა“, ერთი შეხედვით, ყველაზე ბევრ დადებით ემოციას მოიცავს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ტექსტს ფარული სევდა მაინც თან გასდევს — ვიღაც არ იმჩნევს, რომ მოკლე კაბებს ვეღარ იცვამს და ცდილობს, თავის მოტყუებით შეეგუოს ამ ამბავს, ვიღაცისთვის ცხოვრების მთავარ პრინციპად „...თუ ვიღაცას არ მოვწონვარ, შეუძლია თვალი ამარიდოს“ იქცა, მაგრამ, რაც არ უნდა მტკიცე და გულწრფელი ჩანდეს ეს პოზიცია, იგი მაინც დიდი სევდის მატარებელია, უიმედობითაა სავსე და სწორედ ამიტომ ყალბი ოპტიმიზმის ნიშნებს დაატარებს.

ანამ ყველა პერსონაჟს რაღაც ტრაგედია მოუფიქრა, ტრაგედია, რომელიც მოულოდნელობიდან იბადება და უკვალოდ არასოდეს ქრება. ტანციას უბედურება მაშინ დაიწყო, როცა გოგონას თავადის პატივსაცემად სადგურზე დაწერილი „სტანცია“ დაერქვა. მერე რუსმა კაცმა ქლიავი მოიტანა, მაგრამ ამ ქლიავში ბედისწერა იყო, ბედისწერა, რომელიც ტანციას მთელ შთამომავლობას გასწვდა. კაცი გადაიკარგა და ამ ამბავს მკითხველისთვის ახალი ნიუანსების გაცხადება მოჰყვა. მიხაილო მოკვდა, მალე მოკვდა ტანციაც, მშობიარობას გადაჰყვა და უცბად რიტა-მარგარიტა გაჩნდა, შემდეგ სხვა მარგარიტა, მარგო ჩნდება — უწყვეტი ჯაჭვია, ტრაგედია რომ არ გვაგრძნობინოს, მაგისთვის შექმნილი. მოთხრობის ბოლოს ავტომატურად გიბრუნდება ფიქრები უკან და იმ თავადის შესახებ ფიქრობ, წარწერას ვერ ივიწყებ და თავში სულ „სტანცია“ გიტრიალებს, როგორც მოულოდნელობისა და ავი ბედისწერის სიმბოლო.

კრებულში ავტორმა ძალიან ზუსტი ლექსიკა შეარჩია. ის ჟარგონული თხრობის სტილი, რომლითაც მან პერსონაჟები აამეტყველა, მკითხველს ზუსტად უხატავს ამა თუ იმ ქალის მხატვრულ სახეს. საერთოდ, ეს ანა კორძაია-სამადაშვილისგან უცხო სრულებით არ გახლავთ. მის ყველა ნაწარმოებში ისმის მწერლისავე ხმა და, მიმაჩნია, რომ სწორედ ამითაა ის გამორჩეული. „მე, მარგარიტას“ საწყის მოთხრობებში უიმედობით სავსე, უბედური რეალობის მსხვერპლ ქალებზე ვკითხულობთ და მათი პრობლემების გათავისება მით უფრო მტკივნეული ხდება მაშინ, როცა ვხედავთ, თუ როგორ იტყუებენ ისინი თავს და, როგორ ცდილობენ, დამალონ, რომ სასოწარკვეთილებამ გაიმარჯვა. კრებულის უკანასკნელი მოთხრობების ერთ-ერთი გმირი მარიშა ხან ძალადობის,



ხან სიღარიბის, ხან სასტიკი მოცემულობის მსხვერპლია, მაგრამ ის ბედს არ ეგუება და დაცვით მექანიზმად ტკბილ ტყუილში ცხოვრებას ირჩევს. ის აუბრალოებს ყველაფერს და ახალ დასკვნებამდე მიდის, სიყვარულისგან გატანჯული კი ბოლოს დაასკვნის: „სხვადასხვა სქესის თანაცხოვრება მხოლოდ სოციალური მომენტია.“

ერთი მხრივ, კრებული ნამდვილად აღწერს უიმედოდ დარჩენილი, მაგრამ მაინც გარკვეულწილად თავისუფალი, ან თავისუფლებაზე შეყვარებული ქალების ცხოვრებას, მაგრამ, მეორე მხრივ, მაინც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის წიგნი, რომელშიც ანა მხარდაჭერას უცხადებს, პირადად ესაუბრება საკუთარ პერსონაჟებსა და მკითხველს. მოთხრობა, რომლის სათაურიც კრებულსაც დაერქვა, ამ მხრივ ძალიან საინტერესოა. ეს არის, თითქოს, მკითხველისთვის სტილისა და განცდების გაცნობა, ერთგვარი მისალმება, რომელიც თავიდანვე სიბრალულით განგვაწყობს, ერთი შეხედვით, ხალასი, გულმართალი, თავისუფალი, მაგრამ საბოლოოდ მაინც უიმედო, დაჩაგრული და, ამავდროულად, თავმომწონე ქალების მიმართ. მოთხრობების მთავარი ლიტერატურული ღირსება სწორედ აქ ჩნდება. ავტორს შეეძლო, რომ უბრალოდ გაუბედურებულ ქალებზე მოეყოლა, მაგრამ — არა. ამ პერსპექტივიდან ის სამყაროს სისასტიკეს უსვამს ხაზს, მაგრამ იმედის ნაპერწკალს ტოვებს მკითხველში და უტოვებს ამ ნაპერწკალს პერსონაჟებსაც, პერსონაჟებს, რომლებიც ხან რა, ხან რა საშუალებით ებრძვიან უმძიმეს რეალობას.

თუ კრებულში შემავალ მოთხრობებს ორ ნაწილად გავყოფთ, მაშინ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ანა კორძაია დასაწყისში საკუთარ თავს გვაცნობს, ხოლო კრებულის ბოლოს მას, როგორც გულშემატკივარს, ისე ვხედავთ. სწორედ ეს სძენს მოთხრობებს მუსიკალურ იერს, თითქოს, ანას საოცარი, უაღრესად საამური თხრობა ჩაგესმის — ყოველივე ეს კი კრებულის მარტივად წაკითხვის მთავარ წინაპირობად გვევლინება.

ანა კორძაია-სამადაშვილის მსგავს ავტორებს მკითხველზე მზრუნველი, კეთილი ავტორების სახელით ვიცნობთ, რადგან ის ცდილობს, მაქსიმალური სიცხადით დაგვანახოს მისი პერსონაჟების ტკივილები, რადგან ამ ტკივილებისა და განცდების დანახვა მოთხრობებში მოყვანილი ეპოქის დანახვას გულისხმობს. მწერალს უნდა, რომ ჩვენ დავინახოთ დრო, რომელმაც თავისუფალ გოგონებსა და ქალებს ჯერ ახალგაზრდობა, შემდეგ სიბერე, ბოლოს კი მთლიანად სიცოცხლე მოუსპო და იმედიც კი არ დაუტოვა. რასაკვირველია, რომ მკითხველის მთავარი ამოცანა პერსონაჟებზე დაკვირვებაა, მაგრამ ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პერსონაჟთა მიღმა მთელი სოციუმის თავისებურებები იშლება. ავტორი მოგვითხრობს სამყაროზე, სადაც სივრცე და დრო გაქრა, სადაც ბევრისთვის ცხოვრებამ აზრი დაკარგა. ამ ადამიანებს იმედი ბოლოს კი არა, დასაწყისშივე მოუკვდათ და ესაა მათი ყველაზე დიდი ტრაგედია.

საუბარი ესქილეს „მავედრებელი ქალებით“ დავიწყე და ვთქვი, რომ ქვეყნიდან გამოქცეულ ჩაგრულ ქალებს პრინციპებზე უარი მაინც ვერ ათქმევინეს და ისინი მალვისასაც კი ერთგულნი რჩებიან ფასეულობებისა. ზუსტად იგივე შეგვიძლია ამოვიკითხოთ ანა კორძაიას ნებისმიერი პერსონაჟის ნებისმიერ წინადადებაში. ამ ადამიანებს, თითქოს, ყველაფერი გაუნადგურდათ გარდა ერთისა, და ამ ერთს მწერალიც კი არ არქმევს შეგნებულად სახელს, რაც მოთხრობების კრებულის მთავარი მისტიკა და გამოცანა ხდება.

სულ ცოტა ხნის წინ ანას ახალი მოთხრობა „გემო და ავაზაკები“ გამოქვეყნდა. ტურისტებზე „გალაშქრებით“ იწყება: „არ მიყვარს ტურისტები.“ ანა ტურისტობას „ბითურულ სტატუსად“ მიიჩნევს. იუმორით აღნიშნავს, რომ ტურისტს აქლემზე შეჯდომაში ხუთ დოლარს ახდევინებენ და ჩამოსვლაში კი ორმოცდაათს. ოღონდ ანა ზოგადად ტურისტების მტერი არ არის, თავისი თავიც ეჯავრება ტურისტის რანგში, რაღაც ისეთ ფრაზებს ჩააგდებს, ცოტა ირონიული ელფერი რომ დაეტყოს ტექსტს და იმათ დასცინის, ტურისტები ქვეყნის წამრთმევები რომ ჰგონიათ: „...ავ ანას ეს საერთოდ არ მოსწონს, და მაგრად იტანჯება, რომ ცნება „ტურისტის“ არმოწონების გამო სრულიად უდანაშაულო ადამიანებს ავად უცქერს. კი, იცის, რომ თვითონაც იყო ეგვიპტეში, მაგალითად, მაგრამ მაინც.“ მოთხრობა ტურისტობიდან სახლში დაბრუნებაზე, სიკეთისა და სიმშვიდის ძიებაზეა, ოღონდ ახლა სრულიად მარტო ეძებს ამ ყველაფერს. „მე, მარგარიტაში“ მას ყველა პერსონაჟისთვის გადაეცა რაღაც თავისი, მაგრამ ყველაფერი არა. „გემო და ავაზაკები“ კი ნამდვილ ანას წარმოგიდგენთ, რომელსაც უკიდურესად თავისებური ენობრივი მახასიათებლებით მკითხველისთვის თავბრუს დახვევა შეუძლია.

საბოლოოდ, ისევ მოთხრობა „უცხო კაცს“ მინდა, დავუბრუნდეთ. მოთხრობაში არის გამოფენის ძალიან საინტერესო ეპიზოდი, მთავარი გმირი მაქსის ნახატების დასათვალიერებლად მიდის და აღტაცებას ვერ მალავს, ნამუშევრები ისე მოსწონს, მაგრამ გოგონა ერთ ნახატს მაინც გამოარჩევს. ტილოზე სამი ჯადოსნური სპილოა დახატული, ორი ერთ მხარეს იყურება, ერთი კი — საპირისპიროდ, რაზეც მაქსი იტყვის: „როცა ბედნიერება მოვა, მესამე სპილოც მობრუნდებაო.“ ანა კორძაია-სამადაშვილის მოთხრობების კრებულის მთავარი სათქმელიც სწორედ ეს არის — შეიძლება, არაფერი, სრულებით არაფერი არ გაძლევდეს ოპტიმიზმის საბაბს, არც იმედი გქონდეს რამისა, თავსაც იტყუებდე, მაგრამ მთავარია, გჯეროდეს, რომ ბოროტება დამარცხდება, რომ ის სპილო აუცილებლად მობრუნდება და სამყაროში ჰარმონია დაისადგურებს...

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004